# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 დეკემბერი **პარასკევი** 2010

№303 (13291) ფასი 60 თეთრი


# სპორტულმა საქართველომ წელიწადი შეაჯამა

წლის საუკეთესო მწვრთნელი

## თემურ ქეცბაია







წლის საუკეთესო სპორტსმენი

## დავით ზირაქაშვილი



საუკეთესო ნაკრები გუნდის პრიზი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ჩაიბარა

11

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სავარაუდო ტრანსფერები

# შალომ ჰაიფადან

## მოდებაძე მაქაბის ინტერესს ადასტურებს

**რუსთავის "ოლიმპში" დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ვის დატოვებენ და ვის გაუშვებენ, მალე გაირკვევა. "ლელო" რუსთაველთა რამდენიმე ფეხბურთელს ელაპარაკა.**

ლაშა ჯაფარიძე: "კლუბში ძველი კონტრაქტების გადახედვას აპირებენ. ჯერ ხელმძღვანელობა სალაპარაკოდ არ შეგვხვედრია, თუმცა ყველა გუნდში რჩება. ახალი კონტრაქტები ძველების წასვლას არ ნიშნავს. თანაც სუპერთასი მოვიგეთ და მე მგონი, ცუდად საქმე არავის აქვს".

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველის, **გიორგი რეხვიაშვილის** წაყვანა ისრაელის ვიცე-ჩემპიონ ჰაიფას "მაქაბის" სურს. თუმცა გიორგიმ ჯერ არ იცის, ამ საქმიდან რა გამოვა.

- ზუსტად არ ვიცი, რა ხდება. ეს ამბავი მეც გაზეთებიდან შევიტყვე.

**- ამას არავინ დაიჯერებს, რომ გაზეთიდან გაიგე.**

- რუსთავის "ოლიმპთან" კონტრაქტი მაისამდე მაქვს და ჯერ არავინ გამიშვებს.

**- კონტრაქტის გაწყვეტა შესაძლოა.**

- მეც ისე ვიცი, როგორც წერენ, სხვას ვერაფერს გეტყვით. "ოლიმპში" ახალი კონტრაქტები უნდა შეგვიდგინონ და ახალ წლამდე გაირკვევა, დავრჩები თუ წავალ.

**- "ოლიმპის" სათადარიგო ფეხბურთელი წლეულს ერთ-ერთი ლიდერი გახდი – ასეთი რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?**

- გამოცდილება შევიძინე, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. უფრო თავდაჯერებულიც გავხდი. ყველაფერი კარგად აეწყო.

**- და მერე გაზეთებიდან იგებ, რომ ისრაელში კონტრაქტს გთავაზობენ?**

- სერიოზულად თუ გინდათ გითხრათ, მენეჯერის პასუხს ველოდები და მისი იმედი მაქვს.



გიორგი რეხვიაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჰაიფას "მაქაბიში" გადასვლის შანსი გაუჩნდა "ოლიმპის" თავდამსხმელს, საქართველოს ნაკრების კანდიდატ **ირაკლი მოდებაძესაც**, რომელმაც ებრაული კლუბის ინტერესი დაგვიდასტურა.

*"როგორც გავიგე, 21 დეკემბერს სუპერთასის შეხვედრას "მაქაბის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გიორგი დარასელია და გენერალური მენეჯერი მთავარი მწვრთნელის დავალებით დაესწრნენ. გიორგიმ მატჩის შემდეგ თქვა, რომ ჩემი თამაში მოეწონა. თუმცა პირადად არ მინახავს, ისე წავიდა, ის და "მაქაბის" მენეჯერი შესაძლო ტრანსფერზე ლევან სილაგაძეს ელაპარაკნენ, რომელიც საფეხბურთო აგენტი გახდა. ახლა დარასელიამ "მაქაბის" მწვრთნელთან უნდა მოილაპარაკოს, მაგრამ სილაგაძე გახარებული იყო, შენც და რეხვიაშვილმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეთო.*

*თუმცა ისიც არ შემიძლია ვთქვა, რომ მიწვევის შემთხვევაში "ოლიმპიდან" გამიშვებენ. კლუბთან კონტრაქტი მაისში მიმთავრდება, ხელმძღვანელობა ფეხბურთელთა გაშვებას კი არა, გაძლიერებას და ახალი კონტრაქტების გაფორმებას აპირებს. ჩემი საკითხიც მალე გაირკვევა"*, - გვითხრა ირაკლი მოდებაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

● სპარტაკი

# აქტიურობა დაუფასდებათ



შოთა კაშია

პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ „სპარტაკი" სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე კი დარჩა, მაგრამ **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა ბოლო ტურებში თამაშის ხარისხიც გააუმჯობესა და რაც მთავარია, უშუალო კონკურენტებთან სხვაობაც შეამცირა. ყოველივე აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „სპარტაკს" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მშვენიერი შანსი აქვს. დღესდღეობით გუნდი შვებულებაშია, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელები თუ სამწვრთნელო შტაბი აქტიურ სატრანსფერო კამპანიას აწარმოებენ და თავიანთთვის სასურველ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებსაც მართავენ. პოტენციურ ახალწვეულთა ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება, სამაგიეროდ „სპარტაკი" იყო ერთ-ერთი პირველი გუნდი, წამსვლელთა ვინაობა ოფიციალურად რომ გამოაცხადა. ამ რამდენიმე დღის წინათ უკვე გაუწყეთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ 11 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა; ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამათგან თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას ძირითადში თამაში არ უწევდა. და აი, გუშინ ცნობილი გახდა, რომ „სპარტაკიდან" კიდევ ორი ფეხბურთელი წავიდა: **ნიკოლოზ მაისურაძე** და **შოთა კაშია.** მაისურაძე, ასე ვთქვათ, ძირძველი „სპარტაკელია" და თანაგუნდელებს შორის ყველაზე ადრე სწორედ ის ჩაირიცხა ამ გუნდში. ამ სეზონამდე ძირითადის უცვლელ წევრადაც მიიჩნეოდა (ერთი პერიოდი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატიც იყო), მაგრამ ბოლო დროს 21 წლის მარცხენაფლანგელს ძირითად შემადგენლობაში არცთუ ხშირად ათამაშებდნენ (ამ სეზონში მაისურაძემ მხოლოდ შვიდ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ერთი გოლი გაიტანა). აი, რაც შეეხება შოთა კაშიას, 26 წლის ფეხბურთელი მთელი კარიერის განმავლობაში „დინამოს" ერთგული იყო, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდიდან წამოსვლამ მოუწია. კაშია „სპარტაკის" ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა და არავისთვის იყო შემთხვევითი, რომ გუნდის მიერ ჩატარებულ 18-ვე მატჩში მიიღო მონაწილეობა (1 გოლი). კაშიას მსურველები არ აკლია და ალბათ, სულ მალე გაირკვევა კიდეც მისი მომავალი გუნდის ვინაობა.

„სპარტაკში" სხვა სიახლეებიცაა: ქუთაისის „ტორპედოში" გადასული **დავით გვარამაძის** ნაცვლად მეკარეების მწვრთნელად **არჩილ ლურწკაია** იმუშავებს, ხოლო დუბლშემადგენლობის ერთ-ერთ მწვრთნელად კი — **დავით ქიქველიშვილი.** ეს უკანასკნელი ქართული ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანია და თავისი შთამბეჭდავი საკლუბო კარიერა სულ ახლახან დაასრულა. შეგახსენებთ, რომ ქიქველიშვილს სამი სხვადასხვა გუნდის („დინამო", „სიონი", „ოლიმპი") შემადგენლობაში აქვს მოპოვებული საქართველოს ჩემპიონობა.

აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ კვლავ „სპარტაკში" რჩება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ვალერი ბოლქვაძე**; არადა, ამ ნიჭიერი ახალგაზრდა ნახევარმცველის შეძენით არაერთი კლუბია დაინტერესებული.

**გია ტუხაშვილი**

● ინტერვიუ

# გიორგი ქავთარაძე: კარგია ოლიმპზე

**გიორგი ქავთარაძეს სპეციალისტების ვიწრო წრეში თუ იცნობდნენ. 21 წლის ნახევარმცველი თბილისის "დინამოს" ძირითადში ვერ ხვდებოდა, განათხოვრებით კი მაინცდამაინც წარმატებულ კლუბებში არ თამაშობდა და ცხადია, არ ჩანდა.**

**რუსთავის "ოლიმპში" გადასვლა მისთვის იღბლიანი გამოდგა. შეიძლება ითქვას, თავისი კლუბი იპოვა. "ოლიმპში" ენდობიან, ძირითადში ათამაშებენ და აკი გამოჩნდა, რომ საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელი გვეზრდება –გიორგიმ რუსთაველთა შუა ხაზს დინამიკურობა და მოქნილობა შესძინა, თან საკმაოდ შედეგიანია.**

**- თბილისის "დინამოდან" საკუთარი ნებით სხვა ქართულ კლუბში არ მიდიან. ცნობილია, რომ ამის მიზეზი შენი უკმაყოფილება იყო.**

- რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვიყავი, 21 წლის ნორმალური ფეხბურთელი სკამზე ჯდომით ბედნიერი ვერ იქნება. მონდომება არ მაკლდა, ვარჯიში არ მეზარებოდა, მსურდა, დამემტკიცებინა, რომ თამაშს ვიმსახურებდი, მაგრამ ამის საშუალება არ მომცემია. ასე ყოფნას აზრი არ ჰქონდა და ზაფხულში რუსთავიდან რომ დამიკავშირდნენ, სიამოვნებით დავთანხმდი.

**- როგორც ვიცი, "დინამოს" აკადემიის გაზრდილი ხარ.**

- აკადემიაში 15 წლისა მივედი, „დინამო" ჩემთვის ძალიან ძვირფასი კლუბია, მაგრამ მწვრთნელთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა ვერ ამეწყო. წამოსვლა ჩემი ერთადერთი შანსი იყო. მგონი, "ოლიმპში" დავამტკიცე, რომ ჩამოსაწერი ფეხბურთელი არ ვარ.

არც იმას დავმალავ, რომ "დინამოს" დატოვება გამიჭირდა. უთამაშებლობაზე გული მტკიოდა და თავიდან წამოსვლაზე არც ვფიქრობდი. თუმცა გადიოდა დრო და მივხვდი, ძირითადში მოხვედრას ტყუილად ვიმედოვნებდი, უთამაშებლად ვერ გავიზრდებოდი და ვერავინ შემნიშნავდა. კარგ ვითარებას კი არავინ გაურბის. არადა, ბიჭებთან ისე კარგად ვიყავი, "დინამო" ჩემს მეორე ოჯახად იქცა... გული ძალიან დამწყდა, მაგრამ ასე სჯობდა. ხომ იცით, სადაც არა სჯობს...

**- პირობებით რომელი კლუბი ჯობია?**

- დაახლოებით ერთნაირი პირობებია, ფინანსურად კი რუსთავში უკეთესი ვითარებაა. ერთადერთი პრობლემა ბუნებრივი საფარი იყო. ხალიჩაზე კუნთი უფრო იტვირთება, თუმცა უკვე ისე მივეჩვიეთ მეც და ჩემი გუნდელებიც, დისკომფორტს ველარ ვგრძნობთ. ამის გამოც არის, სახლში, ფაქტობრივად, თამაში არც წაგვიგია. ახლა ბალახზე თამაში უფრო გვიჭირს.

**- "ოლიმპში" იჯარით თამაშობ?**

- არა, კლუბმა კონტრაქტი გამოისყიდა.

**- პირველი ეტაპი დასრულდა, "ოლიმპის" შანსებს როგორ შეაფასებ?**

- "ზესტაფონთან" ერთად პირველ-მეორე ადგილებს ვიყოფთ და ჩემპიონობისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ. პირველობის დიდი შანსი გვაქვს.

**- სტატისტიკა ადასტურებს, რომ ჩემპიონობისთვის სტაბილური ვითარებაა აუცილებელი. "ოლიმპში" კი წლეულს მესამე მწვრთნელი შეიცვალა.**

- ეს გასაგებია, მაგრამ "ოლიმპი" ბევრად უკეთესი და სტაბილური გუნდია, ვიდრე გარედან ჩანს. მიმაჩნია, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. რუსთავში მენდობიან, მათამაშებენ, ჩემი შესაძლებლობის დამტკიცების საშუალება მაქვს და მიხარია, ნელ-ნელა გულშემატკივრებს თავს რომ ვაცნობ.

**- მოკლედ, უახლოეს პერიოდში "ოლიმპში" რჩები.**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- შემოთავაზებები არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ჩემთვის "ოლიმპში" დარჩენა აჯობებს.

**- რომელ გუნდში გიწვევდნენ?**

- ქუთაისის "ტორპედოში", უცხოური ვარიანტიც მქონდა, მაგრამ მე ასე ვფიქრობ, ჯერ საქართველოში უნდა მომაგრდე და საზღვარგარეთ მერე წახვიდე.

**- როგორც ჩანს, "ოლიმპში" თამაში მოგწონს, თორემ ჩვენს ფეხბურთელებს უცხოეთში ერთი დაძახებაც ჰყოფნით.**

- "ოლიმპმა" თავის გამოჩენის საშუალება მომცა და, ცხადია, ამ კლუბში თამაში ხელს მაძლევს. ძალიან მეგობრული გუნდია და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ამბიციებიც გვაქვს და კარგი პირობებიც, ასეთი კლუბიდან კი ფეხბურთელი საკუთარი ნებით არ გარბის.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები



ოთარ გაბელია (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

# ფედერაცია და გაბელია შეთანხმდნენ

## ოთარ მასწავლებელს ახალი კლასი ეყოლება

**ოთარ გაბელია** კვლავ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს გაწვრთნის. მართალია, ეს ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციას ჯერ საჯაროდ არ განუცხადებია, მაგრამ თავად ბატონმა ოთარმა დაგვიდასტურა.

გაბელიას ხელმძღვანელობით ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მესამე ადგილი დაიკავა. ფედერაციამ მთავარი მწვრთნელის საქმიანობა წარმატებულად შეაფასა და შესაბამისი წინადადებაც დაურთო...

**- გავიგეთ, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს კვლავ თქვენ გაწვრთნით.**

- ჯერ კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია.

**- თუმცა საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია.**

- შეთანხმება მართლაც არსებობს. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს სურთ, რომ მუშაობა გავაგრძელო.

**- შესარჩევ ციკლში მესამე ადგილს წარმატებად მიიჩნევთ?**

- შესარჩევი ციკლის დაწყებამდე რომ მეთქვა, მესამეზე გავალთ-თქო, არარეალურ ამოცანად ჩამითვლიდნენ. მაგრამ დავიკავეთ მესამე ადგილი და მერე აღმოჩნდა, რომ ზოგიერთებს ეს შედეგიც არ მოეწონათ. მეც მინდა, გუნდი მსოფლიოს ჩემპიონობამდე მივიყვანო, მაგრამ გასათვალისწინებელია, რა რეალობაში ვიმყოფებით. კარგად მახსოვს, რა განწყობა იყო შესარჩევი ციკლის დაწყებამდე. ბევრი შიშობდა, ოღონდ ბოლო ადგილი არ დავიკავოთო. ბოლოს საქმე ისე წავიდა, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსიც გაგვიჩნდა, მაგრამ მესამე ადგილზე ჩვენივე მიზეზით გავედით. რა თქმა უნდა, შეცდომებიც გვქონდა, მაგრამ მთლიანობაში ურიგო ფეხბურთი არ გვიჩვენებია, ხალხი რამდენჯერმე გავახარეთ და მესამე ადგილი ურიგო შედეგად არ მიმაჩნია.

**- ახლა, ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგიწევთ, წინა ციკლის ლიდერთა უმრავლესობას ველარ გამოიყენებთ.**

- რამდენიმე ძველი მოთამაშე მაინც გვეყოლება და უიმედოდ არ ვარ, იგივე ოქრიაშვილი, კვეკვესკირი და სხვები.

**- საკონტროლო შეხვედრები ხომ არ დაგიგეგმავთ?**

- 3 თებერვლის კენჭისყრას დაველოდებით, მეტოქეების ვინაობას გავიგებთ და ამხანაგურ მატჩებს ამის მიხედვით დავგეგმავთ. არ მინდა, თამაში თანაჯგუფელთან დავგეგმოთ და მერე ახალი მეტოქის მოძებნა დაგვჭირდეს. თუმცა გარკვეული მონახაზი უკვე გვაქვს.

**- ახალი ციკლიდან ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები კვლავ ერთი და იმავე მოწინააღმდეგესთან ითამაშებენ.**

- დიახ, უეფამ ძველი ფორმატი აღადგინა და შესარჩევ ჯგუფებში ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს ერთი და იმავე ქვეყნის გუნდები დაუპირისპირდებიან.

**- ზუგდიდის "ბაიაში" დარჩებით?**

- ჯერ იქ არაფერია გადაწყვეტილი.

**- ისე, რომელ კლუბშიც კონსულტანტად წახვედით, "ბორჯომსა" თუ "ბაიაში", ყველა გაკოტრდა.**

- "ბორჯომი" ჩემს ჩასვლამდეც გაკოტრებული იყო, იმის იმედი კი მაქვს, რომ "ბაიას" მალე ეშველება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი



ილია კანდელაკი (მარჯვნივ)

# ცხადაძემ წელი მოგებით დაასრულა

## აი, სალოლ! აზერბაიჯანში მწვრთნელები მსაჯებს კოცნიან

აზერბაიჯანის პრემიერლიგა, სადაც 12 გუნდიდან ორს ქართველი წვრთნის და ყველაზე მეტი ჩვენებური თამაშობს, 12 თებერვლამდე შეისვენებს. გუშინ წლის ბოლო ტური გაიმართა, თუმცა პირველი ეტაპის 3 ტურს გუნდები თებერვალში დაასრულებენ და მოწინავე ექვსეულის ვინაობას გაარკვევენ. გასარკვევიც ბევრი არაფერია, მთავარი ისაა, შეძლებს თუ არა **ვინი შეფერის** „ბაქი" ჩამორჩენის აღმოფხვრას. I ეტაპის შემდეგ ქართველ მწვრთნელთა გზები გაიყოფა: **კახა ცხადაძის** „ინტერი" ჩემპიონის ტიტულის დასაცავად იბრძოლებს, **რევაზ ძოძუაშვილის** „თურანი" კი - პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

ბუნებრივია, უპირველესად ყველაზე „ქართული გუნდის" ამბავი გვაინტერესებს - „ინტერი" შესვენებაზე გამარჯვებით გავიდა, თუმცა „განჯას" დამარცხება გაუჭირდა - 1:0. შეხვედრის დასრულებას თითქმის არაფერი უკლდა, როცა ლიტველმა **რობერტას პოშკუსმა** „შაფაზე" შეკრებილი ათასი მაყურებელი გაახარა. მასპინძელთა რიგებში ითამაშეს **ვალერი აბრამიძემ, კახა მჟავანაძემ** და **ილია კანდელაკმა**. სამმა ჩვენებურმა ითამაშა სტუმართა გუნდშიც, ოღონდ, ინტერელთაგან განსხვავებით, სასტარტოში მხოლოდ **ზურაბ ძამსაშვილი** იყო, მეორე ტაიმში გამოვიდა **გიორგი სეთურიძე**, შეხვედრის მიწურულს კი - **ლევან მდივნიშვილი**. „ინტერი" 34 ქულით მე-4 ადგილზეა და „ნეფთჩის" 7 ქულით ჩამორჩება. „განჯას" 22 ქულა აქვს, მერვეა და ექვსეულში მოხვედრის თეორიულ შანსს ინარჩუნებს.

„სიმურგისა" და მოიკ-ის შეხვედრაში არმიელთა რიგებს დაუბრუნდა დისკვალიფიკაციამოხდილი მეკარე **ამირან გვენცაძე**. ამირანი კარგად გაისარჯა, მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და გუნდს ქულა მოაპოვებინა - 1:1. მიუხედავად ამისა, მოიკ-ი 6 ქულით უიმედო აუტსაიდერია. ამ თამაშში სტუმართა გოლს (რომელიც, მასპინძელთა აზრით, თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა) სახალისო ეპიზოდი მოჰყვა - სტუმართა გახარებული მწვრთნელი **რამილ ალიევი** მოედანზე შევარდა და... ლაინსმენს შუბლზე აკოცა.

ძოძუაშვილის „თურანი" სტუმრად ლიდერ „ნეფთჩისთან" 0:2 დამარცხდა. „აზერიფუტბოლი" წერს, რომ **გიორგი ჭედიას** გარეშე დარჩენილი „თურანის" თავდასხმა უსარგებლო იყო. „თურანი" 12 ქულით მეათეა.

„გაბალა" და „ბაქი" უშუალო კონკურენტები არიან, ამიტომ ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა - **ტონი ადამსის** „გაბალა" შინ 0:1 დამარცხდა ერთადერთ გუნდთან აზერბაიჯანში, რომელშიც ამ სეზონში ქართველს არ უთამაშია. „გაბალა" 30 ქულით მე-6 ადგილზეა, „ბაქი" მას უკვე მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება. მასპინძელთა კაპიტანი **გოგა ბერაია** ამ დაპირისპირებაში ყვითელი ბარათით „გამოირჩა".

**დავით სვანიძის** „მუღანმა" ტურის სენსაცია შემოგვთავაზა, მესამეადგილოსანი აზალ-ი 3:1 დაამარცხა. სვანიძემ 90 წუთი ითამაშა, ისევე, როგორც **ნუგზარ კვირტიამ** სტუმართა რიგებში. აზალ-ს ქულებით ცხადაძის გუნდი გაუთანაბრდა. „მუღანი" კი 20 ქულით მე-9 ადგილზეა.

ტურის ბოლო მატჩში **გიორგი ადამიას** „ყარაბახმა" სტუმრად „ხაზარს" 2:1 სძლია. ადამია 71-ე წუთზე გამოჩნდა ამ შეხვედრაში. „ყარაბახი" 33 ქულით მე-5 ადგილზეა. ბომბარდირთა დავაში ორი ქართველი მონაწილეობს - ადამია 6 გოლით მე-5 ადგილზეა, **ბაჩანა ცხადაძეს** 5 გოლი აქვს გატანილი, თუმცა ის „სიმურგიდან" დიდი ხანია, წამოვიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გიორგი ადამია (მარჯვნივ)

ინტერვიუ აკაკი ხუბუტიასთან

# ქეცბაიამ აგვილესა

## რუმინელმა მწვრთნელმა ხუბუტიას საქართველო გაუგო

**სლოვენიასთან 17 ნოემბრის ამხანაგურ მატჩში რუმინული „გაზ მეთანის" მცველ აკაკი ხუბუტიას დებიუტი ჰქონდა. ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტნის ეროვნულში თამაში სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს. აკაკი საშობაო არდადეგებზე სამშობლოში დაბრუნდა და ინტერვიუ ვთხოვეთ.**

- რუმინეთის ჩემპიონატის პირველი წრე კი დასრულდა, მაგრამ „ტიმიშოარასთან" ბოლო მატჩი დიდთოვლობის გამო გადაიდო. სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ მოწინავე რვა გუნდში მოხვედრა დაგვისახა მიზნად. სეზონის ნახევრის შემდეგ ბუქარესტის „რაპიდთან" ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს ვიყოფთ. რაც შეეხება ჩემს თამაშს, 18 ტურიდან 16 შეხვედრა ჩავატარე და ერთი გოლი გავიტანე. ამას გარდა, ეროვნულ ნაკრებში დებიუტი მქონდა. ასე რომ, სეზონის პირველი ნახევარი, როგორც ჩემთვის, ასევე გუნდისთვის დადებითი იყო. ერთადერთი, რაზეც გული მეთანაღრება, თასის გათამაშებიდან გამოვარდნა იყო. იმ კვირას ბევრმა თამაშმა მოგვიწია და მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი დაგვასვენა. ქვედალიგოსან „სიბიუსთან" მატჩის 90 წუთი 1:1 დასრულდა და დამატებით დროში მოგვიგეს.

**- თქვენი გუნდის მწვრთნელს რუმინეთში ქება არ აკლია.**

- დიახ, ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია. კრისტიან პუსტაი ერთადერთი მწვრთნელია რუმინეთის მთავარ ლიგაში, რომელიც სამი წელია, ერთ გუნდშია. სხვა გუნდები, განსაკუთრებით ფინანსურად ძლიერები, ხშირად ცვლიან მწვრთნელებს, იტალიიდან, გერმანიიდან და საიდან აღარ ჩამოჰყავთ. ის კი არა, თემურ ქეცბაიამ კვიპროსული „ანორთოსისი" რომ დატოვა, რუმინულ გაზეთებში დაიწერა, ქეცბაია „კლუჟს" უნდა, საამისოდ მილიონ-ნახევარი გადადოო.

**- პირველი წრის რომელი მატჩები დაგამახსოვრდათ განსაკუთრებით?**

- უპირველესად ბისტრიცას „გლორიასთან" მატჩი, რომელშიც გოლი გავიტანე. 2:1 მოვიგეთ, მეორე ბურთი თავით შევაგდე. ამას გარდა, კარგად ვითამაშე „კლუჟთან", „ვასლუისთან", „სტიაუასთან"... სხვათა შორის „სტიაუასთან" მატჩის შემდეგ, თბილისში მოვფრინავდი სანაკრებო შეკრებაზე. მწვრთნელს ვუთხარი, რომ პირველად გამომიძახეს ეროვნულში და შეღავათი გამიწია, მხოლოდ პირველ ტაიმში მათამაშა. მატჩი ბოლომდე რომ ჩამეთამაშებინა, იმ დღეს თბილისში ვერ ჩამოვიდოდი.

**- ნაკრებში დებიუტს როგორ იხსენებთ?**



- სლოვენიაში გადახალისებული შემადგენლობით ვითამაშეთ. თავიდან არ წაგვივიდა თამაში, რადგან იმ შემადგენლობას ადრე ერთად არასდროს უთამაშია. თუმცა მობილიზების, შემართებისა და სწორად თამაშის წყალობით 0:1 შემოვაბრუნეთ და მოვიგეთ. ძალიან გამიხარდა და ჩემს კლუბშიც ამაყად მივედი.

**- მატჩის წინ და შესვენებაზე რა გითხრათ ქეცბაიამ?**

- შეცდომები ყველას მოსდის, მაგრამ გული და სული უნდა ჩადოთ ამ თამაშში და ეს უნდა დამანახოთო. ქეცბაია კარგი ფსიქოლოგიცაა. ისე განგვაწყო მატჩის წინ, რომ ალესილები გავედით მოედანზე. შესვენებაზე კი გვითხრა, რომ დაძაბულობა მოგვეხსნა, საკუთარ თავზე აგვეღო თამაში.

**- ტაქტიკა-სტრატეგიაზე რა გითხრათ?**

- ჯერ მეტოქე დაგვიხასიათა ზოგადად, მერე მოწინააღმდეგის ფეხბურთელები სათითაოდ, თავისი პლუს-მინუსებით. შემდეგ სლოვენიელი ფეხბურთელები გადაგვინაწილა. მე ნოვაკოვიჩი ჩამაბარა, კალაძეს - სესარი, კანკავას - დედიჩი... ეს ყველაფერი დაგვიხაზა. გვითხრა, ვინ სად უნდა მდგარიყო ჯარიმისას, კუთხურისას... ერთი სიტყვით, ყველაფერს გასაგებად და დეტალურად გვიხსნის. მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე აშკარად იგრძნობოდა, რომ სლოვენიელები ნერვიულობდნენ. მაშინვე მივხვდი, რომ ვერ მოგვიგებდნენ, მთავარი იყო, რაიმე უპატიებელი შეცდომით არ წაგვეგო.

**- ოთხი მცველიდან ორი, თქვენ და გურამ კაშია ნაკრებისთვის ახლები იყავით, კალაძე და კვირკველია კი გუნდის სტაჟიანი წევრები არიან. გამოცდილები თამაშის დროს თუ გეხმარებოდნენ?**

- კალაძეს ორჯერ აქვს მოგებული ჩემპიონთა ლიგის ფინალი, და მისი დარიგება თუ რჩევა ძალიან ფასეულია, არც მეთაკილება. მისი ძალიან მადლიერი ვარ. მატჩის დროსაც და მანამდე ვარჯიშებზეც მაძლევდა რჩევებს, რაც გავითვალისწინე და დიდად დამეხმარა.

**- დებიუტისთვის კარგი იყო, თუმცა უკეთაც შეუძლია - ასეთი შეფასება მისცეს თქვენს თამაშს სპეციალისტებმა...**

- მეც ვფიქრობ, რომ ურიგო დებიუტი არ მქონდა. იმედი მაქვს, კიდევ მომეცემა შანსი და უკეთაც ვითამაშებ. მინდა, ეროვნულ გუნდში მოვიკიდო ფეხი, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ და იმედი მაქვს შევძლებ კიდეც.

**- კლუბთან როდის გიმთავრდებათ კონტრაქტი. გავიგეთ, უცხოური ვარიანტები გაქვთ და ზამთრის შესვენებისას გუნდს ხომ არ შეიცვლით?**

- ჩემი კონტრაქტის ვადა წლინახევრის შემდეგ იწურება. როგორც აგენტმა მითხრა, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთისა და რუმინეთის გუნდები არიან ჩემით დაინტერესებული. თუმცა ჯერ მხოლოდ ლაპარაკია. მინდა ეს სეზონი „გაზ მეთანში" დავასრულო, წასვლაზე არც კი ვფიქრობ და ეს აგენტსაც ვუთხარი.

**- როდის იკრიბებით და ახლა რა მიზნისთვის იბრძოლებთ?**

- 5 იანვარს რუმინეთში უნდა ვიყო, მზადებას ვიწყებთ. 18 თებერვალს ჩემპიონატი განახლდება და ჩვენი მიზანია, ექვსეულს არ ჩამოვცდეთ. ახალი სტადიონი გვაქვს, ევროპის ლიგაზე გვინდა თამაში და იმედია მიზანს მივაღწევთ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს თასი

# სათასო-საგაზაფხულო ინტრიგა

ვაცილებთ, ვაცილებთ და აი, როგორც იქნა, გუშინ „საბოლოოდ" გავაცილეთ საფეხბურთო 2010 წელი. ოღონდ, ამჯერად ოფიციალური მატჩი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ქართული მასშტაბით, იცოცხლეთ ისეთი ინტრიგა ჰქონდა! თანაც, ეს ინტრიგა სულ მცირე, გაზაფხულამდე შენარჩუნდება, — ანუ, იმ დრომდე, როცა საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩები ჩატარდება. გუშინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში თასის ნახევარფინალების კენჭისყრა ჩატარდა და მართლაც საინტერესო წყვილები მივიღეთ!

## ნოსტალგიაც, მეზობლობაც

რა ბევრი მტკიცება სჭირდება იმ ფაქტს, რომ სამი ნახევარფინალისტის („გაგრა", „ვიტ ჯორჯია", „ტორპედო") წარმომადგენლები კენჭისყრამდე იმას ინატრებდნენ, მეტოქედ „ზესტაფონი" არ ჰყოლოდათ. რა თქმა უნდა, გაზაფხულამდე ნებისმიერ გუნდში მეტ-ნაკლები ცვლილებაა მოსალოდნელი (მათ შორის — „ზესტაფონშიც"), მაგრამ ისეთი რა უნდა მოხდეს, „ზამთრის ჩემპიონს" ამბიცია მოაკლდეს; თანაც, **გია გეგუჩაძის** გუნდი ნანატრ ჩემპიონობასთან ერთად თასსაც უმიზნებს და დღესდღეობით საქართველოს საუკეთესო გუნდთან თავის არიდებას ყველა რომ მოისურვებდა, ფაქტია. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ ყველაზე ძალიან „ტორპედოს" არ გაუმართლა; მაგრამ, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ზესტაფონის" ბანაკშიც ნამდვილად ვერ იქნებოდნენ აღფრთოვანებულნი იმ ფაქტით, რომ სამი სავარაუდო მეტოქიდან ყველაზე ძლიერი („ტორპედო" კი ასეთად მიგვაჩნია) მათ შეხვდათ. მით უმეტეს, „ზესტაფონზე" არანაკლები ამბიცია აქვთ ქუთაისელებსაც და ნურც ის ფაქტი „მოატყუებს" ვინმეს, რომ გუნდმა პირველი ეტაპი არცთუ შთამბეჭდავად ჩაატარა. სამაგიეროდ, კლუბის ხელმძღვანელებს ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდის სერიოზული გაძლიერება განუზრახავთ და, ალბათ, ასეც მოხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეორე ეტაპიდან ქუთაისის „ტორპედო" არა მხოლოდ ჩემპიონატის ლიდერთა სამეულის შევიწროებას შეეცდება, არამედ სათასო მატჩებსაც სერიოზულად მიუდგება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქუთაისელებმა თავიანთ ქალაქში ევროტურნირების ბოლო მატჩი ხომ ექვსი წლის წინათ იხილეს; არადა, აბსოლუტურად საპირისპირო სურათია მეზობელ ზესტაფონში, — აქ ხომ ევროტურნირების შეხვედრების ჩატარება ბოლო წლების განმავლობაში ჩვეულებრივი მოვლენაა...

..."ზესტაფონისა" და „ტორპედოს" დაპირისპირებათა ისტორია მხოლოდ ხუთ წელიწადს ითვლის; თუმცა მეორე ეროვნული ჩემპიონატიდან მოყოლებული, ზესტაფონის და ქუთაისის გუნდების მატჩები ყოველთვის საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა. ზესტაფონს ჯერ „მარგვეთი" წარმოადგენდა, მერე — „მეტალურგი". მაგრამ სახელწოდებათა შეცვლა საქმეს არ შველოდა: „ტორპედო" (თავდაპირველად „ქუთაისი") მეზობელი ქალაქის გუნდს ურთიერთშეხვედრებშიც სჯობდა და რაც მთავარია, ტიტულებშიც. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ტორპედომ" ორჯერ შეძლო საქართველოს თასის მოპოვება, სამჯერ ფინალში დამარცხდა და ამას გარდა, კიდევ სამჯერ იყო ნახევარფინალში გასული. აი, „მარგვეთს" კი ბევრად მოკრძალებული შედეგები ჰქონდა — 1993 და 1996 წლებში ნახევარფინალამდე გააღწია (ორივეჯერ გზა ფინალამდე „ბათუმმა" გადაუღობა) და სულ ეს იყო. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2005 წლიდან ზესტაფონისა და ქუთაისის გუნდების დაპირისპირებათა „ხასიათიც" შეიცვალა და რაც მთავარია, შედეგებიც; ანუ, ზესტაფონში კლუბის ხელმძღვანელად **ილია კოკაიას** მისვლის შემდეგ ფეხბურთის აღორძინება თუ დაიწყო, ქუთაისში ყველაფერი პირიქით ხდებოდა. „ზესტაფონი" ზედიზედ ოთხჯერ (2005-2008 წლები) გავიდა თასის ფინალში და მხოლოდ მეოთხე ცდაზე შეძლო ამ საპატიო პრიზის მოპოვება (ბოლო ორ გათამაშებაში გუნდი მეოთხედფინალშივარდებოდა); ამას გარდა, „ზესტაფონი" ჩემპიონატშიც მუდამ მოწინავეთა შორის თუ იმყოფებოდა, აი, „ტორპედო" კი ჯერ „ჩვეულებრივ" გუნდად ყალიბდებოდა, ბოლოს კი სულაც პირველ ლიგაში დაქვეითდა!

...ამ სეზონში სამწლიანი პაუზის შემდეგ „ზესტაფონისა" და „ტორპედოს" დაპირისპირებები ისევ აღსდგა; პირველი წრის მატჩიც საინტერესო გამოდგა და მეორე წრის შეხვედრაც, თანაც, ორივეჯერ მასპინძლებმა იმარჯვეს. პირველი მატჩი „ზესტაფონმა" მართლაც დაძაბულ ბრძოლაში მოიგო, **თენგიზ ჩიკვილაძის** გოლის წყალობით. „ტორპედომ" (იმ დროისათვის გუნდს **რამაზ მუმლაძე** წვრთნიდა) პირველი ტაიმი მოიგო და მეორე ტაიმშიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა ანგარიშში უპირატესობას, მაგრამ საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველმა **ბუბა დაუშვილმა** მატჩის მიწურულს „დუბლი" შეასრულა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. არანაკლებ საინტერესო გამოდგა ამ გუნდებს შორის მეორე მატჩიც: „იმერული დერბის" სანახავად ქუთაისში 8000-მდე ქომაგი მივიდა და ჩინებული ბურთაობის მომსწრეც გახდა. ამ საინტერესო შეხვედრის კულმინაცია კი „ტორპედოს" 17 წლის ნახევარმცველის **მერაბ გიგაურის** შორეული გოლი იყო, თავის გუნდს გამარჯვება რომ მოუტანა.

...1991 წლიდან დღემდე ორივე გუნდის შემადგენლობაში არაერთ გამორჩეულ ფეხბურთელს უთამაშია: **ზურაბ იონანიძეს, დავით ჯანაშიას, კახა ჩხეტიანს, სევასტი თოდუას, დავით გამეზარდაშვილს, გია იმედაძეს, გაგა ჩხეტიანს, თენგიზ ჩიკვილაძეს;** საინტერესო იქნება... ძმების დაპირისპირებაც: **როინ კვასხვაძე** „ზესტაფონის" მეკარეა, **ნიკა კვასხვაძე** კი ამ სეზონის დასაწყისიდან „ტორპედოში" ასპარეზობს. ამათ გარდა, „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელს **გია გიგატაძესა** და მის თანაშემწეს **გიორგი სუხიაშვილს** სხვადასხვა დროს ზესტაფონის „მარგვეთში" უთამაშიათ...



## უფავორიტო წყვილი

საქართველოს თასის 21-წლიან ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ მეორე შემთხვევაა, როცა ნახევარფინალში პირველი ლიგის გუნდი გავიდა და ეს პატივი ამჯერად „გაგრამ" დაიმსახურა. ჰო, ეს მართლაც სენსაციაზე მეტია: გუნდი, რომელიც მხოლოდ მეექვსედ ასპარეზობს საქართველოს თასზე, ევროტურნირების საგზურის მოპოვებისათვის იბრძვის! თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ **ანატოლი პისკოვეცის** გუნდმა მეოთხედფინალიდან საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „დინამო" გამოაგდო...

„გაგრას" უკრაინელი სპეციალისტი შემთხვევით არ გვიხსენებია: „დინამოსთან" გამარჯვების მეორე დღეს, ჩვენთან პრივატულ საუბარში პისკოვეცს არ დაუმალავს, რომ მისთვის სულ ერთი იქნებოდა, მეტოქედ რომელი გუნდი შეხვდებოდა. ეგ კი არა, „დინამოს" დამარცხების შემდეგ იმაზეც „ოცნებობდა", რომ გზიდან ამჯერად უკვე „ზესტაფონი" ჩამოეცილებინა და თასის ამ გათამაშებაში კიდევ ერთი ხმაურიანი სენსაციაც მოეხდინა. საქართველოს თასის წლევანდელ გათამაშებაში „გაგრას" ასპარეზობა მართლაც განსაკუთრებული მოვლენაა; თანაც, გუნდი ორ „ფრონტზე" ერთდროულად აპირებს ბრძოლას: თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „გაგრა" ამ სეზონშივე შეძლებს უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვებას. საერთოდ კი, ამ სეზონამდე გუნდის საუკეთესო შედეგი — მერვედფინალში გასვლა იყო...

...თასის მოქმედი მფლობელი „ვიტ ჯორჯია", ალბათ, ყველაზე კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო დღევანდელი კენჭისყრით; „გაგრას" მიმართ უდიდესი სიმპათიის მიუხედავად, იგივე „ზესტაფონი" და „ტორპედო" ბევრად უფრო არასასურველი მეტოქეები იყვნენ, ახლა კი, **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდს მშვენიერი შანსი აქვს, კლუბის 13-წლიან ისტორიაში ზედიზედ მეორედ იასპარეზოს თასის ფინალში. არადა, 2010 წლის მაისამდე „ვეტერინარებს" მუდამ მცირედი აკლდებოდათ ფინალში გასასვლელად — მანამდე ნახევარფინალში ხუთჯერ გავიდნენ და ხუთჯერვე ხელი მოეცარათ. აი, წლეულს კი, როგორც იქნა, ნავსი გატყდა; ოღონდ, ბევრმა ეს გარკვეულწილად იღბალსაც მიაწერა: ნახევარფინალში „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე ხომ პირველი ლიგის წარმომადგენელი მარტვილის „მერანი" იყო, თუმცა „ვიტ ჯორჯიას" დიდი ძალისხმევა დასჭირდა სანუკვარი ფინალის საგზურის მოსაპოვებლად. და აი, ზედიზედ მეორედ „ვეტერინართა" მეტოქე ნახევარფინალში პირველლიგელია, მაგრამ მოდი ვაღიაროთ, რომ ამჯერად ოდნავ განსხვავებული სიტუაციაა. ყოველ შემთხვევაში, 2010 წლის გაზაფხულზე „ვიტ ჯორჯია"-„მერანის" წყვილში უპირობო ფავორიტებად თუ „ვეტერინარები" მიიჩნეოდნენ, ამჯერად ამას ვერავინ იტყვის. ოღონდ, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ზამთრის მოსამზადებელ პერიოდზეც და „გაგრას" თუ ამ მხრივ პრობლემა არა აქვს (არადა, პირველი ლიგის გუნდია), „ვიტ ჯორჯიას" სატრანსფერო სიახლეებზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით.

დაბოლოს, ამ ნახევარფინალისტთა ურთიერთდაპირისპირებაზეც: „ვიტ ჯორჯია" და „გაგრა" უმაღლეს ლიგაში ერთმანეთს ექვსჯერ შეხვედრიან და უპირატესობას „ვეტერინარები" ფლობენ (4 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება). თუმცა „გაგრას" ის ერთადერთი გამარჯვება, ალბათ, ამ გუნდის ქომაგებს დიდხანს ემახსოვრებათ: წინა სეზონის დასაწყისი იყო, გლდანში, „ამერის" სტადიონზე **გიორგი გაბედავამ** ოთხი გოლი რომ გაუტანა იმ დროისათვის მოქმედ ჩემპიონს „ვიტ ჯორჯიას"...

**გია ტუხაშვილი**

● თასის წილისყრა

გაგრა – ვიტ ჯორჯია VS

ტორპედო – ზესტაფონი VS

# იმერული დერბი
## ესკიზები ახლა ნახეთ

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს დავით ყიფიანის თასის ნახევარფინალის წილისყრა გაიმართა. „ზესტაფონის", „ვიტ ჯორჯიას", ქუთაისის „ტორპედოსა" და „გაგრას" წარმომადგენლებს ლოტოტრონიდან თითო ბურთულა უნდა ამოეღოთ, რომლებშიც 1-დან 4-მდე ციფრები ეწერა. წილისყრის მომწყობებმა, საშეჯიბრო განყოფილების წარმომადგენლებმა, **ნოდარ კაკულიამ** და **რევაზ შენგელიამ** თავიდანვე განმარტეს კენჭისყრის სისტემა - № 1 №2-ს შეხვდებოდა, შესაბამისად, №3 - №4-ს. კენტნომრიანი გუნდები კი ნახევარფინალის პირველ მატჩებში მასპინძლები იქნებოდნენ. სულ ეს იყო წილისყრის პროცედურა, რომლის შედეგადაც გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**„გაგრა"-"ვიტ ჯორჯია"**

**„ტორპედო"-"ზესტაფონი"**

ნახევარფინალის მატჩების თარიღებს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ნახევრის კალენდართან ერთად, ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილება ამ დღეებში წარმოადგენს.

როგორც ხედავთ, „ვიტ ჯორჯიას" ისევ პირველლიგელი გუნდი ერგო მეტოქედ. თუ წინა გათამაშებაში ვეტერინარებს მარტვილის „მერანთან" მოუნიათ დაპირისპირებამ, ამჯერად მეოთხედფინალში თბილისის „დინამოს" მძლეველ „გაგრას" შეეჭიდებიან. მეორე ნახევარფინალი კი იმერული დერბია და დიდ ინტერეს იწვევს. სხვათა შორის, ეს გუნდები თასის წინა გათამაშების მერვედფინალში ერთმატჩიან რაუნდში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ ზესტაფონელებმა ქუთაისში **ჯაბა დვალისა** და **თორნიკე აფციაურის** გოლებით, 2:0 მოიგეს და მეოთხედფინალში გავიდნენ. სულ ეს გუნდები აქამდე ათჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, 6-ჯერ „ზესტაფონმა" მოიგო, 2-ჯერ „ტორპედომ", ორიც ფრე იყო. ბურთების სხვაობაშიც ზესტაფონელთა უპირატესობაა - 13-11. აღსანიშნავია ისიც, რომ 13 გოლიდან ყველაზე მეტი, 6 **ზურაბ იონანიძის** ანგარიშზეა, რომელიც „ზესტაფონამდე" სწორედ „ტორპედოში" თამაშობდა. ერთადერთი ფეხბურთელი კი **დავით ჯანაშიაა,** რომელსაც ორივე გუნდში უთამაშია და ორივესთვის გაუტანია.

**დავით ცაბაძე**

● ბენდელას თასი

# დღეს ბენდელა იწყება
## უმაღლესლიგელები რუსთავში ითამაშებენ

დღეს "საბურთალოს" საფეხბურთო სკოლაში "ბენდელას თასის" საიუბილეო, მე-20 ტურნირი იწყება, რომელიც აფხაზეთში გმირულად დაღუპულ **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნას ეძღვნება. ამ ტრადიციული ტურნირის მნიშვნელობა თანდათან იზრდება - მასში უმაღლესი ლიგის წამყვანი კლუბები ჩაერთვებიან, შესაძლოა, უცხოურიც.

დღეს კი "საბურთალოში" ბავშვთა ტურნირი დაიწყება, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 16 გუნდი მონაწილეობს.

*"საიუბილეო გათამაშება ბავშვთა ტურნირით გაიხსნება. 24 დეკემბერს თამაშები 10 საათიდან დაიწყება, ფინალი კი 29 დეკემბერს გაიმართება. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ "ბენდელას თასი" წლეულს თვისებრივად ახალ მასშტაბს შეიძენს. 27 დეკემბრიდან "საბურთალოზე" დიდების ოთხთა ტურნირი დაიწყება, რომელშიც უცხოეთსა თუ საქართველოში მოთამაშე ბევრი ცნობილი ფეხბურთელი მიიღებს მონაწილეობას: ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, დავით სირაძე, დავით ჯანელიძე, ზაზა ჭელიძე, ალეკო გოგობერიშვილი, მაქსიმე ქვილითაია და სხვანი.*

*სულ მთავარ ტურნირში ოთხი გუნდი იქნება, ორი ლეგიონერებისა და ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული, აგრეთვე პრობაციონარების და ტურნირის ორგზის გამარჯვებული სეუ. მატჩები 16 საათზე დაიწყება, ფინალი კი 29 დეკემბერს გაიმართება",* - გვითხრა "ბენდელას თასის" ორგანიზატორმა **ქართლოს ჭუმბურიძემ**.




ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამიერიდან "ბენდელაზე" მესამე ტურნირიც გაიმართება, ოღონდ იანვარში, სტანდარტულ სტადიონზე.

*"იანვარში "ბენდელას" მესამე ტურნირი რუსთავში გაიმართება, წინასწარი თანხმობა უკვე განაცხადეს თბილისის "დინამომ", "ზესტაფონმა", რუსთავის "ოლიმპმა", ცხინვალის "სპარტაკმა", თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" და "გაგრამ". ტურნირს რუსთავი უმასპინძლებს. თუმცა არ არის გამორიცხული, გუნდების ნაწილმა შესარჩევი მატჩები ზესტაფონშიც ჩაატაროს. საქმე ისაა, რომ დასავლეთ საქართველოს კლუბებმა "ბენდელაზე" მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, "ზესტაფონი" კი მზად არის, ჯგუფური ეტაპის მატჩებს საკუთარ სტადიონზე უმასპინძლოს. გარდა ამისა, თბილისში ჩამოსულმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, რომ თაუზის "თურანის" მოსამზადებლად საქართველოში ჩამოყვანა და ტურნირში ჩართვა სურს.*

*გავითვალისწინეთ ის გარემოებაც, რომ იანვარში გუნდები მოსამზადებელ ეტაპს გადიან და მატჩები ყოველ მესამე დღეს ჩატარდება, კლუბებმა სამზადისის გრაფიკი რომ დაიცვან. საბოლოოდ გათამაშება ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპამდე, ანუ 12 თებერვლამდე დასრულდება და ვფიქრობ, კარგი მოსამზადებელი ტურნირი გამოგვივა",* - ამბობს ჭუმბურიძე.

*იგი მადლიერია დავით კირკიტაძისა, რომლის იდეაც იყო "ბენდელას" დიდ მოედანზე გამართვა: "უკვე შევეჩვიეთ იმ ფაქტს, რომ "ბენდელას" ჰყავს არა სპონსორები და პარტნიორები, არამედ მეგობრები, რომლებიც თხოვნის გარეშე, საკუთარი სურვილით გვიკავშირდებიან და თანადგომას გვიცხადებენ. წლეულსაც ასე მოხდა. ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე დამიკავშირდა და რუსთავის სტადიონზე თამაში შემოგვთავაზა, თანაც ტურნირის მასპინძლობის ხარჯს საკუთარ თავზე იღებს.*

*გვერდში დაგვიდგნენ "იბერია ბიზნეს ჯგუფი", "კუს ტბა", "ჯეოსელი", "ყაზბეგი", "კრომბახერი", "სარაჯიშვილი", "მაკდონალდსი", ყავა "პელე", "ოილენდი", "ალგორითმი", "მორკინალი", "ვულევუ", მე მათ ვუწოდებ არა სპონსორებს, არამედ მეგობრებს, რადგან მათი მიზანი გმირის, ზაზა ბენდელიანის დაფასებაა. ამ ხალხის დამსახურებაა, ტურნირზე ბევრი პრიზი რომ დაწესდება. საშეჯიბრო მხარეს კი საკუთარ თავზე თბილისის ფეხბურთის ფედერაცია იღებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

საგრანსფერო ვნებანი

# ბლეფი

„მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგის ტიტულს უმიზნებს და ამისათვის „ვოლფსბურგიდან" **ედინ ჯეკოს** გადაბირება სურს, მაგრამ გერმანელებმა ფეხბურთელი 38 მილიონი ფუნტი დააფასეს - 38 მილიონი ფუნტი დღევანდელი კურსით 58,67 მილიონი დოლარია. როგორც ჩანს, შეცდა ისტლენდელთა იტალიელი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი**, ჯეკოს შეძენის სურვილი აშკარად რომ გამოხატა - ვოლფსბურგელებმა ფულის შოვნის საშუალება დაინახეს. ცნობილია, რომ მანჩინიმ კლუბის თავმჯდომარეს **ხალდუნ ალ მუბარაქს** უთხრა, ჯეკომ შეიძლება ის ძალა შეგვძინოს, რომლის წყალობითაც მეოთხეს კი არა, პირველ ადგილს დავიკავებთო. გადაიხდის „სიტი" 24 წლის ფორვარდში ასეთ თანხას? ამ კითხვაზე პასუხს დაბეჯითებით, რასაკვირველია, ვერ გაგცემთ, მაგრამ გეტყვით, რომ მანჩესტერელები ამ ბოლო დროს „ქამრის შემოჭერაზე" ფიქრობენ და ამიტომ საზერერვო ვარიანტსაც ამუშავებენ - „ლივერპულისგან" **ფერნანდო ტორესის** გადაბირება უნდათ. ადრე ტორესის „ენფილდიდან" წაყვანა შეუძლებელი ჩანდა, დღეს კი აშკარად სხვა მდგომარეობაა. ამბობენ, რომ მართალია „ლივერპული" ესპანელი ფორვარდის გაყიდვაზე ხმამაღლა კატეგორიულ უარს ამბობს, ჩუმად სულ სხვანაირად იქცევაო.

არის მეორე ვარიანტიც: „ვოლფსბურგს" ფულის შოვნა კი არა, ჯეკოს დატოვება უნდა და ამიტომ აფასებს ასე ძვირად. ბუნდესლიგის გუნდს, რომელმაც თასზე „კოტბუსთან" 3:1 წააგო (ვოლფსბურგელთა ერთადერთი გოლი სწორედ ჯეკომ შეაგდო) იმედი აქვს, რომ მდგომარეობას შემოატრიალებს, თუმცა ეს შესაძლოა უკვე ინგლისელი მწვრთნელის **სტივ მაკლარენის** გარეშე მოხდეს. მაკლარენს წყალი აქვს შეყენებული.

ზოგადად „სიტი" მხარჯველ გუნდად არის ცნობილი, სატრანსფერო ბაზარზე ჯიბეზე ხელის გაკვრისგან უკან არ იხევს, მაგრამ ყველაზე მეტი, 32,5 მილიონი აქვს გადახდილი. ეს ფული 2008 წელს **რობინიოს** სანაცვლოდ მადრიდის „რეალს" გადაუხადა. შეგახსენებთ, რომ „ვოლფსბურგი" ავტოგიგანტ „ფოლკსვაგენის" გუნდია, ასე რომ, მატერიალურად არ უჭირს. ამიტომაც იმედოვნებს მანჩესტერელთა მთავარი „ვაჭარი" **ბრაიან მარვუდი**, რომ გერმანელები ბლეფს (მისი სიტყვებია) თავს დაანებებენ და რეალურ თანხას დაასახელებენ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თავად ჯეკოსაც ძალიან უნდა „მანჩესტერ სიტიში" გადასვლა. ამასთან დაკავშირებით მან „ვოლფსბურგის" ოფისს წერილობითაც კი მიმართა. ინგლისურმა გაზეთებმა ბუნდესლიგის კულისებშიც შეყვეს ცხვირი და გამოიკვლიეს, რომ ბოსნიელი ფორვარდი მეტად და მეტად უკმაყოფილოა. სტივ მაკლარენმა კი ასე თქვა:



ჯეკო სიტის დარჩება?

*„იმედი გვაქვს, რომ ჯეკო დარჩება. ის მსოფლიო კლასის ფორვარდია, მაგრამ ჩვენ ფეხბურთში ვტრიალებთ, აქ კი ყველაფერი ხდება".*

თავად ჯეკომ ასე განაცხადა: *„არასდროს მიცდია ჩემი ტრანსფერის დაჩქარება. საექვოა იანვარში სადმე წავიდე. ვნახოთ, ყველაფერი „ვოლფსბურგის" გადასაწყვეტია".*

მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ მანჩინის ბოსნიელის ყიდვა **კარლოს ტევესის** თავიდან მოსაშორებლად უნდა, თუმცა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ იტალიელს ტევესისთვის აკიდებული დიდი ტვირთისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება და ტაქტიკური ვარიანტების გამრავალფეროვნება სურს.

მანჩინისთვის ცხადია, რომ ემოციურ **მარიო ბალოტელის** ვერ დაეყრდნობა – აფრო-იტალიელი ინგლისში ცხოვრებას ვერ ეგუება. „ბოქსინგ დღეს" (შობის მეორე დღე) „ნიუკასლის" წინააღმდეგ ის, სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

ლივერპულში



ჰოჯსონს ბენიტესის არ ეშინია

# მერსისპირული ამბები

**როი ჰოჯსონმა** განაცხადა, რომ **რაფა ბენიტესის** იტალიიდან წამოსვლა და მერსისაიდში დაბრუნება მას, როგორც „ლივერპულის" თავკაცს, პრობლემას არ უქმნის. ცნობილია, რომ ბენიტესის აგენტი **გარსია კუილონი** მილანს გაემგზავრა და ესპანელი სპეციალისტის „ინტერიდან" განთავისუფლების ფინანსურ საკითხებს აგვარებს – ბენიტესმა „სან სიროზე" უიღბლო ნახევარი წელიწადი გაატარა.

ამგვარად, რაფა ბენიტესი შინ დაბრუნდა, სახლი კი მას ინგლისში, ლივერპულთან მდებარე პატარა ნახევარკუნძულ უირელზე აქვს, მდინარე მერსის პირას. კაცმა რომ თქვას, წამოსვლის წინ მან კარი გამოიჯახუნა – მილანელებს მსოფლიოს საკლუბო თასი მოაგებინა და მერსისაიდზეც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს არ არის გასაკვირი, „ლივერპულის" ფანებს ხომ ჰოჯსონის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აქვთ. მათ ლივერპულის ცენტრში ბანერები გამოფინეს: *„საშობაოდ ერთადერთი საჩუქარი მინდა – რაფა"* და *„რაფა, შენ „ლივერპულს" ეკუთვნი."*

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჰოჯსონი მისი წინამორბედის უმუშევრად დარჩენამ და ქალაქში დაბრუნებამ ვერ შეაშინა. ის არ ფიქრობს, რომ კაცი, რომელმაც „წითლებს" 2005 წელს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, მას სამსახურს წაართმევს.

*„რაფა ბენიტესი ამ ეტაპზე „ლივერპულისთვის" შესაფერისი კანდიდატურა რომ ყოფილიყო, პოსტიდან არ მოხსნიდნენ. მოხსნიდან ნახევარ წელიწადში მის დაბრუნებაზე ლაპარაკი სისულელეა. საერთოდ, „წითლების" თავკაცის თანამდებობა ისეთია, რომ რამდენიმე კანდიდატურას ყოველ დღე განიხილავენ. ეს ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე ცხელი სკამი გახლავთ და ჩემს შემცვლელებზე მუდმივად რომ არ ლაპარაკობდნენ, გასაკვირიც იქნებოდა. ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრს ჩემი, უბრალოდ, შურს და ადგილის წართმევაზე ოცნებობს".*

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც როი ჰოჯსონს მისი ამა თუ იმ წინამორბედის აჩრდილი წამოადგა თავს. ოქტომბერში, როდესაც „ლივერპულმა" შინ სამარცხვინოდ წააგო „ბლექპულთან" ანდა ნოემბერში, როდესაც „წითლებმა" „სტოკთან" დაყარეს ფარ-ხმალი, „კოპის" ლეგენდარული ტრიბუნა **კენი დალგლიშის** დაბრუნებას ითხოვდა. თუმცა, ჰოჯსონის პოზიცია არ შერყეულა. ის კვლავ თანამდებობაზეა და შობის პერიოდს დიდი იმედით შეჰყურებს. ინგლისელი ამბობს, რომ სწორედ ახლა შეიძლება სეზონის მათთვის სასარგებლოდ შემოტრიალება. 26 დეკემბერს ანუ ინგლისურად „ბოქსინგ დღეს" (ასე ეძახიან ინგლისში შობის მეორე დღეს) „ლივერპულს" ბლექპულში უწევს თამაში. ამ შეხვედრაში თავიდანვე ითამაშებს გამოჯანმრთელებული **სტივენ ჯერარდი**, თუმცა **ჯო კოულისა** რა მოგახსენოთ. „ჩელსის" გარემარბი გასულ ზაფხულს მერსისაიდში ქვეყნის ჩემპიონის ტიტულით დამშვენებული გადავიდა, მაგრამ საქმე ცუდად წაუვიდა და ახლა ამბობს, რომ კარიერაში ასეთი კოშმარული პერიოდი არ ჰქონია. კოული ამბობს, რომ მისთვის უჩვეულოა იმის კეთება, რასაც ჰოჯსონი სთხოვს – **ფერნანდო ტორესის** უკან სივრცის შევსება, მწვრთნელი კი ფიქრობს, რომ ამ სიტყვებით ფეხბურთელი თავის ჩავარდნას ამართლებს.

*„რასაც ვავალებ, მისი უშუალო საქმეა. ჯო ნახევარმცველია და გთხოვთ, ამიხსნათ, თუ ეს არა, მაშ რა უნდა აკეთოს მოედანზე ამ ამპლუის მოთამაშემ? რასაც ვუყურებ, სტივენ ჯერარდი ნახევარდაცვის ყოველ მონაკვეთზე თამაშობს. რატომ? იმიტომ, რომ კარგი ფეხბურთელია და იცის რა უნდა აკეთოს. სტივენს „ფულჰემთანაც" შეეძლო ეთამაშა, მაგრამ ის შეხვედრა გადაიდო. ერთი მხრივ ეს ცუდი არ იყო, რადგან მან კიდევ დაისვენა და ტრავმა მოიშუშა, მაგრამ მეორე მხრივ ჯერარდს უკვე პრაქტიკა სჭირდება. რაც შეეხება ჯოს, მან უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენთან „ჩელსიში" გატარებული ცუდი პერიოდის შემდეგ გადმოვიდა. მას რატომღაც ეგონა, რომ „ენფილდ როუდს" ერთბაშად დაიპყრობდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა – რას იზამ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ახლა კოულმა საკუთარი შესაძლებლობების განსაკუთრებული რწმენა უნდა გამოამჟღავნოს, რასაც, იმედია მოახერხებს, რადგან კარგი ფეხბურთელი და ნამდვილი პროფესიონალია. მან უნდა დაგვარწმუნოს, უპირველეს ყოვლისა, მე და შემდეგ სხვა ადამიანები, რომ სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც ძალიან სჭირდება „ლივერპულს". ამასთან, გეტყვით, რომ ჯო კოული მონდომებით ვარჯიშობს. ერთი კარგი თამაში და ერთი-ორი გოლი ყველაფერს ყირაზე დააყენებდა. ერთი სიტყვით, ჩვენ დღითი დღე ვძლიერდებით და ერთადერთი, რაც ამწუთას შემიძლია ვთქვა ის არის, რომ სხვებთან ერთად ჯოს იმედიც გვაქვს".*

გასულ ზაფხულს, როდესაც რაფა ბენიტესისგან „ლივერპულის" მწვრთნელის თანამდებობა გადაიბარა, როი ჰოჯსონმა კოულის გადაბირების ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო, მაგრამ ფეხბურთელისთვის არაფრის გარანტია არ მიუცია.

*„როდესაც ჯო კოულს პირველად შევხვდი, მე მას ვუთხარი, რომ მოედანზე რომელიმე გარანტირებულ ადგილს ვერ გამოვუყოფდი. ვუთხარი, რომ სტივენ ჯერარდი „ლივერპულიდან" არსად მიდიოდა, ასე რომ ამპლუა, რომელიც მას უნდოდა მოეგო, ძალიან ძნელი მოსაპოვებელი იქნებოდა. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი კარგად ახსოვს".*

ამბები

## კატი-მდოგვი

ყოფილმა თანაგუნდელმა **ელ-ჰაჯი დიუფმა ჯეიმი კარაგერს** „არავინ" უწოდა. 29 წლის სენეგალელი 2002-2005 წლებში „ლივერპულში" თამაშობდა და მერსისაიდელ ვეტერანთან სწორედ მაშინ ჩამოუყალიბდა ცუდი ურთიერთობა. ხუთი წლის წინანდელი ამბავი ახლა იმიტომ წამოტივტივდა, რომ კარაგერმა ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა, რომლის წაკითხვის შემდეგ „ბლექბერნის" მემარჯვენე ფორვარდი აღშფოთდა:

*„ლივერპულელებს კარაგერისნაირი ათი ფეხბურთელი რომ ჰყავდეთ, ვერასდროს ვერაფერს მოიგებდნენ. ჩემთვის ის არავინ არის. მე მას ჰოთ-დოგზე მოსხმულს კეტჩუპს ან მდოგვს შევადარებდი".*

## ნანის რონალდო უშლიდა

„მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი გარემარბი **ნანი** ამტკიცებს, რომ ამ სეზონში პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლა მის გუნდსა და „ჩელსის" შორის გაიმართება. სხვა სიტყვებით, 24 წლის ვარსკვლავმა „არსენალი" და „მანჩესტერ სიტი" ჩამოწერა. შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედი" მიმდინარე სეზონში საუკეთესო ფეხბურთს ვერ თამაშობს, მაგრამ შობას მაინც პირველ ადგილზე ეგებება. ნანიმ თქვა:

*„ჩვენსა და „ჩელსის" გარდა ტიტულის კანდიდატად ვერავინ წარმომიდგენია. იმედი მაქვს, რომ საბოლოოდ ჩემპიონები ჩვენ გავხდებით".*

მას მერე, რაც მისი თანამემამულე **კრიშტიანო რონალდო** „იუნაიტედიდან" „რეალში" წავიდა, ნანი ბრწყინვალედ ათამაშდა. ამის შესახებ გარემარბმა თქვა:

*„რასაკვირველია, რონალდოს წასვლის შემდეგ თავის გამოჩენა გამიადვილდა. რონალდო ხომ საოცარი ფეხბურთელია, რომელიც თამაშის დროს ყველაფერს იპყრობს. მე მის მხარდამხარ თამაში მსიამოვნებდა. ჩვენ კარგად ვუგებდით ერთმანეთს. მეორე მხრივ, არ მოგატყუებთ და გეტყვით, რომ მისი წასვლის შემდეგ დანარჩენი ფეხბურთელები გამოვჩნდით. მეც გამომიჩნდა საშუალება ხალხისთვის ჩემი ნიჭი მეჩვენებინა. სერ ალექს ფერგიუსონმა თავდაცვის მნიშვნელობა ამიხსნა და მითხრა, რომ თუ დაცვაში კარგად ვითამაშებდი, შეტევაში უფრო ეფექტური გავხდებოდი. მწვრთნელი სავსებით მართალი აღმოჩნდა. მინდა მომავალში კიდევ უფრო ძლიერად ვითამაშო და მომავალ წელს „ოქროს ბურთის" ნომინანტთა შორის მოვხვდე".*

## კი, კინს

„ბლექბერნის" მწვრთნელად 2010-11 წლების სეზონის დასრულებამდე დაინიშნა **სტივ კინი**, რომელიც აქამდე გუნდში **სემ ელერდაისის** ასისტენტად მუშაობდა. მოგეხსენებათ, კლუბის ახალმა, ინდოელმა მეპატრონეებმა ელერდაისი სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაუშვეს სამსახურიდან, რის შემდეგაც კინი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა, ახალა კი სრულფასოვანი თავკაცის უფლებებით აღიჭურვა. ამბობენ, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, „ბლექბერნის" ახლანდელ თავკაცს უკეთესი ურთიერთობა აქვს სააგენტო SEN-თან, რომელმაც ხელშეკრულების თანახმად კლუბს სატრანსფერო ბაზარზე ფეხბურთელები უნდა აყიდვინოს.

## ბენტლი ფულჰემს უმიზნებს

როგორც ჩანს, „ევერტონი" „ტოტენჰემ ჰოთსპურის" 26 წლის მარჯვენა გარემარბ **დევიდ ბენტლის** ხელში ვერ ჩაიგდებს, რადგან ფეხბურთელს „ასტონ ვილაში" ან „ფულჰემში" სურს გადასვლა. არადა, ლივერპულის გუნდის შოტლანდიელ მწვრთნელს **დევიდ მოიესს** იმედი ჰქონდა, რომ ნაახალწლევს ბენტლის თავისთან იხილავდა.

ყველაზე სავარაუდო ბენტლის „ფულჰემში" გადასვლაა, სადაც მისი „ბლექბერნის" დროინდელი მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** თავკაცობს. რაც შეეხება „სფურზს", ამ ლონდონურ კლუბს სურს, რამენაირად ამოიღოს ის 15 მილიონი ფუნტი, რომელიც ზემოხსენებულ „ბლექბერნს" ბენტლის სანაცვლოდ გადაუხადა 2008 წელს.

## ყველას მინუს ერთი

„არსენალის" მცველი **ტომას ვერმალენი** კიდევ ერთი თვის განმავლობაში იმკურნალებს აქილევსის მყესს. ბელგიელი აგვისტოში დაშავდა და თავიდან ეგონათ, რომ ის რამდენიმე დღეში დაუბრუნდებოდა მოედანს, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ყველაფერი გაცილებით რთულად არის. **არსენ ვენგერმა** თქვა:

*„მის დაბრუნებას უფრო იანვრის ბოლოსკენ ველი. ის ჯერ ძალიან სუსტად არის და მოსაყოჩაღებლად სამი-ოთხი კვირა დასჭირდება. ვცდილობ, ძალიან ფრთხილად მოვიქცე, რადგან გამოცდილება მკარნახობს, რომ დაჩქარებით კარგი არაფერი გამოვა".*

მეორე მხრივ კი „მეთოფეთა" ბანაკში კარგი ამბებია. გამოჯანმრთელდნენ **ლუკაშ ფაბიანსკი, აბუ დიაბი, სესკ ფაბრეგასი** და **რობინ ვან პერსი**. ისინი ორშაბათს „ჩელსის" წინააღმდეგ ითამაშებენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერია A

# იშვიათი ლიდერი და მოულოდნელი მდევრები


ნაცნობი სურათი

**გუშინდელ ნომერში გაგაცანით ის თერთმეტი ფეხბურთელი, რომლებმაც სეზონის პირველი ეტაპის სიმბოლურ ნაკრებში დაიმსახურეს მოხვედრა. დღეს კი შევეცდებით გავაანალიზოთ ყველაფერი ის, რაც განვლილი 17 ტურის განმავლობაში მოხდა. ბუნებრივია, ყველაფერზე დეტალურად სასაუბროდ ერთი და ორი გვერდი არ გვეყოფა, ამიტომ, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას.**

## ლიდერი

„მილანი" ევროპული ფეხბურთის აღიარებული გრანდია, მაგრამ სატურნირო ცხრილის სათავეში იშვიათად უწევს ყოფნა. დიახ, ბოლო წლებში ასეთი რამ პრაქტიკულად არ მომხდარა და ბუნებრივია, გულშემატკივრები ძალიან კმაყოფილნი არიან მიმდინარე სეზონში განვითარებული მოვლენებით. პირველივე ტურებიდან „როსონერი" სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს და დამაჯერებლად ლიდერობს. მართალია, უახლოეს მდევრებს მხოლოდ სამი ქულით უსწრებს, მაგრამ საქმეც მაგაშია, რომ უახლოესი მდევრები „მილანის" მთავარი კონკურენტები არ არიან. „ნაპოლისა" და „ლაციოსადმი" ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ გუნდებმა სკუდეტოსთვის ბოლო ტურებამდე იბრძოლონ. „როსონერის" მთავარ კონკურენტებად კი ისევ და ისევ „იუვენტუსი", „რომა" და „ინტერი" უნდა მივიჩნიოთ. ლომბარდიელები ტურინელებს ხუთი ქულით უსწრებენ, რომაელებს შვიდით, თანაქალაქელებს კი მთელი 13 ქულით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ინტერს" ორი თამაშით ნაკლები აქვს გამართული და თუ ორივე გადადებული მატჩი მოიგო, სხვაობას შვიდ ქულამდე შეამცირებს.

„მილანია" ძალიან ძლიერი თუ კონკურენტები მოიკოჭლებენ? – ეს კითხვა იტალიურ პრესაში ხშირად ისმის. ალბათ უფრო მეორე, რადგან „მილანი" ჯერჯერობით არ ტოვებს უძლეველი გუნდის შთაბეჭდილებას. ეს კარგად გამოჩნდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, სადაც ლომბარდიულმა გრანდმა მადრიდის „რეალს" ვერცერთი თამაში მოუგო. „სან სიროზე" გამართული შეხვედრა ფრედ დასრულდა, ეს კარგად გვახსოვს, მაგრამ თამაშით აშკარად სამეფო კლუბმა აჯობა მასპინძელს და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წუთზე გადაარჩინა ქულა, გადარჩენილი მაინც „მილანს" უნდა ვუწოდოთ. არადა, ეს ყველაფერი იმ „რეალთან" მოხდა, რომელიც „ბარსელონასთან" პაექრობაში საშინლად შერცხვა და ისე განადგურდა, სამი პასი ვერ გადააბა ერთმანეთს. თუმცა, ისე არ გაიგოთ, რომ „მილანი" არაფრად ვარგა – არა, გუნდი თამაშობს უკეთესად, ვიდრე წინა წლებში და ეს მთლიანად **მასიმილიანო ალეგრის** დამსახურებაა. ახალი მწვრთნელის ხელში „მილანი" მართლაც უკეთესად ათამაშდა და გასვლაზე თუ სახლში ქულებს სტაბილურად აგროვებს. სტაბილურობა კი „როსონერის" **კარლო ანჩელოტის** დროსაც აკლდა და მით უმეტეს, **ლეონარდოს** პერიოდშიც. მაინც რა შეცვალა ალეგრიმ? – ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ...

სინიორ მასიმილიანომ აქცენტი სისწრაფეზე გააკეთა და უარი თქვა ისეთ ფეხბურთელებზე, რომლებიც შესაძლოა ინდივიდუალური ოსტატობით ყველასგან გამოირჩევიან, მაგრამ მაღალ ტემპში თამაში არ ძალუძთ. ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნება **რონალდინიო**, რომელიც გასულ სეზონში გუნდის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი იყო და მიუხედავად ამისა, ალეგრიმ ის თადარიგში გადაისროლა. წინა წლებისგან განსხვავებით, აღარც **კლარენს ზეედორფია** ძირითადი შემადგენლობის უცვლელი ფეხბურთელი და ვის ათამაშებს მათ ნაცვლად ალეგრი? – **კევინ პრინც ბოატენგს, რობინიოს** და იმავე **მატიო ფლამინის**, რომელმაც არაერთი შეხვედრა დაიწყო სასტარტო თერთმეტეულში. ერთი შეხედვით, ბოატენგს ბევრი უკლია ზეედორფამდე და არც რობინიოს აქვს გაუჩოს დარი ტექნიკა, მაგრამ სამაგიეროდ, გუნდი დარბის, „მილანი" სწრაფად გადადის დაცვიდან შეტევაში და პირიქით, რასაც შედეგი მოაქვს. როგორც იქნა, გამოჩნდა მეკარე, რომელსაც მწვრთნელი ბოლომდე ენდობა და ისიც ამართლებს ამ ნდობას. უფრო სწორად, აბიატი აქამდეც ჩანდა, მაგრამ ასეთი სტაბილური არ იყო. ხან **მარკო სტორარი** იდგა „მილანის" კარში, ხან **ჟელკო კალაჩი**, ხანაც **ნელსონ დიდა**, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩებოდა. რაც მთავარია, „მილანს" ჰყავს **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** – როგორც **ადრიანო გალიანიმ** განაცხადა, ფეხბურთელი, რომელიც „როსონერის" აუცილებლად მიიყვანს სკუდეტომდე.

## სიურპრიზი

ის, რომ „მილანის" ლიდერობა ამ გუნდის უძლეველობაზე მეტად კონკურენტების სისუსტის ბრალია, სერია A-სთვის მთლად კარგი ამბავი ვერ არის, მაგრამ კალჩოში არსებულ ვითარებას მხოლოდ პესიმისტურ ჭრილში ვერ განვიხილავთ. ჯერ ერთი, ბოლო ტურებში „იუვემაც" ამოქაჩა და „რომამაც", ანუ თუ „მილანს" ლიდერობის შენარჩუნება სურს, სეზონის მეორე ნახევარი გაცილებით უკეთ უნდა ჩაატაროს. და მეორე, რამდენიმე ისეთი გუნდი გაერია ლიდერებში, რომლისგანაც ამას არავინ ელოდა. სეზონის პირველი ნახევრის მთავარი მოულოდნელობა „ლაციოს" შესანიშნავი ასპარეზობაა და იქვე უნდა ვთქვათ „ნაპოლის" წარმატებების შესახებაც.

მართალია, ახლო წარსულში „ლაციომ" იტალიის თასი მოიპოვა, მაგრამ ამან ოდნავადაც არ შეცვალა საერთო ტენდენცია ამ გუნდის რეგრესირების შესახებ. სეზონის წინ, თითქოს არაფერი უქადდა იმას, რომ რომაელებს წარმატებულად უნდა ეასპარეზათ, თუმცა რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. „ლაციოს" წარმატების მთავარი შემოქმედი **ედუარდო რეიაა**, რომელმაც შეძლო და არსებული რესურსისგან მაქსიმუმი გამოიღო. სეზონის დაწყებამდე კლუბის მესვეურები **სტეფანო მაურისთან** აპირებდნენ გამოთხოვებას, თუმცა რეიას დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ განზრახვაზე ხელი აიღეს. გადაიბირეს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელი **ერნანესი**, რომელმაც თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. ექსპერტთა მოსაზრებით, „ლაციალეს" ყველაზე ძლიერი რგოლი ნახევარდაცვაა და ეს იქიდანაც ჩანს, რომ თითქმის ყველა პაექრობაში ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას რეიას გუნდი ფლობს. „ლაციო" შემთხვევით არ გახლავთ ცხრილის ზედა ნაწილში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იმ პაექრობებშიც კი, რომელშიც გუნდი ქულებს კარგავს, მისი უპირატესობით მიმდინარეობს. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ რეია მუდმივად ცვლის ტაქტიკა-სტრატეგიას და მიუხედავად ამისა, გუნდი სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობს. ჯერჯერობით, საუკეთესო თამაშს ვერ აჩვენებს **მაურო სარატე** – ბოლო ტურებში შედარებით მიუახლოვდა ოპტიმალურ კონდიციას, რაც იმის იმედს იძლევა, რომ სეზონის მეორე ნახევარში ჩვეულად ათამაშდება. სარატე კი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მას მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. და კიდევ ერთი, **სერჯო ფლოკარი** ურიგო ფორვარდი არ გახლავთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში რომაელები უფრო მაღალი დონის თავდამსხმელის გადაბირებაზე იფიქრებენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს საკითხი დგას კიდეც დღის წესრიგში.

„ნაპოლის" წარმატებებიც მთავარ მწვრთნელთან ასოცირდება, რაც ნამდვილად არ გახლავთ გასაკვირი. **ვალტერ მაძარი** იმ იშვიათ მწვრთნელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც გუნდს სამი მცველით ათამაშებენ. ანუ, „ნაპოლი" 3-5-2-ით თამაშობს, რომელიც თავდაცვისაც ტრანსფორმირდება და 5-3-2 ხდება. დასაწერად იოლია, შესასრულებლად კი ძალიან რთული, ამიტომ, ამ სქემას ბევრი მწვრთნელი, უბრალოდ, ერიდება. არ მოერიდა მაძარი და თუ განვლილი ბატალიებით ვიმსჯელებთ, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. კლუბის პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** გულშემატკივრებს სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას ჰპირდება – ვნახოთ, თუ აასრულა სიტყვა, ვინ იცის, იქნებ, „ნაპოლიმ" მართლაც სკუდეტოსთვის იბრძოლოს.

## იმედგაცრუება

სეზონის მთავარი იმედგაცრუება „ინტერის" ძალიან ცუდი ასპარეზობაა. მილანელთა კრიზისი იტალიაში ბევრს გაუხარდა, მაგრამ ამ გუნდის გულშემატკივრები ბუნებრივია, რომ ძალიან იმედგაცრუებულნი არიან. მართალია, სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ „ნერაძურიმ" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ ჩვენ სერია A-ზე ვსაუბრობთ და თანაც, საკლუბო მუნდიალის პრესტიჟი ევროპაში არცთუ ისე მაღალია. ის, რომ **ჟოზე მოურინიო** წავიდა გუნდიდან, თავად მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო და ამაში **მასიმო მორატის** ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ. რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა პრეზიდენტმა, მაგრამ პორტუგალიელის შენარჩუნება ვერაფრით მოახერხა. სამაგიეროდ, მაშინ შეცდა, როდესაც „მანჩესტერ სიტიში" გაშვებულ **მარიო ბალოტელის** ღირსეული შემცვლელი არ მოუძებნა. „ინტერის" გასული სეზონის ტრიუმფში მარიომ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა და ეს მიუხედავად იმისა, რომ მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა. გასაგებია, რომ ჭირვეული ხასიათის გამო, მისი გუნდიდან გაშვება გადაწყდა, მაგრამ ამასთანავე, შემცვლელის მოძებნა იყო საჭირო. „ინტერის" მესვეურებმა იპასიურეს და ეს ძალიან ცუდად დაუხვდათ წინ. პრობლემამ მაშინ იჩინა თავი, **როდესაც დიეგო მილიტო** დაშავდა და ცენტრფორვარდის პოზიციაზე **სამუელ ეტოომ** აინაცვლა. გარემარბის პოზიცია გათავისუფლდა, სადაც ხან **ჯონათან ბიაბიანი** ირჯებოდა, ხანაც **კოუტინიო**. ახალგაზრდა ფეხბურთელების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ „ინტერის" დარ გუნდში თამაშისთვის ჯერ ბოლომდე მზად არ არიან. რაც მთავარია, ველარც **გორან პანდევია** ისეთი ძლიერი, როგორიც გასულ სეზონში – ამაში გასაკვირი არაფერია, ეს მოურინიოს აქვს ნიჭი, პანდევის კალიბრის ფეხბურთელისგან სუპერვარსკვლავი დააყენოს, რაც **რაფაელ ბენიტესს**, უბრალოდ, არ შეუძლია. დავამატოთ ამ ყველაფერს ტრავმების ეპიდემია და შედეგად, მივიღებთ მეშვიდე ადგილზე მყოფი „ინტერს", რომელიც მთელი 13 ქულით ჩამორჩება ლიდერს. ზემოთაც ვთქვით, „ნერაძურის" ორი მატჩით ნაკლები აქვს გამართული, მაგრამ ასეთი თამაშით ძნელად წარმოსადგენია, რომ გადადებულ პაექრობებში ქულათა მაქსიმუმი მოიპოვოს.

კიდევ ერთი გუნდი, რომელმაც სეზონის პირველ ეტაპზე გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა, „ფიორენტინა" გახლავთ. ამ შემთხვევაშიც კლუბის მესვეურთა არასწორ სატრანსფერო პოლიტიკამდე მივდივართ. აშკარაა, რომ **სინიშა მიხაილოვიჩს** მაღალი კლასის ფეხბურთელები, უბრალოდ, არ ჰყოფნის. დიდწილად ეს თავად სერბის ბრალია, რადგან ზაფხულში არ მოითხოვა სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობა. როგორც ჩანს, ის ძალიან კმაყოფილი იყო იმით, რომ „ფიორენტინას" მესაჭეობა ანდეს და გმირულად გადაწყვიტა, მაღალი მიზნებისთვის არსებული კონტინგენტით ებრძოლა - არ გამოვიდა, „ფიორენტინა" არ ჰგავს იმ გუნდს, რომელიც თუნდაც ევროპის ლიგის საგზურს მოიპოვებს. ჯერჯერობით, არც ზამთარში გაძლიერების შესახებ ვრცელდება ინფორმაციები, რაც იმ პროგნოზისკენ გვიბიძგებს, რომ „ვიოლას" პროგრამა მაქსიმუმი სერია A-ში ადგილის შენარჩუნება იქნება. ამას ალბათ მოახერხებენ კიდეც ფლორენციელები, მაგრამ საკითხავია, ამას ელოდნენ გულშემატკივრები?...

**ლაშა ნიკლაური**

ლაურეატი

# ვორლდ სოკერის რჩეულნი: ჩავი, ესპანეთი, მოურინიო...




ჩავიმ მსოფლიოს ვორლდ სოკერიდან გადმოხედა

ფიფას „ოქროს ბურთის" გამარჯვებულის ვინაობა იანვარში გაირკვევა, „ვორლდ სოკერმა" კი უკვე დაასახელა რჩეული - **ჩავი ერნანდესი**. ავტორიტეტული ბრიტანული ჟურნალის რჩეულმა მკითხველთა ხმების 25,8% მიიღო და ეჭვგარეშე არგენტინელ **ლეო მესის** აჯობა. ასე დაუფასდა მსოფლიოს ჩემპიონს ის ჯაფა, რაც მან 2010 წელს ეროვნულ ნაკრებსა და „ბარსელონაში" გასწია. წლეულს „ვორლდ სოკერის" არჩევნები 28-ედ ჩატარდა. პრიზის შარშანდელმა მფლობელმა ლეო მესიმ ხმების 24,1% მიიღო. როგორც ხედავთ, არგენტინელი სულ მცირედით ჩამორჩა ჩავის. მესამე ადგილზე ჰოლანდიელი **ვესლი სნეიდერი** გავიდა, „ინტერის" ვარსკვლავმა ხმების 17,3% დააგროვა.

ათეულში მოხვედრილი 9 წევრი მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა, გამონაკლისი მხოლოდ **დიეგო მილიტოა**, არგენტინელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორი გოლი გაიტანა. ამ გამოკითხვამ კიდევ ერთხელ აჩვენა ესპანური ლიგის უპირატესობა - ათეულში 6 ფეხბურთელი პრიმერადივიზიონიდანაა, 3 სერია A-დან და მხოლოდ ერთი ბუნდესლიგიდან. ბრიტანულმა ჟურნალმა ათეულში ერთი ფეხბურთელიც არ შეიყვანა პრემიერლიგიდან!

წლის საუკეთესო გუნდი ესპანეთის ეროვნული ნაკრები გახდა, რომელმაც უდიდესი უპირატესობით მოიგო გამოკითხვა, საუკეთესო მწვრთნელი კი **ჟოზე მოურინიო** გახდა. წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი **თომას მიულერია**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

| წლის საუკეთესო ფეხბურთელი | |
|---|---|
| 1. ჩავი (ბარსელონა) | 25,8% |
| 2. მესი (ბარსელონა) | 24,1 |
| 3. სნეიდერი (ინტერი) | 17,3 |
| 4. ფორლანი (ატლეტიკო) | 15,8 |
| 5. ინიესტა (ბარსელონა) | 10,8 |
| 6. დ. მილიტო (ინტერი) | 1,2 |
| 7. ვილია (ბარსელონა) | 1,1 |
| 8. კასილიასი (რეალი) | 0,9 |
| 9. ეტოო (ინტერი) | 0,5 |
| 10. როზენი (ბაიერნი) | 0,4 |
| სხვები | 2,1 |

| წლის საუკეთესო მწვრთნელი | |
|---|---|
| 1. მოურინიო (ინტერი/ბარსელონა) | 48,3 |
| 2. დელ ბოსკე (ესპანეთი) | 26,6 |
| 3. ტაბარესი (ურუგვაი) | 5,2 |
| 4. ლიოვი (გერმანია) | 3,3 |
| 5. გვარდიოლა (ბარსელონა) | 2,5 |

| წლის საუკეთესო გუნდი | |
|---|---|
| 1. ესპანეთი | 63,3 |
| 2. ინტერი | 16,5 |
| 3. ბარსელონა | 5,3 |
| 4. ურუგვაი | 3,5 |
| 5. გერმანია | 2,4 |

| წინა გამარჯვებულები | |
|---|---|
| 1982 | პაოლო როსი |
| 1983 | ზიკო |
| 1984 | მიშელ პლატინი |
| 1985 | მიშელ პლატინი |
| 1986 | დიეგო მარადონა |
| 1987 | რუუდ გულიტი |
| 1988 | მარკო ვან ბასტენი |
| 1989 | რუუდ გულიტი |
| 1990 | ლოთარ მათეუსი |
| 1991 | ჟან-პიერ პაპენი |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი |
| 1993 | რობერტო ბაჯო |
| 1994 | პაოლო მალდინი |
| 1995 | ჯანლუკა ვიალი |
| 1996 | რონალდო |
| 1997 | რონალდო |
| 1998 | ზინედინ ზიდანი |
| 1999 | რივალდო |
| 2000 | ლუიშ ფიგუ |
| 2001 | მაიკლ ოუენი |
| 2002 | რონალდო |
| 2003 | პაველ ნედვედი |
| 2004 | რონალდინიო |
| 2005 | რონალდინიო |
| 2006 | ფაბიო კანავარო |
| 2007 | კაკა |
| 2008 | კრიშტიანო რონალდო |
| 2009 | ლიონელ მესი |

ესპანეთი. სამეფო თასი. 1/8 ფინალი, საპასუხო მატჩები

# სამეფო გუნდის ფიესტა სამეფო თასზე

## მოტობაიკები და სამთვალები

„სამეფო თასის" მერვედფინალები ზანტად დაიწყო, სამ მატჩში სულ 2 გოლი გავიდა და ისიც ერთი პენალტით, თუმცა ოთხშაბათს ერთბაშად იხუვლეს გოლებმა - 5 შეხვედრაში 27 გოლი გავიდა. განსაკუთრებით კი თავი **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა გამოიჩინეს - საბრალო „ლევანტეს" 8 უპასუხო გოლი გაუტანეს და წყვილის ბედის საკითხი ძველ წელს გაატანეს.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" ვალენსიური კლუბის რბევა ვიხილეთ. „ლევანტე" ცუდ დროს ჩაუვარდა ხელთ ჟოზე მოურინიოს შეგირდებს. ბოლო დროს პორტუგალიელი თავკაცი ერთობ ცუდ ხასიათზეა... 8 გოლიდან 6 ორმა შეაგდო - **ქარიმ ბენზემამ** და **კრიშტიანო რონალდომ** ჰეთ თრიკები მიითვალეს. თითო გოლიც **მესუთ იოზილმა** და შესვლაზე შესულმა **პედრო ლეონმა** გაიტანეს. ბევრს გაუკვირდა, რომ ჟოზემ თასზეც საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა, მოედანზე რონალდოც ვიხილეთ, რომლის თამაშიც მცირე ტრავმის გამო საეჭვო იყო.

დაიწყო მატჩი და ცხადი შეიქმნა, რომ ფეხბურთელებს მოურინიოსგან დავალება ჰქონდათ მილებული - წყვილის ბედი ახლავე უნდა გარკვეულიყო. პირველი გოლი ბენზემამ გაიტანა, მან **ხავი ტორესის** უხეირო პასი ჩაჭრა, **რობუსტეს** ფეხებს შორის გაუტარა ბურთი, მოატყუა ტორესი და მეკარე **გუსტავო მუნუა**. მალევე რონალდოს პასით იოზილმა გაიტანა. ყველა გოლის აღწერას არ შევუდგებით, დავწერთ, რომ ტაიმი „რეალმა" 4:0 მოიგო, ხოლო გოლების უმეტესობა „ლევანტეს" მცველთა საშინელი თამაშის წყალობით გავიდა. 4 იანვარს „სიუტატ დე ვალენსიაზე" საპასუხო მატჩია, სადაც მოურინიო „რეალის" სარეზერვო შემადგენლობას გამოცდის. იცით რა თქვა ნაგების შემდეგ „ლევანტეს" თავკაცმა **ლუის გარსიამ**? - ისინი მოტობაიკებით ასპარეზობდნენ, ჩვენ კი - სამთვალა ველოებითო.

„ვისენტე კალდერონზე" „ატლეტიკომ" „ესპანიოლს" უმასპინძლა და წვიმიან ამინდში მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. ცხადია, ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ იანვარში, ბარსელონაში გაირკვევა. გამარჯვების გოლი პენალტით „ატლეტიკოს" კაპიტანმა **სიმაომ** გაიტანა, რომელიც ამ თამაშით დაემშვიდობა ესპანურ გუნდს. ამ თამაშში პირველივე ტრაიმში კოჭი იღრძო მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელმა **დიეგო ფორლანმა**. ექიმთა დასკვნით, ის 3 კვირით გამოაკლდა „ატლეტიკოს".

ოთხშაბათს „სანჩეს პისხუანზე" ნამდვილი ანდალუსიური თრილერი ვიხილეთ 8 გოლით - „სევილიამ" 2-ბურთიანი სხვაობით კი დაამარცხა „მალაგა", მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მეოთხედფინალში გასვლის საკითხი უკვე გადაწყვიტა - 5:3. სევილიაშივე სეგუნდადივიზიონის „ბეტისი" 1:2 დამარცხდა „ხეტაფესთან". გვარიანად იმხიარულა მაყურებელმა ალმერიაშიც, სადაც ადგილობრივმა გუნდმა 4:3 მოუგო „მალიორკას".

| ატლეტიკო-ესპანიოლი | 1:0 |
|---|---|

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, დომინგესი, ფ. ლუიში - რეიესი, ასუნსაო, ტიაგო, სიმაო (82. რ. გარსია) - ფორლანი (13. დ. კოშტა), აგუერო (90. ფ. მერიდა).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - ჩიკა, ამატი, რუისი, დ. გარსია - ბაენა, ხ. მარკესი (46. ხ. კალეხონი) - ვერდიუ, ს. გარსია (70. ფორლინი), დატოლო (76. ალვარო) - ოსვალდო.

**გოლი:** 1:0 სიმაო (32-პენ)

**გაძევება:** რეიესი (41), რუისი (66)

| ბეტისი-ხეტაფე | 1:2 |
|---|---|

**ბეტისი (4-4-2):** კასტო - ისიდორო, ბელენგერი, დორადო, ვეგა - სევილია, არსუ (46. ესეკიელი), ბენატი (68. ხუანდე), ისრაელი (61. როდრი) - რ. კასტრო, მოლინა.

**ხეტაფე (4-2-3-1):** უსტარი - მ. ტორესი, რაფა, მარკანო, მანე - ბოატენგი, პარეხო - პ. რიოსი (82. კასკერო), მანუ (64. არისმენდი), გავილანი (76. ვ. სანჩესი) - მიკუ.

**გოლები:** 0:1 მიკუ (27), 0:2 პ. რიოსი (35), 1:2 მოლინა (87-პენ)

| სევილია-მალაგა | 5:3 |
|---|---|

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კონკო (46. ალექსისი), კასერესი, ესკუდე, ლუნა - ალფარო, ზოკორა, რომარიკი, კაპელი - ლ. ფაბიანო (54. კანუტე), ნეგრედო (75. როდრი).

**მალაგა (4-4-2):** რუბენი - გასპარი, მალაგუენო, ველიგტონი, მტილიგა - პორტილიო (66. ფერნანდო), რესიო (73. მ. ტორესი), ს. სილვა, დუდა (56. ელიზეუ) - რონდონი, ქუინსი.

**გოლები:** 1:0 ალფარო (11), 1:1 რონდონი (19), 1:2 რონდონი (26), 2:2 ნეგრედო (32), 2:3 ქუინსი (41), 3:3 რომარიკი (66), 4:3 რომარიკი (80), 5:3 კაპელი (82).

| ალმერია-მალიორკა | 4:3 |
|---|---|

**ალმერია (4-3-3):** ესტებანი - ლილიო, მ. სილვა, კ. გარსია, იაკობსენი - ხოსე ორტისი (62. კრუსატი), ბერნარდელო, ვარგასი - ვალერი (62. კ. უჩე), ულოა (77. კორონა), პიატი.

**მალიორკა (4-4-2):** ლუქსი - რატინიო, კრესპი, რუბენი, კევინი - ნსუე, დე გუზმანი, ხ. ვიქტორი, პერეირა - ვებო, ვიქტორი (89. რამისი).

**გოლები:** 1:0 ულოა (6), 1:1 დე გუზმანი (22), 2:1 ულოა (28), 2:2 ვიქტორი (44), 3:2 უჩე (65), 4:2 ულოა (72), 4:3 ვებო (88).

| რეალი-ლევანტე | 8:0 |
|---|---|

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ლ. დიარა, პეპე, ალბიოლი, მარსელო - ჩაბი ალონსო, გრანერო (74. მ. დიარა) - დი მარია, იოზილი (74. პ. ლეონი), რონალდო - ბენზემა (77. მორატა).

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - სერა, ბალესტეროსი, რობუსტე, დელ ორნო - სერხიო (57. რ. სუარესი), ხ. ტორესი - მუნიოსი, პალიარდო, ხუანლუ (69. ვალდო) - ფ. კაისედო (46. სტუანი).

**გოლები:** 1:0 ბენზემა (6), 2:0 იოზილი (9), 3:0 ბენზემა (31), 4:0 რონალდო (44), 5:0 ბენზემა (68), 6:0 რონალდო (71), 7:0 რონალდო (73), 8:0 პ. ლეონი (89).

ნიკოლოზ ნეფარიძე




სამ-სამი გოლის ავტორები

ამბები

### ბენიტესი ოფიციალურადაც დაითხოვეს

"ინტერმა" ოფიციალური განცხადებით დაადასტურა ის ამბავი, რომელიც ისედაც ყველამ იცოდა. ცხადია, მხედველობაში **რაფა ბენიტესის** გათავისუფლება გვაქვს. ესპანელს მილანურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისამდე ჰქონდა გაფორმებული და შესაბამისად, ბენიტესი ხელშეკრულების განყვეტისთვის "ინტერისგან" გვარიან კომპენსაციას მიიღებს.

კლუბმა თავისი განცხადებით ბენიტესს გაწეული სამუშაოსა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგებისთვის მადლობა გადაუხადა, თავის მხრივ კი რაფამ "ინტერის" მისამართით არ დაიშურა სამადლობელი სიტყვები და თქვა, რომ იტალიაში რამდენიმეთვიანმა მუშაობამ დიდი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა.

### მესი არგენტინაში მეორეა

**ლეო მესიმ** მეორე ადგილი დაიკავა გამოკითხვაში, რომელიც არგენტინელმა ჟურნალისტებმა ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ჩაატარეს. "ბარსელონასა" და მსოფლიო ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავს ბალახის ჰოკეის მოთამაშე **ლუჩიან აიმარმა** აჯობა. მესი მხოლოდ საზღვარგარეთ მოთამაშე საუკეთესო არგენტინელი სპორტსმენის წოდებას დასჯერდა.

### სიმაო ოფიციალურადაც ბეშიქთაშელია

რამდენიმე დღის წინ დავწერეთ, რომ **სიმაო** "ბეშიქთაშში" გადასვლასთან იყო ახლოს, გუშინ კი ეს ამბავი ოფიციალურადაც დადასტურდა და ვეტერანმა პორტუგალიელმა ნახევარმცველმა სტამბულურ კლუბთან კონტრაქტიც გააფორმა.

მისმა წასვლამ „ატლეტიკოს" თავკაც **კიკე სანჩეს ფლორესს** გული დასწყვიტა. *"ასეთ პროფესიონალთან მუშაობა ჩემთვის დიდი პატივი იყო. სიმაოს უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა"*, - ამბობს ფლორესი და იქვე ამატებს, რომ მის შემცვლელს უკვე ეძებს.

სიმაო "ატლეტიკოში" 2007 წელს "ბენფიკადან" გადავიდა, საზოგადოებამ კი "ბარსელონაში" თამაშით გაიცნო.

### მაკარონე ტრანსფერზე დააყენეს

ეს ამბავი მედიას **მასიმო მაკარონეს** აგენტმა **პაოლო ფაბრიმ** აცნობა და იქვე თქვა, რომ მისი კლიენტის შეძენის სურვილი "ფიორენტინას" აქვს. *"პალერმოს" წარმომადგენელმა დამირეკა და მითხრა, რომ მასიმო კლუბს აღარ სჭირდება. რა გაეწყობა, ახალი კლუბის ძიებას უკვე შევუდექით და "ფიორენტინას" გარდა, რეალურ წინადადებებს სხვებისგანაც ველით"*, - აცხადებს ფაბრი.

31 წლის მაკარონემ იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში 15 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

### პლატინის თავი ქუდში აქვს

22 დეკემბერს უეფას პრეზიდენტობის მსურველებს განაცხადის შეტანის ბოლო დღე ჰქონდათ. ამ პოსტის დაკავების სურვილი კი მხოლოდ მოქმედმა პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** გამოთქვა და შესაბამისად, 22 მარტს პარიზში დანიშნული არჩევნებიც სრულ ფორმალობად იქცა. პლატინი, რომელიც უეფას პრეზიდენტი 2007 წელს გახდა, ევროპული ფეხბურთის მართვას მეორე ვადით შეუდგება და უეფას სათავეში მინიმუმ 2015 წლამდე იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

უცხოური ფეხბურთი

გერმანიის თასი. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა



შტუტგარტის ახალი მწვრთნელი ბრუნო ლაბადია შეგირდებს ამშვიდებდა

# საგიჟეთი გერმანიის თასზე

## დეჟავიუ შტუტგარტში და მეორე ბუნდესლიგის ზეობა

**გერმანიის თასის მერვედფინალურ ეტაპზე ძალიან მშვიდ სამშაბათს, ოთხშაბათის სახით ნამდვილი საგიჟეთი მოჰყვა. „შტუტგარტმა“ და „ბაიერნმა“ კვირას, ბუნდესლიგის ეგიდით დადგმული სპექტაკლი გაიმეორეს - მიუნხენურმა გრანდმა შვაბური კლუბი ისევ არასაფეხბურთო ანგარიშით დაამარცხა, დანარჩენ სამ შეხვედრაში კი მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენლებმა ელიტელები დაამარცხეს: არც „აინტრახტი“, არც „ვოლფსბურგი“, არც „კიოლნი“ - მეოთხედფინალში „ალემანია“, „კოტბუსი“ და „დუისბურგი“ გავიდნენ.**

**ალემანია–აინტრახტი 0:0 (პ.ს. 5:3)**

**ალემანია (4-1-2-1-2):** ჰოჰსი - კასპერი, შტელე, ფაისტჰამელი, ახენბახი - კრატცი - ჰიოგერი, იუნგლასი - არსლანი - აუერი, გეიე (76. ცუმე).

**აინტრახტი (4-2-3-1):** ფერმანი - ს. იუნგი, ვასოსკი, შვეგლერი, ცაველასი - კლერკი, კიოლერი (83. ფენინი) - ოხსი (120. ამანატიდისი), ა. მაიერი, ჰალილ ალთინთოფი (95. კაიო) - გეკასი.

*მე-15 წუთზე ჰიოგერმა (ალემანია) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 1:0 ჰიოგერი (93), 1:1 ფენინი (99)

**პენალტების სერია:** 1:0 იუნგი, 1:1 ფენინი, 2:1 ახენბახი, 2:1 ა. მაიერი (ააცილა), 3:1 არსლანი, 3:2 კაიო, 4:2 შტელე, 4:3 ამანატიდისი, 5:3 აუერი

**გაფრთხილება:** კასპერი - გეკასი, ცაველასი, ვასოსკი

**გაძევება:** შვეგლერი (14. აინტრახტი)

**მაყურებელი:** 32 160

**შტუტგარტი–ბაიერნი 3:6**

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, დელპიერი, მოლინარო (35. კუზმანოვიჩი) - ტრეში, გენტნერი (89. ბიჩაქჩიჩი) - ჰარნიკი, ბოკა - პოგრებნიაკი, კაკაუ.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბრენო, პრანიჩი - ვან ბომელი (54. ვან ბუიტენი), ოტლი - თ. მიულერი, შვაინშტაიგერი, რიბერი - გომესი (30 კლოზე).

*74-ე წუთზე გენტნერმა (შტუტგარტი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 0:1 ოტლი (6), 0:2 გომესი (8), 1:2 პოგრებნიაკი (32), 2:2 პოგრებნიაკი (52), 2:3 კლოზე (52), 3:3 დელპიერი (77), 3:4 თ. მიულერი (81), 3:5 კლოზე (86), 3:6 რიბერი (94)

**გაფრთხილება:** ბოკა - ტიმოშჩუკი

**გაძევება:** ბულარუზი (67. შტუტგარტი), დელპიერი (87. შტუტგარტი)

**მაყურებელი:** 40 500

**ვოლფსბურგი–კოტბუსი 1:3**

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - რიტერი, კიაერი, მადლუნგი, მ. შეფერი - ჟოსუე (72. ჩიგერჩი), კალენბერგი (84. ა. ფრიდრიხი) - გრაფიტე, დიეგო, მანჯუკიჩი (46. სისერო) - ჯეკო.

**კოტბუსი (4-2-3-1):** კირშბაუმი - ბიტროფი, ჰიუნემაიერი, ბრჟენსკა, ციბიგი - კრუშკა, როგერი - შაო (78. აფრიიე), რეიმერინკი (63. კურთი), პეტერსენი (86. რადუ) - იულა.

**გოლები:** 0:1 პეტერსენი (2), 0:2 შაო (40), 0:3 პეტერსენი (43), 1:3 ჯეკო (56)

**გაფრთხილება:** მანჯუკიჩი, დიეგო, ჯეკო - კრუშკა, როგერი

**მაყურებელი:** 10 801

**კიოლნი–დუისბურგი 1:2**

**კიოლნი (4-2-3-1):** მონდრაგონი - ბრეჩკო, ჟერომელი, მოჰამადი (46. მაკენა), ერეთი (46. ზალგერი) - ლანიგი, მატუშიკი - ჟაჟალო, იალსინი (65. კლემენსი), პოდოლსკი - ტეროდე.

**დუისბურგი (4-2-3-1):** იელდელი - ბ. კერნი, ბრუნო სუარესი, ბაიჩი, ვეინაუ - კობი, გრლიჩი - შაჰანი, ტროიანი (91. რაიხე), ბალიაკი (85. ილმაზი) - მაიერჰოფერი (89. შეფლერი).

**გოლები:** 0:1 მაიერჰოფერი (3), 0:2 კობი (76), 1:2 ტეროდე (84)

**გაფრთხილება:** პოდოლსკი, იალსინი, ერეთი, მატუშიკი - მაიერჰოფერი

**მაყურებელი:** 44 500

კვირას 3:5, ოთხშაბათს 3:6 - „შტუტგარტმა“ და „ბაიერნმა“ „მერსედეს ბენც არენაზე“ კიდევ ერთი, ამჯერად ერთი გოლით უხვგოლიანი სპექტაკლი დადგეს. ოთხი დღის ინტერვალში ჩატარებულ ორ შეხვედრაში გუნდი 11 გოლს რომ გაიტანს, საუკეთესო ეპითეტებს იმსახურებს, მაგრამ ასეთების ჩამორიგებისგან ისევ თავი უნდა შევიკავოთ, რადგან ორ თამაშში 11 გოლის გატანა კი კარგია, მაგრამ ექვსი გოლის გაშვება ფესტივალს აკნინებს. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რეკორდმაისტერს დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს. აკი, **ბასტიან შვაინშტაიგერმაც** თქვა მატჩის მერე, დაცვაში ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, რომ თმა ყალყზე დამიდგება ხოლმეო. *„გერმანიის თასზე კიდევ არა უშავს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში დაცვის ხაზის ასეთი თამაშით შორს ვერ წავალთ,“* - ამბობს შვაინი.

მიუნხენელებს ბლიც-სტარტი გამოუვიდათ: მე-6 წუთზე **ოტლმა** ანგარიში გახსნა და ორ წუთში **გომესმა** მეორე შეაგდო. მარიოსთვის ეს ბოლო 15 ოფიციალურ მატჩში მე-19 გოლი გამოვიდა. გომესი ყოფილ თანაგუნდელებს კიდევ გაუტანდა, რომ არა დასანანი მცირე ტრავმა, რის გამოც იძულებული გახდა, მოედანი 30-ე წუთზე დაეტოვებინა. „შტუტგარტის“ ქომაგებმა გომესსაც უსტვინეს და თავისი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებსაც, მაგრამ **პაველ პოგრებნიაკმა** შესვენებამდე ორი გოლის გატანა და ანგარიშის გათანაბრება შეძლო. მეორე ტაიმში კი უფრო დიდი საგიჟეთი ვიხილეთ: 52-ე წუთზე თამაშში გომესის ნაცვლად ჩართულმა **მირო კლოზემ** „ბაიერნი“ ისევ დააწინაურა; ზუსტად ორ წუთში ვან გაალმა **მარკ ვან ბომელი** მოედნიდან გაიყვანა (**ვან ბუიტენი** შეუშვა), რის გამოც კაპიტნის რისხვა გამოიწვია, ვან გაალმა კი თქვა, ფეხი სტკიოდა და მოედნიდან გასვლა მაინც არ უნდოდაო. 57-ე წუთზე **მარტინ ჰარნიკმა ჰანს-იორგ ბუტის** კარის ძელი შეაზანზარა, ათ წუთში კი „შტუტგარტის“ მარჯვენა მცველმა **ხალიდ ბულარუზმა** მეორე ყვითელი ბარათი და შესაბამისად გაძევება დაიმსახურა. საინტერესო ისაა, რომ შვაინშტაიგერი, ვისზეც ბულარუზი დაჯარიმდა, მსაჯს სთხოვდა, მოედნიდან ნუ გააძევებო. ბასტიანის აზრით, ჯარიმა არ იყო ისეთი სავალალო, რომ ჰოლანდიელს მეორე გაფრთხილება მიეღო, მაგრამ მსაჯს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ შეუცვლია.

74-ე წუთზე შვაბებს ანგარიშის გათანაბრების ბრწყინვალე შანსი ჰქონდათ, როცა ბუტმა **კაკაუსთან** ორთაბრძოლისას, საკუთარ საჯარიმოში თამაშის წესები დაარღვია, მაგრამ **კრისტიან გენტნერმა** პენალტი ვერ გამოიყენა, მაგრამ სამ წუთში ანგარიში მაინც გათანაბრდა: **დელპიერმა** კუთხურიდან თავით იხეირა - 3:3! ის-ის იყო ხალხმა იფიქრა, მეტი აღარაფერი მოხდება და სეირი დამატებულ ტაიმებში გაგრძელდებაო, რომ მიუნხენელებმა „შტუტგარტს“ ათ წუთში სამი გოლი გაუტანეს...

### როდის გააგდებენ მაკლარენს?

„ვოლფსბურგი“ გერმანიის თასიდან სამარცხვინოდ გავარდა და გერმანიის ექსჩემპიონის მთავარი მწვრთნელი **სტივ მაკლარენი**, წესით დღეს-ხვალ უმუშევარი უნდა დარჩეს. საკუთარ „ფოლკსვაგენ არენაზე“ „კოტბუსთან“ 1:3 წაგება მას ლოგიკურად არ უნდა აპატიონ. თანაც, „ვოლფსბურგი“ ბუნდესლიგაშიც საშინელ დღეშია, პირველი წრე მე-13 ადგილზე დაასრულა. ფაქტია, რომ ინგლისელმა სპეციალისტმა, რომელიც „მგლების“ თავკაცად სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დანიშნეს, ვერ მოახერხა საკმაოდ კარგი შემადგენლობის ისე შეთამაშება, რომ გუნდი გუნდს დაემსგავსოს.

მაგალითად, 43-ე წუთზე „კოტბუსის“ ნახევარმცველმა **რეიმერინკმა**, რომელიც „ენერგიმ“ მაკლარენის ყოფილ კლუბ „ტვენტედან“ სულ რაღაც 200 000 ევროდ იყიდა, ისე გააცურა „ვოლფსბურგის“ 12 მილიონ ევროდ ნაყიდი მცველი **სიმონ კიაერი**, რომ წესით, დანიელ უკანახაზელს ძალიან უნდა რცხვენოდეს.

ახენის „ალემანია“ გერმანიის თასის მუდმივი სიურპრიზის წოდებას წარმატებით ინარჩუნებს. თასზე სენსაციური წარმატებების მიღწევის ადრინდელ გამოცდილებას ახენელებმა წელს კიდევ ორი სენსაცია შემატეს: „ალემანიამ“ „მაინცის“ შემდეგ თასიდან კიდევ ერთი პირველბუნდესლიგელი, ფრანკფურტის „აინტრახტი“ გააგდო - გუნდი, რომელმაც გასულ უქმეებზე დორტმუნდის „ბორუსიას“ დამარცხება შეძლო. შეხვედრის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, დამატებითი - 1:1, პენალტების სერიაში კი „ალემანიამ“ იმის გამო მოიგო, რომ ფრანკფურტელ **ალექს მაიერს** ნერვებმა უმტყუნა.

ახენელები, ისევე, როგორც მეოთხედფინალში გასული ყველა გუნდი (მათ შორის „დუისბურგიც“, რომელმაც „კიოლნი“ გააგდო), გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან თითო მილიონ ევროს მიიღებენ. სწორედ ასე ფასდება გერმანიის თასის მეოთხედფინალში გასვლა...

**1/4 ფინალის წილისყრა**

### ბაიერნი აახენში ჩავა!

უკვე გაიმართა მეოთხედფინალის წილისყრაც. გუნდები ასე დაწყვილდნენ: შალკე-ოფენბახი/ნიურნბერგი, კოტბუსი-ჰოფენჰაიმი, ალემანია-ბაიერნი, დუისბურგი-კობლენცი/კაიზერსლაუტერნი. როგორც გუშინდელ ნომერშიც ვიუწყებოდით, „ოფენბახისა“ და „ნიურნბერგის“, ასევე „კობლენცისა“ და „კაიზერსლაუტერნის“ მერვედფინალური თამაშები დიდთოვლობის გამო გადაიდო. ჯერჯერობით უცნობია, როდის ჩატარდება ეს შეხვედრები. ფაქტი ის არის, რომ 26 იანვრამდე უნდა გაიმართოს, რადგან 26 იანვარს მეოთხედფინალური თამაშებია დაგეგმილი.

ბუნდესლიგა. ტრანსფერები

# ჰანკემ სეზონი გახსნა!


მაიკ ჰანკე (მარცხნივ) ჰანოვერიდან გლადბახში გადავიდა, კიოლნის მეკარე ფარიდ მონდრაგონი (შუაში) ფილადელფიაში მიდის და მას თხებში მიხაელ რენზინგი (მარჯვნივ) შეცვლის

ზაფხული 2011 თუ სულაც 2012 - როდის გადავა **მანუელ ნოიერი** „შალკედან“ „ბაიერნში“, ან გადავა კი საერთოდ? დღესდღეობით ეს საფეხბურთო გერმანიის მთავარი სალაპარაკო და სადისკუსიო თემაა, მაგრამ ნოიერის მიუნხენში გადაბარგების პერსპექტივა „ხვალინდელი დღის მოსალოდნელი თოვლია“. შესაბამისად, უმჯობესია, უკვე განხორციელებულ ტრანსფერებზე ვილაპარაკოთ. მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად პირველ იანვარს იხსნება, ბუნდესლიგაში 11 ტრანსფერი უკვე განხორციელდა. სიას ქვემოთ გაეცნობით, მანამდე კი რამდენიმე სატრანსფერო სიახლე ბუნდესლიგიდან:

### ბეინესმა ბაიერნი იუარა

ბოლო დღეებში გერმანულ პრესაში მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მიუნხენის „ბაიერნს“ ინგლისის ნაკრებისა და „ევერტონის“ ფეხბურთელის, **ლეიტონ ბეინესის** გადაბირება უნდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც იუწყებოდნენ, რომ მიუნხენური კლუბის მენეჯერი **კრისტიან ნერლინგერი** ინგლისში იმყოფებოდა და „ევერტონის“ ფლანგის მცველს აკვირდებოდა. ნერლინგერი „ევერტონისა“ და „მანჩესტერ სიტის“ მატჩს დაესწრო. „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ბეინესს ძალიან საინტერესო ფეხბურთელს უწოდებს, ინგლისიდან დაბრუნებულმა ნერლინგერმა კი თქვა, რომ ევერტონელი ძალიან მოეწონა.

მაგრამ რამდენად მოსწონს ბეინესს „ბაიერნში“ გადასვლის პერსპექტივა? - საკითხავი, აი, ეს არის. 26 წლის მარცხენა მცველმა „ლივერპულ დეილი პოსტს“ განუცხადა, რომ არსად წასვლაზე არ ფიქრობს.

*„სპეკულაციების შესახებ კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ. ჩემი თამაშის სანახავად ძალიან ბევრი ჩამოდის, მაგრამ მე მხოლოდ „ევერტონზე“ ვარ კონცენტრირებული. აქედან წასვლა არ მინდა,“* - აღნიშნა ბეინესმა, რომელმაც ზაფხულში ლივერპულულ კლუბთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ისე კი, ამ კლუბში 2007 წლიდან თამაშობს. ბეინესი „ევერტონამდე“ „უიგანის“ ღირსებას იცავდა.

### ლევერკუზენმა იაპონელი იყიდა და გაანათხოვრა

„ლევერკუზენმა“ გუშინ ორი ტრანსფერი სრულყო და საქმე ორივე შემთხვევაში ერთ ფეხბურთელს ეხება. „ფარმაცევტებმა“ იაპონური „ურავა რედ დაიმონდსიდან“ **ჰაიმე ჰოსოგაი** გადაიბირეს და იმავე დღეს, 2012 წლამდე ყოველგვარი საზღაურის გარეშე მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „აუგსბურგში“ გაანათხოვრეს. 24 წლის იაპონელმა „ლევერკუზენთან“ ოთხწლინახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა.

### ვერდერი: არანაირი მეგატრანსფერი

მიუხედავად ბუნდესლიგის პირველი წრის კატასტროფულად ჩატარებისა, ბრემენის „ვერდერის“ ხელმძღვანელები იანვარში მეგატრანსფერის განხორციელებას კატეგორიულად გამორიცხავენ.

*„ჩვენ არ გვაქვს საამისო ფინანსები, რომ ზამთარში შევიძინოთ ფეხბურთელი, რომელიც ოთხი ან ხუთი მილიონი ევრო ღირება. ასეთი ფეხბურთელი რომ ვიყიდოთ, ისეთი ხელფასი უნდა მივცეთ, რომლის გადახდაც არ შეგვიძლია, რადგან ევროტურნირებს გამოვეთიშეთ და არ ვიცით, ვითამაშებთ თუ არა გაისად ჩემპიონთა ლიგაში ან ევროპის ლიგაში,“* - ეს ბრემენული კლუბის სპორტული დირექტორის, **კლაუს ალოფსის** სიტყვებია.

ალოფსისთვის მთავარი ის არის, რომ „ვერდერს“ ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავდეს. კლაუსი დარწმუნებულია, რომ თუ მეორე წრეში „ვერდერს“ არავინ დაუშავდება, „მუსიკოსები“ სეზონის მეორე ნახევარს პირველზე გაცილებით უკეთ ჩაატარებენ. შეგახსენებთ, რომ პირველი წრე „ვერდერმა“ მე-14 ადგილზე დაასრულა. ამ დღეებში ბრემენულ კლუბთან დაკავშირებით მხოლოდ ორი სატრანსფერო ჭორი ვრცელდება. ჩვენი გერმანელი კოლეგები ბრემენელთა თავდამსხმელ **უგო ალმეიდას** თურქულ „ბეშიქთაშში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ და დღენიადაგ გაიძახიან, რომ „ვერდერში“ მას „კაიზერსლაუტერნის“ გოლეადორი **სრდიან ლაკიჩი** შეცვლის.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

| ფეხბურთელი | საიდან | სად | რამდენად |
|---|---|---|---|
| მაიკ ჰანკე | ჰანოვერი | ბორუსია (მ) | უფასოდ |
| ფირმინიო | ფიგეირენსე | ჰოფენჰაიმი | 4 მლნ |
| ველინგტონი | ჰოფენჰაიმი | ფიგეირენსე | უფასოდ |
| მიხაელ რენზინგი | უკლუბოდ | კიოლნი | უფასოდ |
| მორიტც ლაიტნერი | მიუნხენ 1860 | ბორუსია (დ) | 600 000 |
| ფარიდ მონდრაგონი | კიოლნი | ფილადელფია | უფასოდ |
| ტიმო ოხსი | უკლუბოდ | ნიურნბერგი | უფასოდ |
| მეთიუ სპირანოვიჩი | ნიურნბერგი | ურავა | 450 000 |
| დარიო ვიდოშიჩი | ნიურნბერგი | არმინია | არენდა |
| ფელიქს ბორხა | მაინცი | პუებლა | უფასოდ |
| ჰაიმე ჰოსოგაი | ლევერკუზენი | აუგსბურგი | არენდა |

## ამბები

### სერბთა რჩეულები

სერბეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად **დეიან სტანკოვიჩი** დაასახელეს. "ინტერის" ვეტერანი ნახევარმცველისთვის ეს მეორე აღიარებაა. პირველად მას ეს პატივი 2006 წელს ხვდა წილად. საუკეთესო მწვრთნელად კი **მილოვან რაიევაცი** აღიარეს, რომელმაც განის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიყვანა. ცნობისათვის, ეს უკანასკნელი დღესდღეობით არაბეთის გაერთიანებული საამიროების "ალ აჰლის" წვრთნის.

### არშავინი რუსეთში პირველია

რუსეთში კი "არსენალის" შემტევი ნახევარმცველი **ანდრეი არშავინი** არა მხოლოდ წლის საუკეთესო ფეხბურთელი, არამედ საუკეთესო სპორტსმენიც გახდა. გამოკითხვაში მეორე ადგილი ფიგურისტმა **ევგენი პლიუშჩენკომ** დაიკავა, მესამეზე კი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა** გავიდა.

### მუტუ ინგლისში გაახსენდათ

სკანდალური ხასიათისა და ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი მიდრეკილების მიუხედავად, **ადრიან მუტუზე** მოთხოვნა მაინც არსებობს. "ფიორენტინას" რუმინელი ფორვარდით ინგლისური "ქუინზ პარკ რეინჯერსია" დაინტერესებული, რომელიც მართალია, ჩემპიონ ლიგაში გამოდის, მაგრამ იქ ერთპიროვნულად ლიდერობს და პრემიერლიგაში ალზევების მშვენიერი შანსი აქვს.

### ამერიკელი ნოტინგემში

აშშ-ის ნაკრების თავდამსხმელი **რობი ფინდლი** თავისუფალი აგენტის სტატუსით „ნოტინგემ ფორესტში" გადავიდა. მას ახალ კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, რადგან ბრიტანეთში მუშაობის უფლებას ელის. აქამდე ფინდლი ამერიკულ "რეალ სოლტ ლეიკში" თამაშობდა. თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში მას 11 მატჩი აქვს ჩატარებული, სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე ფინდლიმ 3 შეხვედრა გამართა.

### ბაიერნი ჰოლანდიას შეხვდება

სწორედ ასეთი კომპრომისი გამონახეს მოდავე მხარეებმა, "ბაიერნმა" და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ. შეგახსენებთ, **არიენ რობენმა** ტრავმა სანაკრებო შეკრებაზე მიიღო, რამაც მიუნხენელები სპორტულადაც აზარალა და ფინანსურადაც. ასე რომ, ჰოლანდიელები ამ ვალს თავისი ნაკრებისა და "ბაიერნის" ამხანაგური მატჩიდან მიღებული შემოსავლებით გადაიხდიან. შეხვედრის ჩატარების დრო და ადგილი ჯერ არ დადგენილა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა



ჩელსი-მანჩესტერი გადაიდო...

ლელო-ს საახალწლო სიურპრიზი პატარა ფეხბურთელებს!

25 დეკემბრის „ლელოს" ნომერთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში!

ოცნებობ, გახდე ფეხბურთის ვარსკვლავი? მაშინ ეს წიგნი და DVD დისკი შენთვისაა!








სპეციალური ფასი 10 ლარი მხოლოდ 25-დან 31 დეკემბრამდე

„ამ წიგნში გაეცნობით მრავალ სავარჯიშოს, რომლებიც საფეხბურთო ოსტატობის დახვეწაში დაგეხმარებათ."

შოთა და არჩილ არველაძეები

გამომცემლობა პალიტრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

# არაბული მმართველობა

## მანჩესტერ სიტის ახალი ისტორია, რომელიც აღმოსავლელი მეპატრონეების ხელში საფეხბურთო ბაზარზე ყველაზე გულუხვ მყიდველად ჩამოყალიბდა



„ისტლენდის“ ბევრი სტაჟიანი ქომაგი ვერ იამაყებს იმით, რომ მკაფიოდ ახსოვს „მანჩესტერ სიტის“ ბოლო ტიტული. ეს არ არის გასაკვირი: „ქალაქელებს“ ბოლო ტრიუმფი 34 წლის წინ ჰქონდათ და ისიც ინგლისის ლიგის თასზე. მას შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანები ყოველი დერბის წინ ირონიულად ახსენებენ „სიტის“ გულშემატკივრებს უქმად დახარჯულ და უტიტულო წლებს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, „მანჩესტერ სიტის“ ასეთი რეპუტაცია ჩამოუყალიბდა - კლუბი, რომელიც არასოდეს უშვებს ხელიდან სასურველი ფეხბურთელის გადაბირების შესაძლებლობას.

ცვლილებები 2007 წლის ზაფხულში დაიწყო. კლუბის ბრიტანელმა მფლობელმა **ჯონ უორდლიმ** გადაწყვიტა, რომ მდიდარი მეზობლის ფონზე „სიტის“ ევოლუცია ფერხდება და საჭიროა უფრო შეძლებული მეპატრონის პოვნა. კლუბი მიჰყიდეს ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, საერთაშორისო ავანტიურისტსა და მომავალში ინტერპოლის „კლიენტ“ **ტაქსინ ჩინავატას.**

ჩინავატას მმართველობის ერთი წელი „სიტისთვის“ ერთგვარად გარდამავალი აღმოჩნდა - კლუბის ამბიციები ამაღლდა, ცნობილი ფეხბურთელები (**ელანო, ვედრან ჩორლუკა, მარტინ პეტროვი, ვალერი ბოჟინოვი**) „ისტლენდისკენ“ დაიძრნენ, ზოგიერთი ფანი კი ინდოჩინეთში პოლიტიკური მდგომარეობითაც დაინტერესდა. „მანჩესტერ სიტიში“ ტაქსინის მმართველობამ თითქოს შედეგი მოიტანა, მაგრამ ტაილანდურმა მართლმსაჯულებამ და ჩინავატასთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე ბრიტანეთის უარმა ახალი რეჟიმის სწრაფი დაცემა გამოიწვია. თუმცა სულ მალე, ჩინავატას ოდიოზური ფიგურის უკან ამოიმართა უფრო სოლიდური და საფუძვლიანი ძალა - Abu Dhabi United Group.

■ ■ ■

კომპანიის დასახელებაში სიტყვა - United მაინცდამაინც სასურველი არ იყო, მაგრამ არაბების გეგმებმა და დაუყოვნებლივმა მოქმედებამ ფანების აღფრთოვანება გამოიწვია. ისინი სასიამოვნოდ გაკვირვებულნი იყვნენ იმით, რომ კლუბის შეძენის დღეს - 2008 წლის პირველ სექტემბერს - ADUG-მა ბრაზილიელი **რობინიოც** იყიდა. მადრიდის „რეალიდან“ ამ ვარსკვლავის შეძენით, „ქალაქელთა“ ახალმა მფლობელებმა ოპერატიულად დაამყარეს ბრიტანული სატრანსფერო რეკორდი - 32.5 მილიონი ფუნტი.

„სიტის“ შეძენაზე პირველი საჯარო რეაქცია ასეთი იყო - „სათამაშო მდიდარის ხელში“. და მაინც, ერთ საკითხში არაბები მაინც აღმოჩნდნენ ნოვატორები: პირველად ინგლისური კლუბი ხელში ჩაიგდო არა ფეხბურთით გატაცებულმა მილიარდერმა, არამედ სახელმწიფომ. 2008 წლის სექტემბერში „მანჩესტერ სიტი“ არაბეთის გაერთიანებული საამიროების სამეფო ოჯახის ხელში გადავიდა.

აბუ დაბის საამირო უფრო პროგრესული დუბაისგან ერთგვარი ინერტულობითა და ტრადიციონალიზმით განსხვავდება, სამაგიეროდ, საფეხბურთო კლუბის შეძენის საკითხში გამოიჩინა თავი. საქმე ისაა, რომ დუბაის წარმომადგენლები უფრო ადრე ცდილობდნენ „ლივერპულის“ ხელში ჩაგდებას, მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ნავთობის მსოფლიო მარაგის მეცხრედმა საამიროებს სიმდიდრე მოუტანა და ახლა ქვეყნის იმიჯზე ზრუნვა იყო საჭირო, რადგან ეს სახელმწიფო მხოლოდ ნავთობით ცხოვრობდა და მის გარდა არაფერი აინტერესებდა. ამ მიზნით, 1976 წელს („სიტის“ ბოლო ტიტულის მოპოვების წელი) შეიქმნა სპეციალური საინვესტიციო ფონდი, სადაც ირიცხება უდიდესი შემოსავლების გარკვეული ნაწილი. ფონდი მთელ მსოფლიოში სხვადასხვა მიმართულებით აბანდებს ფულს: ნიუ იორკის ცათამბჯენის „კრაისლერ ბილდინგის“ აქციათა ნაწილის შეძენა, ფორმულა 1-ში ინვესტიციები, ბრძოლა წესების გარეშე, აგრეთვე გლობალური ინვესტიციები ამერიკის, ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების ეკომონიმიკაში... ეს აბუ დაბის საემიროს საერთაშორისო მოღვაწეობის მხოლოდ ნაწილია. „მანჩესტერ სიტის“ შეძენას ფონდთან პირდაპირი შეხება არ აქვს, მაგრამ ამ ჩამონათვალში მისი მოხსენიება მაინც შეიძლება.

ჩინავატას დროიდან მოყოლებული კლუბის დირექტორის როლი შეინარჩუნა **ჰარი კუკმა**, ახალმა მეპატრონემ, შეიხმა **მანსურმა** კი პრეზიდენტად საკუთარი კაცის დაყენება მოისურვა.

■ ■ ■

თავიდან ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო **სულეიმან ალ-ფაჰიმი**. მაგრამ ის შეიხების ისეთ პოპულარობას უზრუნველყოფდა, რომელსაც ისინი გაურბოდნენ. სულეიმანი ხმამაღალ პოპულისტურ განცხადებებს აკეთებდა, ფანებს რობინიოს შეძენის შემდეგ გუნდში **კრისტიანო რონალდოს, სესკ ფაბრეგასისა** და სხვა ვარსკვლავების მიყვანას ჰპირდებოდა...

ძირითადად სულეიმანის მონდომებით „სიტი“ პირველ ხანებში ძალიან ახალისებდა პუბლიკას. *„მათგან ბევრი ლაყბობა ისმის, მაგრამ არ მადარდებს, რადგან ეს მხოლოდ სიტყვებია. როცა საქმე მოთამაშეების შეძენაზე მიდგება, მათ შეიძლება სირთულეები შეექმნათ“*, - საერთო აზრი გამოხატა მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა.**

საბოლოოდ, ალ-ფაჰიმი სასწრაფოდ ჩამოაქვეითეს, პრეზიდენტად კი უფრო გაწონასწორებული და გონიერი **ჰალდუნ ალ-მუბარაკი** დანიშნეს, რომელმაც განაცხადა: *„მე შემიძლია დავადასტურო ნებისმიერი ჩვენი შენაძენი“.*

■ ■ ■

ალ-მუბარაკის პერიოდში განხორციელებულმა პირველმა შენაძენებმა პრობლემები წარმოშვა. ყოველ შემთხვევაში 2008 წლის შემოდგომიდან 2009 წლის ზამთრამდე შეძენილი ფეხბურთელები (**ნაიჯელ დე იონგის** გარდა) გუნდში მნიშვნელოვან როლს აღარ თამაშობენ. რობინიო და **კრეიგ ბელამი** წავიდნენ, **უეინ ბრიჯი** და **შეი გივენი** სათადარიგოებში გადაისროლეს. ერთმა სატრანსფერო კამპანიამ ვერ შეავსო მეორე, არამედ მისი დუბლირება მოახდინა.

„სიტის“ ხელმძღვანელობის შეცდომები იოლი ასახსნელია - კლუბის უსწრაფესი ტემპებით ახალ დონეზე გაყვანა ბევრ გვერდით მოვლენას აჩენდა და აჩენს. *„სიმართლე გითხრათ, ერთი ორჯერ ფეხბურთელი ისე შეიძინეს, რომ არაფერი მკითხეს*, - იხსენებდა მაშინდელი მწვრთნელი **მარკ ჰიუზი**. - *მაგრამ, როცა გირეკავენ და გეუბნებიან: „გინდა რობინიო?“ - ბუნებრივია პასუხობ: „დიახ, რა თქმა უნდა“. თუმცა კლუბის განვითარებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ეს სულ არ ყოფილიყო აუცილებელი ნაბიჯი“.*

წინა შობაზე ფეხბურთელებს საერთოდ ჰიუზის ჩარევის გარეშე ყიდულობდნენ - უელსელი გაათავისუფლეს, მაგრამ მანამდე მან მოასწრო გუნდში **როკე სანტა კრუსისა** და **ჟოლეონ ლესკოტის** მიყვანა, რომლებიც ბელამისთან ერთად ახალ მწვრთნელს არაფერში სჭირდებოდა. მოთამაშეების შეძენის ახალი სერია **რობერტო მანჩინიმ** წამოიწყო და ამან ის გამოიწვია, რომ ამ სეზონში „ქალაქელებმა“ ბოლო ორი წლის განმავლობაში უკვე მესამე გუნდი შეკრიბეს.

■ ■ ■

„ქალაქელთა“ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა - არა უფრო კლუბის, არამედ უშუალოდ გუნდის მმართველობაა. ბოლო წელიწად ნახევრის განმავლობაში „ისტლენდი“ მშვიდად არც ერთ მნიშვნელოვან ფიგურას არ დაუტოვებია. მარკ ჰიუზის წასვლა კლუბის არაბული პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი დაშორება იყო. უელსელის წასვლას პრინციპში თავიდანვე ელოდებოდნენ, რადგან პირველ სეზონში მე-10 ადგილი ცოტა ვინმეს თუ ესიამოვნებოდა. „სიტი“ არათანაბრად თამაშობდა, შთამბეჭდავ საშინაო მოგებებს მოკრძალებულ გასვლით ფრეებსა და წაგებებს უნაცვლებდა. დიდი პროგრესი არც მომავალ სეზონში ყოფილა. მიუხედავად ამისა, ამოცანა-მინიმუმისკენ - ექსეულში შესვლისკენ კლუბი დამაჯერებლად მიდიოდა, მაგრამ ჰიუზი 2009 წლის დეკემბერში გაუშვეს გუნდიდან.

*„ეს მათი კლუბი და მათი ფულია*, - ჩვეული პირდაპირობით განაცხადა **კარლოს ტევესმა**. - *მაგრამ თუ შემეკითხებით - იყო თუ არა ეს სწორი გადაწყვეტილება, გიპასუხებთ, რომ მარკისთვის მეტი დრო უნდა მიეცათ. გადაწყვეტილება ძალიან ნაჩქარევი იყო. არ შეიძლება ამდენი ჩადო გუნდში და მწვრთნელი ხუთი თვის შემდეგ გაუშვა“.*

გასული სეზონის დასაწყისში ნაწყენმა დატოვა გუნდი მისმა მრავალწლიანმა კაპიტანმა და ფანების ფავორიტმა **რიჩარდ დანმა.**

რობერტო მანჩინის რთული ამოცანა აქვს. მას ადანაშაულებენ იმაში, რომ საერთოდ არ აქვს ურთიერთობა შეგირდებთან. თუმცა, როგორც ჩანს, იტალიელი არ ცდილობს იმას, რომ ერთდროულად ყველა ფეხბურთელი ბედნიერი ჰყავდეს. მანჩინი მშვიდად ანაწევრებს ცოცხალ ორგანიზმს და თან უკან დასახევ გზებსაც იჭრის. თუ „ქალაქალებს“ სწრაფი წარმატება არ ექნათ, მწვრთნელს არავინ დაუდგება გვერდით. საკმაოდ რისკიანი პოზიციაა.

■ ■ ■

„ქალაქელების“ განვითარების სტადიები შეიძლება მათი პროგრესის ყველაზე დაკვირვებული მოწმის - ალექს ფერგიუსონის გამონათქვამებით აღვიქვათ. თუ 2008 წლის შემოდგომაზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი მშვიდად ლაპარაკობდა „ლაყბობაზე“, 2009 წლის ზაფხულში გულგრილობა გაღიზიანებით შეიცვალა. „სიტიმ“ ქალაქში გამოფინა კარლოს ტევესის დიდი პლაკატი წარწერით - „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მანჩესტერში“. *„სიტი“ - პატარა კლუბია წვრილმანი აზროვნებით. მათ ჰგონიათ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ ტევესის წართმევა - ტრიუმფია. სრული სისულელეა“*, - თქვა შოტლანდიელმა..

2010 წლის აპრილში მეზობელზე წარმოდგენამ სერიოზული ცვლილება განიცადა: *„რა თქმა უნდა, მათ შეუძლიათ კიდევ იყიდონ 10 ფეხბურთელი, რადგან აქვთ ამის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მთლიანად სხვა გუნდის შეძენაც არ გაუჭირდებათ. ამან შეიძლება შეცვალოს მათი პერსპექტივები. რაც მთავარია, ეს ქალაქისთვის კარგი იქნება“.* ბოლოს განცხადებამ დასრულებული სახე მიიღო: *„გასულ წელს ე. წ. „დიდი ოთხეულის“ მონოპოლია დაირღვა, რადგან იქ „ტოტენჰემი“ შეიჭრა. მას ისევ შეუძლია ამ წარმატების გამეორება. „მანჩესტერ სიტიმ“ ისევ იაქტიურა ბაზარზე, ასე რომ, ცხადია, ისიც უნდა შევიყვანოთ ლიდერთა ჯგუფში“.*

■ ■ ■

ბოლო წლებში განსაკუთრებულმა აქტიურობამ შეცვალა „მანჩესტერ სიტიზე“ წარმოდგენა. აგრესიულ დომინირებაზე დაფუძნებული მმართველობის სტილი იშვიათად პოულობს ფეხბურთში თანაგრძნობას. თუ ადრე სხვა კლუბების ბევრი ფანი ზომიერად გამოხატავდა ამ გუნდის მიმართ სიმპათიას, ახლა ისინი „სიტის“ სიძულვილით უყურებენ.

ფეხბურთში პოპულარულია სიუჟეტი - „მდიდრები ღარიბების წინააღმდეგ“. გუნდები, რომლებიც საკუთარ თავს გადაახტებიან, ყველას ესიმპათიურება, ხოლო მდიდრებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარი საფულის იმედად არიან, ძნელად უნდა ჰქონდეთ თანაგრძნობის იმედი.

ახალ სეზონში პრემიერლიგის ყველაზე ღარიბ კლუბს „ბლექპულს“ არაფერი აქვს დასაკარგავი, ყველაზე მდიდარმა „სიტიმ“ კი ძალიან ბევრი უნდა მოიპოვოს. „ბლექპულმა“ რაც არ უნდა გააკეთოს, ის მაინც გადააჭარბებს მოლოდინს, „სიტი“ ამას ვერ იზამს. „ბლექპულის“ ყოველ წარმატებას ტაშით შეხვდებიან, „სიტის“ ყოველ წარუმატებლობას - ირონიული ღიმილით. ყველას თავისი ბედი აქვს. ამიტომაც არ არის პასუხი კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა წარმატების ყიდვა?

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

| მანსურის ყველა შენაძენი | |
|---|---|
| 1. რობინიო (რეალი) | 32.5 მლნ |
| **2009** | |
| 2. უეინ ბრიჯი (ჩელსი) | 10 მლნ |
| 3. კრეიგ ბელამი (ვესტ ჰემი) | 14 მლნ |
| 4. ნაიჯელ დე იონგი (ჰამბურგი) | 16 მლნ |
| 5. შეი გივენი (ნიუკასლი) | 5.9 მლნ |
| 6. გარეტ ბერი (ასტონ ვილა) | 12 მლნ |
| 7. როკე სანტა კრუსი (ბლექბერნი) | 17 მლნ |
| 8. კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნ) | 25.5 მლნ |
| 9. ემანუელ ადებაიორი (არსენალი) | 25 მლნ |
| 10. კოლო ტურე (არსენალი) | 12 მლნ |
| 11. ჟოლეონ ლესკოტი (ევერტონი) | 22 მლნ |
| **2010** | |
| 12. ადამ ჯონსონი (მიდლსბრო) | 7 მლნ |
| 13. ჟერომ ბოატენგი (ჰამბურგი) | 10.5 მლნ |
| 14.ია ია ტურე (ბარსელონა) | 24.5 მლნ |
| 15. დავიდ სილვა (ვალენსია) | 26 მლნ |
| 16. ალექსანდრ კოლაროვი (ლაციო) | 16.5 მლნ |
| 17. მარიო ბალოტელი (ინტერი) | 22.5 მლნ |
| 18. ჯეიმს მილნერი (ასტონ ვილა) | 18 მლნ |
| სულ | 319 მლნ |

### სიტის სატრანსფერო რეკორდები და შედეგები პრემიერლიგის დაარსების შემდეგ

| | |
|---|---|
| 1993 (მე-9 ადგილი), დევიდ როკასტლი (ლიდსი) | 2 მლნ |
| 1994 (მე-16 ადგილი), ნიკი სამერბი (სუინდონი) | 1.5 მლნ |
| **1995 (მე-17 ადგილი), გიორგი ძინძლაძე (დინამო თბ)** | **2 მლნ** |
| 1996 (მე-18 ადგილი), ნაიჯელ კლაფი (ლივერპული) | 1.5 მლნ |
| 1997 (მე-14 ადგილი, I დივ.), ლი ბრედბერი (პორტსმუთი) | 3 მლნ |
| 1998 (22-ე ადგილი), ჯეიმი პოლოკი (ბოლტონი) | 1 მლნ |
| 1999 (მე-3 ადგილი, II დივ.), რობერტ ტეილორი (ჯილინგემი) | 1.5 მლნ |
| 2000 (მე-2 ადგილი, I დივ.), პაულო ვანჩოპე (ვესტ ჰემი) | 3.65 მლნ |
| 2001 (მე-18 ადგილი), ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი) | 1.5 მლნ |
| 2002 (1-ლი ადგილი, I დივ.), ნიკოლა ანელკა (პსჟ) | 13 მლნ |
| 2003 (მე-9 ადგილი), კლაუდიო რეინა (სანდერლენდი) | 2.5 მლნ |
| 2004 (მე-16 ადგილი), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი) | 2 მლნ |
| 2005 (მე-8 ადგილი), დარიუს ვასელი (ასტონ ვილა) | 2 მლნ |
| 2006 (მე-15 ადგილი), გეორგიოს სამარასი (ჰერენვეენი) | 6 მლნ |
| 2007 (მე-14 ადგილი), ელანო (შახტარი) | 8 მლნ |
| 2008 (მე-9 ადგილი), რობინიო (რეალი) | 32.5 მლნ |
| 2009 (მე-10 ადგილი), კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნ) | 25.5 მლნ |
| 2010 (მე-5 ადგილი), დავიდ სილვა (ვალენსია) | 26 მლნ |

წლის ნომინაციები


მარცხნიდან: თემურ ქეცბაია, ნინო სალუქვაძე, ვახტანგ სალუქვაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სპორტულმა საქართველომ წელიწადი შეაჯამა

გუშინ საქართველოს ფილარმონიის „ივენთ ჰოლში" საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2010 წლის შემაჯამებელი საზეიმო ღონისძიება გამართა.

სპორტული საზოგადოებრიობის გარდა ზეიმს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საუკეთესოები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში:

2010 წლის საუკეთესო სპორტსმენი

**დავით ზირაქაშვილი**

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ლიდერი, ნაკრებში 22 მატჩი, 5 ლელო.

საფრანგეთის „ტოპ-14"-ის ჩემპიონი „კლერმონის" შემადგენლობაში და ფინალური მატჩის მონაწილე.

პირველი ქართველი, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატი მოიგო.

პირველი ქართველი, რომელმაც 2010 წელს ითამაშა მსოფლიოო ნაკრებში ახალი ზელანდიის წინააღმდეგ.

*დააჯილდოვა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა* ***ვლადიმერ ვარძელაშვილმა.***

*5000 ლარი ჯილდოდ „ბაზის ბანკისგან" გადაეცემა.*

2010 წლის საუკეთესო მწვრთნელი

**თემურ ქეცბაია**

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა წაუგებლად ჩაატარა 8 მატჩი: 3 მოგება, 5 ფრე.

შესარჩევ ციკლში სამწლიანი მოუგებელი სერიის შემდეგ პირველი გამარჯვება.

ფეხბურთის საერთაშორისო სტატისტიკისა და ისტორიის ცენტრის მიერ დასახელდა ბოლო ათწლეულის მსოფლიოს 150 საუკეთესო მწვრთნელს შორის.

*დააჯილდოვა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა* ***გია ნაცვლიშვილმა.***

2010 წლის საუკეთესო ნაკრები გუნდი

**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები**

წარმატებული თამაში „ა" დივიზიონში და მე-2 ადგილი ქვეჯგუფში (8 მატჩი, 5 მოგება, 3 მარცხი).

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური.

პირველი ნაკრები საქართველოდან გუნდურ სახეობებში, რომელიც დიდებს შორის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

*დააჯილდოვა თბილისის მერმა* ***გიგი უგულავამ.***

2010 წლის ვეტერანი სპორტსმენი

**თემურ გიორგაძე**

საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსი.

სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ვეტერანებს შორის.

*დააჯილდოვა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა* ***დავით გობეჯიშვილმა.***

2010 წლის საუკეთესო მსაჯი

**ედიშერ მაჩაიძე**

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ერთადერთი ქართველი არბიტრი ჭიდაობის სახეობებში, რომელიც ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარმოადგენს.

*დააჯილდოვა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ* ***დავით ნამგალაურმა.***

2010 წლის საუკეთესო ახალგაზრდები სხვადასხვა სფეროში

წარმატებული ახალგაზრდა მომღერალი

**მარიამ კუზლაშვილი**

წარმატებული ახალგაზრდა მოქანდაკე

**ვლადიმერ იმერლიშვილი**

წარმატებული ახალგაზრდა ლიტერატორი

**გიორგი კეკელიძე**

წარმატებული სტუდენტი

**ნინო მამაგეიშვილი**

*დააჯილდოვა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ* ***გიორგი ავალიანმა.***

2010 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი

**ავთანდილ ჭრიკიშვილი**

ძიუდოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში.

**დავით ხუციშვილი**

თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში, საქართველოს 2010 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული დიდებში.

2010 წლის საუკეთესო სპორტსმენი გოგონა

**ანა ოდიშვილი**

ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონი კადეტთა შორის.

*სამივე სპორტსმენი დააჯილდოვა პარლამენტარმა* ***გიორგი ასანიძემ.***

***2010 წელს ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე სახელმწიფომ პრემიების სახით გასცა 1 900 000 დოლარი. აქედან 600 000 დოლარი გადაეცა მორაგბეთა ნაკრებს, 300 000 - კალათბურთელებს. მილიონი სპორტსმენებზე ჯილდოდ განაწილდა.***

ფრენბურთი

# რევანში ფინალში

გუშინ სამედიცინო უნივერსიტეტის დარბაზში გოგონათა შორის "ბაქსვუდის თასის" გათამაშება დასრულდა. შეგახსენებთ, ტურნირის რეგლამენტის მიხედვით, ფინალში ჯგუფური ეტაპის ორ საუკეთესო გუნდს უნდა ეთამაშა. "ბათუმმა", თსუ-მ და "ბაქსვუდმა" ჯგუფურ რაუნდში ორ-ორ გამარჯვებასა და თითო მარცხს მოუყარეს თავი, დამატებითი მაჩვენებლებით კი გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლება პირველმა ორმა გუნდმა მოიპოვა.

მოედანზე პირველად მესამე ადგილისთვის შეხვედრის მონაწილენი გავიდნენ. "ბაქსვუდმა" სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი იოლად, 25:7, 25:18, 25:14 დაამარცხა.

ფინალური დაპირისპირება კი მეტად დაძაბული აღმოჩნდა. როგორც გახსოვთ, ჯგუფურ ეტაპზე თსუ-ს "ბათუმი" დამარცხებული ჰყავდა, მაგრამ ტურნირის ფავორიტს ამჯერად ველარ მოერია. პირველი ორი სეტი აჭარლებმა ერთნაირი ანგარიშით, 25:19 მოიგეს. ამის შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთი ხელი დამაჯერებლად, 25:12 მოიგო, მაგრამ შემდეგ მაინც "ბათუმმა" იძალა და დამაგვირგვინებელ სეტში 25:23 გაიმარჯვა.

ტურნირის მსგავსად, მაღალ დონეზე ჩატარდა დაჯილდოების ცერემონიაც. ბაქსვუდის სკოლისა და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ "ბათუმს" გამარჯვებულისთვის განკუთვნილი მთავარი თასი გადასცა, სამივე პრიზიორი გუნდის წევრები კი შესაბამისი სინჯის მედლებით დააჯილდოვა.

გამოვლინდნენ ინდივიდუალურ კატეგორიებში გამარჯვებულებიც: ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ბათუმელთა კაპიტანი **ანა ყიფშიძე** დაასახელეს, საუკეთესო თავდამსხმელი ბაქსვუდელი **ანი შერმადინი** გახდა, საუკეთესო ლიბერო კი – თსუ-ს წევრი **ირინა სილინციევა.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი.

# თაობათა ცვლა ბერძნულ-რომაულად

ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატის გუშინდელი, დასკვნითი დღეც, გუშინწინდელის მსგავსად, ახალგაზრდების უპირატესობით წარიმართა, თუმცა ამჯერად ჭიდაობის ხარისხში განსხვავება უფრო თვალში საცემი იყო. გუშინ ახალგაზრდებმა ცოტათი უკეთესი დონე აჩვენეს, ვიდრე მათ, ვინც პირველ დღეს სიურპრიზებით დაგვამახსოვრა თავი.

84-სა და 96-ში კვარცხლბეკი მთლიანად ახალგაზრდებმა დაიკავეს, რომელთაგანაც უმეტესობა პირველად მოექცა სპეციალისტთა და ქომაგთა ყურადღების ცენტრში. მაგალითად, ქუთაისელი **დავით ჩაკვეტაძე**, ბაღდათელი **მათე სოფაძე**, თბილისელი **რევაზ ნადარეიშვილი** (ყველა - 84), ასევე დედაქალაქელები - **ალექსანდრე დიხამინჯია** და **სოლომონ გიკაშვილი**, ოზურგეთელი **ბექა ჩოფლიანი** (სამივე - 96). ამათგან ოქროს მედალს მხოლოდ დიხამინჯია შესწვდა, თუმცა მასთან ერთად ჩაკვეტაძესაც გამოვარჩევთ კარგი ჭიდაობისთვის. რაც მთავარია, ორივე ძალზე ახალგაზრდაა - ჯერ მხოლოდ 18 წლისანი არიან.

ეს მედალოსანთა ის ჯგუფია, რომელიც პირველად ავიდა საპატიო კვარცხლბეკზე, თორემ ურიგოდ არც იმათ უჭიდავიათ, რომლებსაც აქამდეც ვიცნობდით ეროვნული თუ ასაკობრივი ნაკრებებიდან: თბილისელი **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, ოზურგეთელი **ვლადიმერ ქარჩავა** (96), ქუთაისელი **შოთა გოგისვანიძე** (120) და სხვები.

გუშინ ტურნირში მხოლოდ ზედა სამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები გამოდიოდნენ და მონაწილეც ბევრად ნაკლები იყო. რაც მთავარია, შეჯიბრება ისევ ისე წყნარად, მშვიდად და ლამაზად ჩატარდა, როგორც - გუშინწინ. დარბაზში ჩხუბი და აყალმაყალი კი არა, უბრალო წაკამათებაც არ მომხდარა. ვფიქრობთ, ამაში გადამწყვეტი სიტყვა სომეხი მსაჯების ფაქტორმაც თქვა, თორემ 96-ის ფინალში, წესებიდან გამომდინარე, იმდენად კურიოზული ვითარება შეიქმნა, სხვა დროს ამას აუცილებლად მოჰყვებოდა ჩხუბი.

შესაძლოა, ახალი თაობის ასეთ მასშტაბურ წარმოჩენას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ჩემპიონატში ტიტულოვანი ლიდერები არ გამოდიოდნენ - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მანუჩარ კვირკველიამ** 84-ში, ევროპისა და მსოფლიოს პირველობების გამარჯვებულმა, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა **რამაზ ნოზაძემ** კი მძიმე წონაში გამოსვლა გუშინ იუარეს. მათ ამჯერად იმ შეღავათს უკეთებდნენ, რომ ზედა წონაში გამოსვლის უფლებას აძლევდნენ, მაგრამ ამაოდ...

84-ში ვლადიმერ გეგეშიძემ ფინალი ძირითად დროში მოუგო ჩაკვეტაძეს, მაგრამ ქუთაისელმა ფალავანმაც დამსახურებული აპლოდისმენტები მიიღო - საკმაოდ კარგად მომზადებულიც ჩანდა და ძალზე ჟინიანი მოჭიდავეცაა. იგი ბოლო წუთამდე არ გატყდა და ბევრისთვის შესაშური მიზანსწრაფვით ცდილობდა შეხვედრის გადარჩენას. უბრალოდ, გეგეშიძე კლასით აღემატება და გააზრებული ტაქტიკით გამარჯვება არ გასჭირვებია. ის კარტოზიას სახელობის ტურნირის ჩემპიონიცაა და ზედიზედ მეორე სეზონია, ამ წონის ლიდერად გვევლინება.

96-ში რამაზ ნოზაძის გარდა, ჩემპიონატს ფეხმტკივანი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **სოსო ჯაბიძეც** გამოაკლდა. ამ წონაში კვლავაც გაგრძელდა **ოთარ ტატიშვილის** შეგირდთა ბატონობა - ნოზაძე ხომ მისი მოსწავლეა და ახლაც მისივე აღზრდილმა დიხამინჯიამ გაიმარჯვა. ქომაგისთვის ასევე უცნობია გიკაშვილიც... ჯერ ორივე ახალგაზრდაა, გამოუცდელი და აკლიათ სრულყოფილება, მაგრამ დასაწყისი დამაიმედებელია. ამ წონაში ძალიან კარგი ახალგაზრდები არიან ოზურგეთიდან - ჩოფლიანი და ქარჩავა. ორივემ დამაჯერებლად იჭიდავა და დამსახურებულად მოიპოვეს მედლები, თუმცა ქარჩავა მაინც შორს იყო იმ ფორმისგან, რაც შარშანდელ თანატოლთა ევროპაზე აჩვენა. მაშინ ის ნოზაძესაც კი შევადარეთ, რადგან იმ იშვიათ ბერძენ-რომაელთა შორის იყო, ვისაც დგომშიც ხელეწიფება ილეთების გაკეთება. ამჯერად ასე ვერ გვასიამოვნა, რაც სეზონის დასაწყისს უნდა დავაბრალოთ. ამით განა იმას ვამბობთ, რომ თითქოს მან ცუდად იჭიდავა. უბრალოდ, შარშანდელის მერე ამჯერად ცოტა მეტს ველოდით.

ერთადერთი წონა, სადაც ლიდერობისთვის ისევ ძველი ფალავნები იბრძოდნენ, მძიმე წონაა - ბათუმელმა **გურამ ფერსელიძემ** ოზურგეთელი **რევაზ ჭელიძე** ულიმლამო, ძალისმიერ მიწოლ-მოსა და დამატებით დროში ისე დაამარცხა, ილეთი არ გაკეთებულა. საერთოდ, ამ წონაში რაც გუშინ ვნახეთ, ამ ჭიდაობით საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან გაუჭირდებათ. ჩატარებულ ჩემპიონატზე კიდევ ერთი ცუდი, ბოლო სეზონებისთვის დამახასიათებელი ტენდენცია დადასტურდა - ჩვენებს კვლავაც ძალიან უჭირთ ჩოქბჯენიდან ილეთების გაკეთება, მეტოქის დატრიალება. **მანუჩარ ცხადაიამ** (74) ფინალში დაცვაში ჩადგომა რომ აირჩია, გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, გუშინ კი დარბაზშიც აშკარად ჩანდა, ამ მდგომარეობიდან ქულის გაკეთება ძალიან ბევრს რომ უჭირდა. ვფიქრობთ, ეს ცუდი ფიზიკური მომზადების ბრალია. სამწუხაროა, რომ ფიზმომზადება ჩვენებისთვის მართლაც „აქილევსის ქუსლია".

გუნდური ჩათვლა: 1.თბილისის ნაკრები, მასვე გადაეცა საქართველოს თასი; 2. აჭარა; 3.ქუთაისი.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი.**

**84 კგ. 1. ვლადიმერ გეგეშიძე (თბილისი), 2. დავით ჩაკვეტაძე (ქუთაისი), 3. მათე სოფაძე (ბაღდათი), რევაზ ნადარეიშვილი (თბილისი).**

**96 კგ. 1. ალექსანდრე დიხამინჯია (თბილისი), 2. სოლომონ გიკაშვილი (თბილისი), 3. ვლადიმერ ქარჩავა, ბექა ჩოფლიანი (ორივე - ოზურგეთი).**

**120 კგ. 1. გურამ ფერსელიძე (აჭარა), 2. რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი), 3. დიმიტრი ჯავახიშვილი (თბილისი), შოთა გოგისვანიძე (ქუთაისი).**


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00 საათამდე FM 107.9-ზე**

რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა - გადაცემაში „სპორტ ონლაინი" დონ ედოსთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭადრაკი


ლუკა პაიჭაძე (მარცხნივ) და შოთა აზალაძე

# საგზურები განაწილდა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში უმაღლესი ეშელონის 6 საგზურისთვის ბრძოლაში, როგორც გაუწყეთ, სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 46 წარმომადგენელი ჩაება. გუშინ მე-9 ტურში ინტერესს იწვევდა მეწინავეთა ორთაბრძოლები. რადგანაც უმაღლესში მოხვედრა, ფაქტობრივად, განაღდებული ჰქონდათ, ყაიმზე შეთანხმდნენ **მალხაზ სულაშვილი** და **ბაჩანა მორჩიაშვილი, დავით ზარქუა** და **გიგა ყუფარაძე**. დაძაბული პაექრობის შემდეგ **ლუკა პაიჭაძემ** აჯობა **შოთა აზალაძეს**, რომელიც თითქმის მთელი ტურნირის განმავლობაში ერთპიროვნულად ლიდერობდა.

მე-9 ტურის შედეგები: მალხაზ სულაშვილი-ბაჩანა მორჩიაშვილი 0,5:0,5, ლუკა პაიჭაძე-შოთა აზალაძე 1:0, დავით ზარქუა-გიგა ყუფარაძე 0,5:0,5, გაიოზ ნიგალიძე-გიორგი ხელაია 1:0, მადონა ბოკუჩავა-გიორგი ბალათუროვი 0:1, ნიკოლოზ შავთვალაძე-დიმიტრი კვარაცხელია 0,5:0,5, ივერი ჭილაძე-ალექსანდრე ყაშაშვილი 0,5:0,5

ამდენად, 7-7 ქულით პირველი-მეორე ადგილები, შესაბამისად, სულაშვილმა და პაიჭაძემ გაინაწილეს. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები აზალაძემ და მორჩიაშვილმა გაიყვეს. 6-6 ქულა ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით, მეხუთე-მეექვსე ადგილები ყუფარაძემ და ზარქუამ დაიკავეს და საგზურებიც ამ ექვსეულს ერგო. ექვსქულიანი გიორგი ბალათუროვი და გაიოზ ნიგალიძე თადარიგში არიან.

გაისად 11 იანვრიდან 16 მოჭადრაკე (10 მაღალრეიტინგიანი და 6 პირველი ლიგიდან) ნოკაუტსისტემით საქართველოს ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოლებს.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

# კოეფიციენტით მეხუთე

ვანდოვრ-დე-ნანსიში მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში, საქართველოს 2009 წლის ჩემპიონმა **თორნიკე სანიკიძემაც** იასპარეზა. ბოლო ორ ტურში მან ქულა-ნახევარი მიითვალა. მე-8 ტურში ფრანგ **პიერ ლე რუს** სძლია, გუშინ კი მის თანამემამულე **მატიე კორნეტს** დაუზავდა, მოაგროვა 6,5 ქულა და მეორე-მეხუთე ადგილები გაინაწილა. უარესი კოეფიციენტით მეხუთე ადგილი ერგო. ჩვენებურს ლუქსემბურგელმა **ალბერტო დავიდმა**, ბელგიელმა **ვადიმ მალახატკომ** და კორნეტმა აჯობეს. 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი ფრანგმა **ტიგრან გარამიანმა** დაიკავა.


თორნიკე სანიკიძე

ვაჟა დანელია

# ლუფეიმ წონასწორობა აღადგინა

თურქულ ანტაკიაში გუშინ დამთავრდა ოთხი კლასიკური პარტიისგან შემდგარი მატჩი მოჭადრაკე ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობის მოსაპოვებლად, თუმცა ამ ორთაბრძოლებმა ტიტულის მფლობელი ვერ გამოავლინა, რადგან მეოთხე ტურში ჩინელმა **რუან ლუფეიმ** (2480) რეიტინგში მასზე ბევრად მაღლა მდგარი თანამემამულე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (2591) თეთრებით 47-ე სვლაზე დაამარცხა და წონასწორობა აღადგინა — 2:2. მათ შორის უძლიერესი დღეს ტაიბრეიკებში გამოჩნდება.

ვაჟა დანელია

# მოგებაც, წაგებაც

მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის A კატეგორიის ტურნირში 15 ქვეყნის 56 წარმომადგენელი (12 დიდოსტატი) მონაწილეობს. მათ შორისაა ქართველი საერთაშორისო ოსტატი **დავით ლობჟანიძე**. უკვე გაუწყეთ, რომ პირველ ტურში მან ჰოლანდიელ **კოენ ლამბერდს** სძლია. მეორე ტურში სომეხ **ვაჰე ბალდასარიანთან** წააგო შავი ფიგურებით, გუშინ კი ლატვიელი **ტომს კანტანსი** დაამარცხა.

სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ უკრაინელი საერთაშორისო ოსტატი **ილია ნიჟნიკი** დაწინაურდა. გუშინ მან ჰოლანდიელ დიდოსტატ **იან ვერლეს** აჯობა. ასევე წარმატებას მიაღწიეს **სიპკე ერნსტმა, რობინ ვან კამპერმა** (ორივე - ჰოლანდია) და **არკადი როტსტეინმა** (გერმანია). დაზავდნენ: **პეტერ პროხასკა** (უნგრეთი)-**ზავენ ანდრიასიანი** (სომხეთი), **დეიან ბოიკოვი** (ბულგარეთი)-**დაან ბრანდენბურგი** (ჰოლანდია), **ვლადიმირ ბაკლანი** (უკრაინა)-ვაჰე ბალდასარიანი, **აბჰიჯეთ გუფთა** (ინდოეთი)-**ანატოლი დანჩენკო** (გერმანია). ამდენად, ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით 8 მოჭადრაკე ჩამორჩება. ლობჟანიძეს 2 ქულა აქვს. დღეს იგი ამერიკელ **მატეი ჰერმანს** დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

# მიიღეთ მონაწილეობა თქვენი გაზეთის შექმნაში, გახადეთ იგი თქვენთვის კიდევ უფრო საინტერესო

გთავაზობთ კითხვარს – შესაძლებლობა გეძლევათ თქვენი მოსაზრებები და იდეები, შენიშვნები და სურვილები გაგვიზიაროთ

**ერთად შევქმნათ თქვენი გაზეთი!**

☒ **შესაბამისი უჯრა გადახაზეთ**

1. თქვენი ასაკი
   - ☐ 18-მდე
   - ☐ 18-24
   - ☐ 25-44
   - ☐ 45-59
   - ☐ 60-69
   - ☐ 70-ზე მეტი

2. სქესი
   - ☐ ქალი
   - ☐ მამაკაცი

3. „ლელოს“ გარდა რომელ სპორტულ გაზეთებს/ჟურნალებს კითხულობთ სისტემატურად?

_______________________

_______________________

4. ყველაზე მეტად სპორტის რომელი სახეობის შესახებ გაინტერესებთ ინფორმაცია?
   - ☐ მთლიანად ქართული სპორტი
   - ☐ ქართული ფეხბურთი
   - ☐ მთლიანად უცხოური სპორტი
   - ☐ უცხოური ფეხბურთი
   - სხვა (დაასახელეთ) ___________

_______________________

5. დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც „ლელოს“ კითხულობთ?

_______________________

_______________________

6. უპირველესად რას კითხულობთ „ლელოში“?
   - ☐ საყვარელი ავტორის სტატიას
   - ☐ საყვარელ რუბრიკას
   - ☐ მიყოლებით ყველაფერს
   - ☐ გარეკანზე დაანონსებულ სტატიას
   - ☐ მასალას, რომელმაც დაგაინტერესათ სათაურის, ფოტოს ან სხვა ვიზუალური ეფექტის გამო

7. რომელი ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალას კითხულობთ მეტი ინტერესით?
*(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)*

_______________________

_______________________

8. რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო რუბრიკა?

_______________________

_______________________

9. რომელია თქვენთვის ნაკლებად საინტერესო რუბრიკა?

_______________________

10. ქართული სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ უფრო ხშირად?

_______________________

11. უცხოური სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ ხშირად?

_______________________

12. სტილისტური თვალსაზრისით როგორ შეაფასებთ გაზეთს?
   - ☐ ძალიან მაღალი დონისაა
   - ☐ კარგია
   - ☐ საშუალოა
   - ☐ ცუდია
   - ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

13. როგორ შეაფასებთ „ლელოს“ დიზაინისა და არქიტექტონიკის მიხედვით?
   - ☐ ძალიან მომწონს
   - ☐ მეტ-ნაკლებად მომწონს
   - ☐ არ მომწონს
   - ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

14. მოგწონთ თუ არა გაზეთის ლოგო?
   - ☐ მომწონს
   - ☐ უკეთესიც შესაძლებელია
   - ☐ არ მომწონს
   - ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

15. საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით „ლელოს“?
   - ☐ ძალიან მაღალი დონისაა
   - ☐ მაღალი დონისაა
   - ☐ საშუალო დონისაა
   - ☐ დაბალი დონისაა
   - ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

16. რამდენად ხშირად ეცნობით „ლელოს“?
   - ☐ ყოველ ნომერს
   - ☐ კვირაში 2-3 ნომერს
   - ☐ კვირაში ერთ ნომერს
   - ☐ თვეში 2-3 ნომერს
   - ☐ უფრო იშვიათად

17. გაქვთ თუ არა გამორჩეული კვირის რომელიმე დღეს „ლელოს“ საკითხავად და რატომ?

_______________________

_______________________

18. რამდენი ხანია, რაც „ლელოს“ კითხულობთ?
   - ☐ 1-2 წელია
   - ☐ 3-5 წელია
   - ☐ 6-9 წელია
   - ☐ 10-19 წელია
   - ☐ 20 წელზე მეტია
   - ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

19. რა უფრო მოსახერხებელია თქვენთვის — „ლელოს“ შეძენა თუ გამოწერის სამსახურით სარგებლობა?
   - ☐ შეძენა
   - ☐ გამოწერა

20. რა თემებზე გსურთ, რომ გაზეთში იყოს მეტი სტატიები?

_______________________

_______________________

21. რა ახალ რუბრიკას/პროექტს შესთავაზებდით „ლელოს“?

_______________________

_______________________

_______________________

22. რას ურჩევდით „ლელოს“?

_______________________

_______________________

_______________________

23. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი), სადაც ცხოვრობთ

_______________________

დიდი მადლობა
თანამშრომლობისთვის

გთხოვთ, შევსებული ანკეტა გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით (საფოსტო ყუთების განთავსებულია. თბილისში მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი).
ან დარეკეთ და თქვენი პასუხები ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე (995 32) 37 75 33 (ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე)

კალათბურთი
ქართველი NBA-ში

# დრიუ მიხვდა: ზაზა სანდოა

„ატლანტა ჰოქსის“ მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** „კლივლენდთან“ მატჩში სასტარტო ცენტრად **ელ ჰორფორდი** გაამწესა (**ჯეისონ კოლინზის** ნაცვლად), ხოლო შეცვლაზე პირველი **ზაზა ფაჩულია** შეუშვა. იმ დღეს მწვრთნელი ქართველ ცენტრს ბოლომდე ენდო, 18:46 წუთი ათამაშა და ზაზამაც დამაჯერებლად ითამაშა. შეიძლება, ვინმემ თქვას, 5-დან 1 ორქულიანის ჩაგდება ძალიან ცოტააო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველმა ცენტრმა 2 პასი, ამდენივე ჩაჭრა, 4 მოხსნა მიითვალა და რაც მთავარია - შავი სამუშაო კარგად შეასრულა, რაც სტატისტიკაში არ ისახება.

წინა შეხვედრებში სასტარტო ცენტრად მოთამაშე კოლინზმა „კლივლენდთან“ 2 წუთი ითამაშა, ხოლო ზაზას კიდევ ორი კონკურენტი **პაუელი** და **ტომასი** მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილან.

„ატლანტამ“ მატჩში გარდატეხა მეორე პერიოდში (რომელშიც ზაზამ 8 წუთი ითამაშა) შეიტანა - 32:24 მოიგო. მეორე ტაიმში „ქორებს“ უპირატესობის შენარჩუნება აღარ გასჭირვებიათ.

„ატლანტა“ აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხეა - 19 მოგება, 12 წაგება.

ჯორჯიელები ოთხი დღე დაისვენებენ, 26 დეკემბერს კი „ნიუ ორლეანთან“ სტუმრად ითამაშებენ.

**ატლანტა-კლივლენდი 98:84**

ზაზა ფაჩულია: 18:46 წუთი, 2 ქულა (5-დან 1 ორქულიანი), 4 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 ფოლი, 1 შეცდომა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:47 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| 01:08 | ორქულიანი: 2ძ (15:18) |
| 00:33 | შეცდომა: 1 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:21 | ჩაჭრა: 1 (ჰიძსონს ჩაუჭრა) |
| 10:15 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 10:14 | პასი: 1 (სმითი 2ძ, 22:22) |
| 08:49 | ფოლი: 1 |
| 08:29 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 08:29 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:43 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 07:41 | პასი: 2 (ევანსი 2ძ, 29:27) |
| 05:41 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:15 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:20 | ზაზამ ზიბი შეცვალა |
| 02:12 | ჩაჭრა: 2 (უილიამსს ჩაუჭრა) |
| 01:29 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 |
| 01:15 | ფოლი: 2 |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:42 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:43 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:06 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი



გიორგი ცინცაძე

# რაკვერე გამოკვერეს
## 15 წუთი, 13 ქულა

ევროჩელენჯზე „ბენფიკას“ ძლევის შემდეგ „ტარტუ როკმა“ ესტონეთის ჩემპიონატში „რაკვერესთან“ ითამაშა. საშინაო შეხვედრაში „როკერებმა“ ფავორიტის სტატუსი გაამართლეს და 90:71 გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მატჩი ჩაატარა: 15 წუთში 13 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა. ბუმ 7-დან 5 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო.

„როკი“ ესტონეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის სათავეშია - 15 მოგება, 1 მარცხი. ერთით ნაკლები გამარჯვება აქვს მეორეადგილოსან „კალევს“.

„როკი“ ესტონეთის პირველობაზე მომდევნო მატჩს 28 დეკემბერს ტალინის ტტუ-სთან ჩაატარებს.

ვაჟა სიმონიშვილი

## სუპერლიგა. IX ტური ციფრებში

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 7 | 153 | 21.86 |
| 2. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 8 | 170 | 21.25 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 9 | 182 | 20.22 |
| 4. კოტე ტულუში | არმია | 8 | 146 | 18.25 |
| 5. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 8 | 139 | 17.38 |
| 6. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 8 | 137 | 17.13 |
| 7. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 151 | 16.78 |
| 8. ივანე მაისურაძე | ბათუმი | 7 | 116 | 16.57 |
| 9. ბუბა ბერიშვილი | ქუთაისი | 8 | 128 | 16 |
| 10. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 8 | 127 | 15.88 |
| 11. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 8 | 126 | 15.75 |
| 12. გიგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 8 | 125 | 15.63 |
| 13. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 8 | 124 | 15.5 |
| 14. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 8 | 122 | 15.25 |
| 15. ზვიად ანთაძე | სტუ | 8 | 121 | 15.13 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 9 | 62 | 6.89 |
| 2. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 8 | 47 | 5.88 |
| 3. კოტე ტულუში | არმია | 8 | 46 | 5.75 |
| 4. ტარიელ თავართქილაძე | სამედიცინო | 8 | 40 | 5 |
| 5. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 7 | 35 | 5 |
| 6. რევაზ დიდია | ქუთაისი | 7 | 32 | 4.57 |
| 7. ბექა წივწივაძე | ენერჯი | 8 | 36 | 4.5 |
| 8. დავით ბერიშვილი | შსს | 7 | 30 | 4.29 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ირ. გულისაბედაშვილი | სამედიცინო | 8 | 30 | 3.75 |
| 2. ზვიად ანთაძე | სტუ | 8 | 24 | 3 |
| 3. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 8 | 23 | 2.88 |
| 4. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 9 | 25 | 2.78 |
| 5. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 8 | 21 | 2.63 |
| 6. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 7 | 18 | 2.57 |
| 7. ბუბა ბერიშვილი | ქუთაისი | 8 | 19 | 2.38 |
| 8. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 9 | 20 | 2.22 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ბექაური | სამედიცინო | 8 | 14 | 1.75 |
| 2. სამუელ ლამუ | ენერჯი | 8 | 14 | 1.75 |
| 3. დავით იმნაძე | შსს | 8 | 14 | 1.75 |
| 4. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 8 | 14 | 1.75 |
| 5. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 8 | 11 | 1.38 |
| 6. კარლ დამუსი | სოხუმი | 8 | 11 | 1.38 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 7 | 40 | 5.71 |
| 2. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 8 | 36 | 4.5 |
| 3. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 8 | 34 | 4.25 |
| 4. ირაკლი სორდია | სოხუმი | 8 | 31 | 3.88 |
| 5. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 9 | 34 | 3.78 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 32 | 3.56 |
| 7. მაიკ მაძძერი | სოხუმი | 7 | 24 | 3.43 |
| 8. ბესიკ ლეჟავა | შსს | 7 | 24 | 3.43 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 8 | 38 | 55 | 93 | 11.63 |
| 2. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 8 | 20 | 72 | 92 | 11.5 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 42 | 51 | 93 | 10.33 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 8 | 32 | 50 | 82 | 10.25 |
| 5. დავით უგრეხელიძე | არმია | 7 | 35 | 35 | 70 | 10 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 8 | 15 | 64 | 79 | 9.88 |
| 7. კარლ დამუსი | სოხუმი | 8 | 36 | 42 | 78 | 9.75 |
| 8. ავთანდილ ლომინაშვილი | ქუთაისი | 5 | 20 | 28 | 48 | 9.6 |
| 9. ბექა ბექაური | სამედიცინო | 8 | 29 | 42 | 71 | 8.88 |

### რეკორდები

**ქულა**

37 - ბექა ჩიკვილაძე (სტუ).
2-ქულა: 8/10. 3-ქულა: 5/10. საჯარიმო: 6/10.
18.12.10 სამედიცინო-სტუ

**მოხსნა**

19 - დავით ბარბაქაძე (შსს).
მეტოქის ფარზე: 11. საკუთარზე: 8.
30.11.10 სტუ-შსს

19 - რიჩარდ დამუსი (სოხუმი).
მეტოქის ფარზე: 6. საკუთარზე: 13.
27.11.10 დინამო-სოხუმი

**პასი**

13 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).
01.11.10 სტუ-თსუ

**ჩაჭრა**

7 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).
01.11.10 სტუ-თსუ

7 - ირაკლი გულისაბედაშვილი (სამედ.)
09.11.10 ენერჯი-სამედიცინო

7 - ლევან ცეკვავა (ენერჯი)
04.12.10 დინამო-ენერჯი

**დაფარება**

5 - ანატოლი ბოისა (არმია).
13.11.10 სტუ-არმია

5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ).
26.11.10 ბათუმი-სტუ




## IX ტურის ორი MVP: სამუელ ლამუ და ბექა ჩიკვილაძე

# ენერჯის მალამუ ბექას 37



მეცხრე ტურის ხუთიდან სამ მატჩში უთანასწორო ბრძოლა ვიხილეთ, ორში კი სანახაობრივი თამაში გაჩაღდა: „ენერჯიმ" ბოლო წამებზე სამუელ ლამუს მიერ ჩაგდებული სამქულიანით შსს-ს მოუგო, ხოლო სტუ-მ სეზონის პირველი გამარჯვება „სამედიცინოსთან" ჩაიწერა, რაშიც დიდი წვლილი ბექა ჩიკვილაძემ შეიტანა. შესაბამისად ბექა და ლამუ ტურის საუკეთესოებად დავასახელეთ. ჩიკვილაძე მეტოქის ნახევარზე ქარივით დაჰქროდა და ქულების კორიანტელიც დააყენა - 37 ქულა ჩააგდო და სეზონის რეკორდი დაამყარა. ხოლო, ახალწვეული სამუელ ლამუ მართლაც მალამოსავით წაადგა წინა სეზონის შემდეგ დასუსტებულ „ენერჯის". 204 სმ სიმაღლის სამუელი ფარქვეშაც კარგად თამაშობს, თუმცა მისი პლუსი სამქულიანი ტყორცნებია.

### მეგობრული, შეკრული...

დღეს ტურის ორივე MVP-ს შეგახვედრებთ. სტუმარ-მასპინძლობის პრინციპის გათვალისწინებით ჯერ კამერუნელ ლამუს მოვუსმინოთ.

**- შსს-სთან მატჩს როგორ გაიხსენებ?**

- ძალიან მონდომებულები ვიყავით, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პერიოდში დიდი სხვაობით ჩამოვრჩით, ბრძოლისუნარიანობა შევინარჩუნეთ და დაგვიფასდა კიდეც.

**- „ენერჯიმ" ამ სეზონში არაერთი მატჩის ბედი გადაწყვიტა ბოლო წუთებზე...**

- კარგი გუნდი გვყავს, შეკრული და მეგობრული, დისციპლინაც მაღალ დონეზეა. სწორედ ეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს ჩვენს წარმატებულ თამაშს.

**- „ენერჯიში" რუსეთიდან ჩამოხვედი. ვინ დაგეხმარა ამ ტრანსფერის განხორციელებაში?**



- ამ შემთხვევაში ჩემი აგენტობა ჟულივეტ ტუჯანიმ შეითავსა, რომელსაც აქამდეც ვიცნობდი. სწორედ მან გამიწია რეკომენდაცია და მოხარული ვარ, ასეთ კლუბში რომ მოვხვდი.

**- რომელ ლიგაში ასპარეზობდი?**

- სუპერლიგა B-ში. ჩელიაბინსკის „დინამოს" ღირსებას ვიცავდი.

**- მანამდე?**

- კარიერის დიდი ნაწილი რუსეთში მაქვს გატარებული. ვთამაშობდი სარატოვის „ავტოდორში", ნიჟნი ნოვგოროდში...

**- საინტერესოა რუსეთის მეორე ლიგისა და საქართველოს ჩემპიონატის შედარება...**

- დიდი სხვაობაა.

**- ვის სასარგებლოდ?**

- რუსეთში ყველა გუნდი ძლიერია. დონე თანდათან ზემოთ იწევდა და ჩემი წამოსვლის შემდეგ კიდევ მოიმატებდა...

### ქულებზე როცა მიფიქრია, თამაში ჩამიგდია

შეიძლება, ზოგისთვის გასაკვირი იყო ახალგაზრდა **ბექა ჩიკვილაძის** მიერ სუპერლიგის რეკორდის დამყარება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში რეგულარულად თამაშობს და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საკმარისი გამოცდილებაც აქვს. ბექამ შარშანდელი სეზონი „სოხუმში" დაიწყო, ხოლო დეკემბერში ესპანურ „ალბასეტეს" მიაშურა.

ჩიკვილაძეს ინტერვიუს დასაწყისში სტუ-ს შესახებ ვკითხეთ.

- ახალგაზრდული და ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს. მწვრთნელიც ძლიერია: ზურაბ ტომარაძე თითოეულ კალათბურთელს ძალიან გვეხმარება. სუპერლიგის კალენდარი ისე აეწყო, რომ საწყის ტურებში ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწია თამაშმა - შსს-სთან, „არმიასთან". ზედიზედ სამი შეხვედრა სტუმრად ჩავატარეთ, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში. შეიძლება ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეცხრე ტურამდე ერთი მატჩიც ვერ მოვიგეთ.

**- მე-8 ტურში „სოხუმთან" დიდი სხვაობით მარცხის შემდეგ, ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ „სამედიცინოსთან" გაიმარჯვებდით.**

- „სოხუმთან" თამაში ვერ ავაწყვეთ. ვერც მე გავისარჯე სათანადოდ. მართალია, მე-9 ტურამდე ვაგებდით, მაგრამ გუნდს შეთამაშება ნელ-ნელა ეტყობოდა და თამაშსაც ვაუმჯობესებდით. ვიცოდით, რომ გამარჯვებაც არ იყო შორს. ზედიზედ რვა წაგება სპორტსმენის ფსიქოლოგიაზე ძალიან ცუდად მოქმედებს, თუმცა კონცენტრირება მოვახერხეთ და „სამედიცინოსთან" ისე ვითამაშეთ, თითქოს ფინალი ყოფილიყო.

**- „ფინალში" 37 ქულა ჩააგდე...**

- მოედანზე ინდივიდუალური რეკორდის დასამყარებლად არასოდეს გავსულვარ. კალათბურთელი თუ საკუთარი ქულათა მარაგის შევსებაზე ფიქრობს, კარგად ვერ ითამაშებს. ადრე ყოფილა შემთხვევა, სნაიპერობაზე მიფიქრია, მაგრამ ის თამაში ჩამიგდია. ამპლუით მსროლელი ვარ. ამ პოზიციის კალათბურთელებს ქულებიც უხვად აქვთ, მაგრამ ჯერ ბევრი მაქვს სამუშაო. ახლა რასაც ვაკეთებ, არაფერია. საკუთარ თავზე ვმუშაობ და ვცდილობ ისეთი დონის კალათბურთელად ჩამოვყალიბდე, საქართველოს ნაკრებს რომ გამოადგება. ყველა სპორტსმენის ოცნება ხომ ეროვნულ გუნდში მოხვედრაა.

**- გამოდის, არ იცოდი, საქართველოს ჩემპიონატის რეკორდს რომ ამყარებდი.**

- 37-ე ქულა რომ ჩავაგდე, მაშინ მითხრეს - რეკორდიაო. გამეხარდა, თუმცა გამარჯვებით გამოწვეული სიხარული სულ სხვა იყო.

**- გასული სეზონი ესპანეთში, ება-ს ლიგაში გაატარე. მანამდე „სოხუმში" თამაშობდი. შარშანდელი სეზონის შემდეგ სუპერლიგაში ბევრი რამ შეიცვალა?**

- ჩემთან ერთად საქართველოში არაერთი ლეგიონერი დაბრუნდა - მიხეილ ბერიშვილი, კოკა ტომარაძე... უცხოელების რაოდენობამაც საგრძნობლად იმატა. წლეულს გაცილებით დაძაბული შეხვედრებია. თუ წინა წლებში ამა თუ იმ კალათბურთელს თავისუფლად შეეძლო 50 და მეტი ქულის ჩაგდება, ახლა სნაიპერები 40 ქულამდეც ვერ ადიან. თან, რაც მთავარია, მეც, ფანჩულიძემაც, ფარღალავამაც 30-ზე მეტი ქულა დაძაბულ მატჩებში ჩავაგდეთ.

**- სტუ-ს მომავალ შეხვედრებზეც ვთქვათ.**

- შაბათს „დინამოს" დავუპირისპირდებით, მეათე ტურში - „აგრარულს". თუ ისევე ვითამაშეთ, როგორც „სამედიცინოსთან", დარჩენილი ორივე მატჩის მოგება შეიძლება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. ლელო; 3. აბუსერიძე; 7. პირამიდა; 8. ცხენნი; 12. აბაიშვილი; 13. "ადელი"; 14. ევგრაფი; 16. ზვიადი; 17. იალბუზი; 19. მასლოვი; 20. "ნაიკი"; 23. კეტაშვილი; 25. „დილა"; 28. ხრიდოლი; 29. აშვეთია; 31. "ამერი".

შვეულად: 1. ლიპარტელიანი; 2. ლორია; 4. ბედოშვილი; 5. რეხვიაშვილი; 6. ამხანაგური; 9. ნათელაშვილი; 10. იერიში; 11. ფიფა; 15. გოლკიპერი; 18. ხაბულიანი; 21. გავრილ; 22. ცხადაძე; 24. "აზოტი"; 26. ცხრა; 27. ევრო; 30. თსუ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია

# შობისწინა ბრძოლები

ხვალ ევროპაში შობას ზეიმობენ. რელიგიურ დღესასწაულს, ცხადია, ყველა აღნიშნავს, მათ შორის მორაგბეებიც. სამხრეთნახევარსფეროელი გრანდები ევროპას დიდი ხანია დაემშვიდობნენ, თუმცა იყო დრო, როცა სარაგბო ბატალიები ზედ შობის წინ იმართებოდა. ახლა რამდენიმეს გავიხსენებთ.


ჯეი ჯეი ვილიამსი (მარჯვნივ)

**1935 წელი.**
**უელსი-ახალი ზელანდია 13:12**

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული, დრამატული მატჩი. უელსელებმა ახალი ზელანდიის ნაკრები ბოლო წუთზე **ჯეფრი ჯოუნზის** მიერ გატანილი ლელოს წყალობით დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა თამაში კაცნაკლულებმა ჩაამთავრეს, რადგან შერკინების კვაჭმა **დონ ტაპმა** კისერი დაიშავა.

ამ მატჩში უელსის ნაკრებში ჩვიდმეტი წლის **ჰაიდი ტერნერის** დებიუტი შედგა, რომელსაც ბრწყინვალე სარაგბო კარიერა ჰქონდა. მან სკოლის მეგობარ **ვილი დევისთან** ერთად უელსური რაგბის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა.

**1969 წელი.**
**ინგლისი-სამხ. აფრიკა 11:8**

**ბობი ჰილმა** ინგლისის ნაკრებს პირველად გაამარჯვებინა სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან მატჩში. მანამდე „პომებმა" ხუთი შეხვედრიდან ხუთივე წააგეს. ჰილმა, რომელმაც ის იყო კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა, „ბოკეს" დამარცხებაში ლომის წილი დაიდო. ის შესანიშნავად თამაშობდა ფეხით, კარშიც ზუსტად ურტყამდა და **კლოდ დეივეისა** და **ჯოფრი ჯოუნზს** თითო ლელო გაატანინა.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს მძიმე დროება დაუდგა. მათ ერთმანეთის მიყოლებით წააგეს შოტლანდიის ნაკრებთან, „კარდიფ ბლუზთან" და ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდთან, თუმცა მერე ირლანდიისა და უელსის ნაკრებების დამარცხება მაინც შეძლეს.

**1963 წელი.**
**უელსი-ახალი ზელანდია 0:6**

თამაშის დღეს კარდიფში საშინლად ციოდა. თუმცა მატჩს იმ დროისთვის სარეკორდო რაოდენობის ქომაგი, დაახლოებით 60 ათასი კაცი დაესწრო. ახალი ზელანდიის ნაკრებმა უელსის დედაქალაქში პირველად მოიგო. **დონ კლარკმა** საჯარიმოთი გახსნა ანგარიში, **ბრუს ვაითმა** კი არეკნით გაამყარა „ოლ ბლექსის" უპირატესობა.

აღსანიშნავია, რომ „ოლ ბლექსს" იმ წელიწადს ბრწყინვალე ტურნე ჰქონდა. მათ დიდი სლემი შეასრულეს, ანუ ბრიტანული ქვეყნების ყველა ნაკრებს მოუგეს. მერე ლა მანში გადალახეს, საფრანგეთის ნაკრებიც დაამარცხეს და ისევ კარდიფში დაბრუნდნენ. აქ ახალი ზელანდიის ნაკრებმა ტურნე „ბარბაროსების" რბევით დაასრულა - 36:3.

**1975 წელი.**
**უელსი-ავსტრალია 28:3**

ავსტრალიის ნაკრებმა მთელი სიმწვავით იწვნია უელსელთა გარემარბის **ჯეი ჯეი ვილიამსის** ბრწყინვალე თამაშით გამოწვეული მარცხის სიმწარე. ვილიამსმა, რომელიც ტრავმირებული **ჯერალდ დევისის** ნაცვლად გარემარბად გადაიყვანეს, „ვოლაბებს" სამი ლელო გაუტანა.

ავსტრალიის ნაკრებს მანამდე უკვე წაგებული ჰქონდა შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან. უელსთან მარცხის შემდეგ კი ინგლისელებმაც გაანადგურეს, თუმცა მერე გონს მოეგნენ და ირლანდიისა და აშშ-ის ნაკრებები დაამარცხეს.

**1953 წელი.**
**უელსი-ახალი ზელანდია 13:8**

ლეგენდარული **ბლედინ ვილიამსი** ბოლო კაპიტანი იყო, ვისი წინამძღოლობითაც უელსის ნაკრებს ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი დაუმარცხებია. „არმს პარკზე" მასპინძლებმა „ოლ ბლექსს" უმძიმეს ბრძოლაში სძლიეს.

აღსანიშნავია, რომ ახალი ზელანდიის ნაკრებში ორი დებიუტანტი თამაშობდა, ლელოს ავტორი **ბილ კლარკი** და **ბი ბი ჯეი ფიცპატრიკი**, ლეგენდარული **შონ ფიცპატრიკის** მამა.

**1951 წელი.**
**უელსი-სამხრეთ აფრიკა 3:6**

უელსის ნაკრებმა არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატად აღიარებულ ტურნირში შინ წააგო სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან. ანგარიში ლელოთი უელსელმა ბლედინ ვილიამსმა გახსნა, თუმცა „ბოკემ" მატჩის სადავეები ხელთ იგდო და ჯერ **ჩამ ოშსმა** გაუტანა მასპინძლებს საპასუხო ლელო, მერე კი **ჰანს ბრევისმა** არეკნით „ბოკეს" გამარჯვება მოუტანა.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უკვე მოგებული ჰქონდა შოტლანდიისა და ირლანდიის ნაკრებებისთვის. „ბოკემ" დიდი სლემი, მომდევნო კვირაში, ინგლისის ნაკრების ძლევის შემდეგ შეასრულა. მერე კი კონტინენტზეც სცადა ძალა და საკმაოდ წარმატებითაც, სამხრეთაფრიკელებმა საფრანგეთის ნაკრებიც დაამარცხეს.

**1888 წელი.**
**უელსი-ახალი ზელანდია 7:0**

უელსის ნაკრებმა პირველი საერთაშორისო ტესტმატჩი სუონსიში გამართა, რომელშიც ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი ერთი საჯარიმოსა და ორი ლელოს წყალობით დაამარცხა. მასპინძელთა ნაკრებში ითამაშა 17 წლის **ნორმან ბიგზმა.**

აღსანიშნავია, რომ სტუმრებს ორივე ლელო **ჯოზეფ ვერბიკმა** გაუტანა, რომელმაც კარიერაში 107 შეხვედრა გამართა. იმ გუნდებმა, სადაც ვერბიკი თამაშობდა, ჯამში 78 მატჩი მოიგეს. მის სახელთანაა ასევე მჭიდრო კავშირში რაგბის თამაშის ახალი წესების შემოღება, რამაც ოვალური ბურთით ასპარეზობა ბევრად დახვეწილი და სანახაობრივი გახადა.


ჰაიდი ტერნერი

24 დეკემბერი რაგბის ისტორიაში

**1905 წელი**

„ოლ ბლექსის" ლეგენდარულმა კაპიტანმა **დეივ გალაჰერმა** ნიუპორტში უელსის ნაკრებთან მოტეხილი თითით ითამაშა. გალაჰერი, რამდენიმე დღით ადრე „გლემორგანთან" მატჩში დაშავდა.

**1950 წელი**

ინგლისის ნაკრების მწვრთნელები საგონებელში ჩაცვივდნენ, ვინაიდან მათი აზრით, სათადარიგო გუნდმა ძირითად ნაკრებს „თვიქნემზე" 17:3 მოუგო.

**1950 წელი**

ირლანდიის ნაკრების ლეგენდარული ცხრა ნომერი **დიკ ლოიდი**, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ და შემდეგაც თამაშობდა, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. მისი დებიუტი 1910 წელს ინგლისის ნაკრებთან მატჩში შედგა. ლოიდმა ეროვნულ გუნდში 19 კეპი მოიხვეჭა.

**1972 წელი**

ლანკაშირმა და იორკშირმა რეგულარული გათამაშების დასრულების შემდეგ, უკვე მერამდენედ, თანაბარი ქულები დააგროვეს. ამიტომ, საჭირო გახდა დამატებითი მატჩის გამართვა, სადაც იორკშირმა გაიმარჯვა.

**1978 წელი**

შობის წინადღეს რაგბის ქომაგებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. „ოლდ დირ პარკში" „ლონდონ ველშისა" და „ლესტერის" მატჩი გაიმართა, რომელშიც ლონდონელებმა 12:6 მოიგეს.

**2005 წელი**

ეს წელიწადი **გევინ ჰენსონის** ეპოპეით აღინიშნა. უელსელს ათკვირიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რადგან „ჰეინეკენის თასის" გათამაშების მატჩში, „ლესტერის" შერკინების ბურჯს **ალექს მორენოს** განზრახ ტრავმა მიაყენა.

ჰენსონს იმ წელიწადს დისკვალიფიკაციის გამო თითქმის ექვსი თვე გაუცდა, რადგან მანამდე, ექვსი ერის გათამაშებაში, ანალოგიური დანაშაულისთვის დასაჯეს. ამას ისიც დაერთო, რომ საზარდული ასტკივდა და „ბრიტანელი ლომების" სამხრეთულ ტურნესაც დააკლდა.

**2008 წელი**

რუმინეთის ნაკრებისა და ფრანგული „პერპინიანის" შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ** „ჰეინეკენის თასის" ორგანიზატორებმა 18-კვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მიუხედავად ამისა, ტინკუმ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში მაინც ითამაშა, რისთვისაც რაგბის საერთაშორისო საბჭო „პერპინიანს" დისკვალიფიკაციით დაემუქრა.

ვეტერანი


პიერ მიონი

# პიერ მიონის დასასრულის დასაწყისი

საფრანგეთის ნაკრებისა და „ტულონის" ცხრა ნომერი **პიერ მიონი,** წლევანდელი სეზონის დასრულებისთანავე, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას აპირებს. მან ამის თაობაზე გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ მიონი, რომელმაც საფრანგეთის ნაკრებში 28 კეპი მოიხვეჭა, რაგბიდან წასვლას საბოლოოდ არ აპირებს. „ტულონის" პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** და მწვრთნელმა **პიერ სენტ-ანდრემ** მას კიდევ ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, თუმცა პიერმა თავი შეიკავა და საბოლოოდ უკანა ხაზის მწვრთნელად მუშაობას დათანხმდა.

მიონის იმავეს ჯერ კიდევ „კლერმონში" თამაშისას ახალზელანდიელი მწვრთნელი **ვერნ კოტერი** სთავაზობდა, თუმცა როგორც თავად თქვა;

*„მაშინ რაგბის თამაშის დასრულებისთვის მზად არ ვიყავი. ვგრძნობდი, რომ კიდევ შემწევდა ძალა მაღალ დონეზე მეთამაშა. „ტულონში" შესანიშნავ სეზონს ვატარებ და მინდა აქვე დავამთავრო კიდეც."*

პიერ მიონის პირველი გუნდი ლანგედოკური „ბეზიე" იყო, მერე „დაქსში" და „კლერმონში" თამაშობდა. 2007 წელს საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიო თასზე ნახევარფინალამდე მიაღწია. 2002 წელს დიდი სლემი შეასრულა, 2007 წელს კი „კლერმონის" შემადგენლობაში „ჩელენჯ კაპის" მფლობელი შეიქნა. მიონიმ ვერაფრით შეძლო საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. არადა, სამჯერ 2007, 2008 და 2009 წლებში „ვულკანებთან" ერთად ფინალში ითამაშა. ახლა ამ ტიტულის მოპოვებას პიერი **დავით ქუბრიაშვილთან** ერთად „ტულონში" ცდილობს.

„ტულონის" უკანა ხაზის მწვრთნელად მიონი ორ წელიწადს იმუშავებს. ამ ფუნქციას ფაქტობრივად, ის ახლაც ასრულებს.

*„მიონი ბრწყინვალე მოთამაშე და ჭკვიანი ადამიანია. ვფიქრობ, მას ჩვენი გუნდისთვის ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია"* - თქვა მურად ბურჯელალმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სელტიქსმა ზედიზედ მე-14 მოიგო


გარი ნილმა დენვერის დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა

შესანიშნავ ფორმაში მყოფმა „სან ანტონიომ“ გუშინ 25-ე გამარჯვებას მიაღწია. „სპურსი“ ბოლო ექვსი დღის განმავლობაში მეორედ ხვდებოდა „დენვერ ნაგეტსს“. მათი წინა შეხვედრის გამო დღემდე არ წყდება კამათი. კოლორადოელ გულშემატკივრებს მიაჩნიათ, რომ ბოლო წამებზე პერსონალური არა **კარმელო ენტონიზე**, არამედ **მანუ ჯინობილიზე** უნდა დაეფიქსირებინათ. მაგრამ, ასეა თუ ისე, მატჩის შედეგი არ შეიცვლება და „დენვერს“ გუშინდელ მატჩში უნდა ეზრუნა რევანშზე.

თუმცა ამის გაკეთება რთული იქნებოდა, რადგან „ნაგეტსს“ არ ჰყავდა თავისი ლიდერი - კარმელო ენტონი. წინადღეს NBA-ის ვარსკვლავს და გარდაეცვალა და ამ მიზეზით ტოვებდა შეხვედრას.

მიუხედავად ამისა, „დენვერი“ მაქსიმალური განწყობით შეხვდა ამ შეხვედრას. შემადგენლობაში დაბრუნდნენ **ჩონსი ბილაპსი, კრის ანდერსენი** და **კენიონ მარტინი**, რომელსაც დებიუტი ჰქონდა ამ სეზონში.

ენტონის არყოფნაში სასტარტოში დაიკავა ადგილი **ჯერ არ სმიტმა**. მან სეზონში სარეკორდო 38 წუთი დაჰყო მოედანზე და 22 ქულა დააგროვა, აქედან 16 - მესამე მეოთხედში, რომელშიც სმიტი გენიალურად მოქმედებდა.

სწორედ ამ 25 წლის მცველის გმირობის წყალობით, „დენვერმა“ ბოლო მეოთხედის წინ კომფორტული უპირატესობა მოიპოვა - 89:80. და მაინც, შეხვედრა „სან ანტონიომ“ მოიგო. ტეხასელებმა გაუძლეს მეტოქის შეტევას და ძირითადად რეზერვისტების დახმარებით, არა მარტო გაათანაბრეს ანგარიში, არამედ გამარჯვება გამოსტაცეს **ჯორჯ კარლის** გუნდს. და ეს **დანკანის, ჯინობილისა** და **პარკერის** ჩარევის გარეშე. თავიდან „სპურსი“ 12:4 გაიქცა - **ბონერმა** ორჯერ ჩააგდო სამქულიანი, **სპლიტერმა** კი ფარქვეშიდან ზედიზედ ოთხი ქულა მოიპოვა.

ამის შემდეგ **გარი ნილის** დრო დადგა. NBA-ის დებიუტანტმა, რომელიც სამი წელი ოკეანის გაღმა თამაშობდა, ბოლოსკენ სამი სამქულიანი ჩააგდო და პირადი შედეგიანობის რეკორდი გაიმეორა - 22 ქულა. „სან ანტონიო“ 6 ქულით გავიდა წინ და ეს სხვაობა საფინალო სირენამდე შეინარჩუნა.

ზედიზედ მეთოთხმეტე გამარჯვება მოიპოვა „ბოსტონ სელტიქსმა“, თუმცა ფავორიტს გაუჭირდა მოკრძალებული „ფილადელფიას“ დამარცხება. ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო რვა ქულაზე მეტით წინ გასვლა, ხოლო ბოლო მეოთხედში ქულა ქულაში თამაში მიდიოდა. საფინალო სირენამდე რვა წუთით ადრე „სიქსერზმა“ ლიდერობა დაიბრუნა და მას იქამდე ინარჩუნებდა, სანამ „ბოსტონის“ რიგებში არ გაილვიძა „დიდმა ტრიომ“. **პირსის, ალენისა** და **გარნეტის** მიერ ორგანიზებული გაქცევა მაინცდამაინც შთამბეჭდავი არ ყოფილა (8:2), მაგრამ ასეთი ხასიათის თამაშში ის საკმარისი აღმოჩნდა მოგებისთვის. წუთითა და 36 წამით ადრე „ბოსტონი“ 4 ქულით დაწინაურდა. „ფილადელფიამ“ **ბრენდის** მონდომებით ორამდე შეამცირა სხვაობა, ხოლო ბოლო წუთზე ანგარიშის გათანაბრების ორი შესანიშნავი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ **ანდრე იგუოდალამ** ჯერ ბურთი დაკარგა, შემდეგ კი მასვე გარნეტმა დაუფარა. ბურთი ალენს მიუვიდა და მეტოქეს შეცდომა არ აპატია. 84:80 - **დოკ რივერსის** შეგირდების მორიგი წარმატება. „ბოსტონს“ თვეზე მეტია არ წაუგია - ბოლოს ის 21 ნოემბერს „ტორონტოსთან“ მატჩში დამარცხდა.

**ატლანტა-კლივლენდი 98:84**

17:22, 32:24, 28:23, 21:15

ა: ჯონსონი (23+7 პასი+5 მოხსნა), ჰორფორდი (18+8 მოხსნა), უილიამსი (17), სმიტი (16+11 მოხსნა+6 პასი).

კ: ჯეიმისონი (23+7 მოხსნა), უილიამსი (18+11 პასი), გიბსონი (12).

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 80:87**

33:29, 17:17, 20:27, 10:14

ვ: იანგი (22), ჰაინრიხი (19+9 პასი+5 მოხსნა), ჰოვარდი (13), ტორნტონი (11).

ჩ: ბუზერი (30+10 მოხსნა+7 პასი), როუზი (25+5 მოხსნა+5 პასი), დენგი (14+5 მოხსნა).

**ტორონტო-დეტროიტი 93:115**

23:24, 21:38, 24:24, 25:29

ტ: ბარბოზა (21), კლეიზა (19+5 მოხსნა), ბარნიანი (16), უიმსი (10), დეროზანი (10).

დ: ჰემილტონი (35), სტაკი (21), ვილანუევა (18), მაკგრეიდი (17+7 მოხსნა+7 პასი).

**ბოსტონი-ფილადელფია 84:80**

23:17, 15:27, 26:17, 20:19

ბ: ალენი (22+6 პასი), შ. ო'ნილი (13+9 მოხსნა), გარნეტი (12+7 მოხსნა), პირსი (11).

ფ: ბრენდი (16+12 მოხსნა), ჰოლიდეი (15+5 მოხსნა+5 პასი), იანგი (12), ბატი (10+6 მოხსნა).

**ნიუ იორკი-ოკლაჰომა 112:98**

27:28, 36:27, 27:23, 22:20

ნ-ი: სტაუდმაიერი (23+7 მოხსნა), ჩენდლერი (21+5 მოხსნა), ფილდსი (14+10 მოხსნა), გალინარი (13+5 პასი), ფელტონი (12+10 პასი+6 მოხსნა), ტურიაფი (11).

ო: დურანტი (26+7 მოხსნა), უესტბრუკი (25+5 მოხსნა+5 პასი), გრინი (14+7 მოხსნა), ჰარდენი (13+5 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ნიუ ჯერსი 105:91**

32:29, 25:21, 26:13, 22:28

ნ-ო: ოკაფორი (21+10 მოხსნა), უესტი (18+9 მოხსნა), ტორნტონი (18), ბელინელი (14), პოლი (12+14 პასი+6 მოხსნა).

ნ-ჯ: ჰარისი (21+8 პასი), ლოპესი (16), ვუიაჩიჩი (12), ფეივორსი (10).

**მინესოტა-იუტა 107:112**

29:20, 27:25, 27:26, 24:41

მ: ლავი (25+19 მოხსნა), ბიზლი (24+10 მოხსნა), რიდნური (16+5 პასი), უებსტერი (16), ჯონსონი (14).

ი: უილიამსი (25+7 მოხსნა+7 პასი), მილსეპი (23+11 მოხსნა), ჯეფერსონი (23+9 მოხსნა), კირილენკო (16+7 მოხსნა).

**სან ანტონიო-დენვერი 109:103**

26:27, 33:29, 21:33, 29:14

ს-ა: ჯინობილი (22+6 პასი), ნილი (22), ჯეფერსონი (16), ბონერი (13), სპლიტერი (12+9 მოხსნა), პარკერი (11+9 პასი).

დ: სმიტი (22+7 მოხსნა), ლოუსონი (22), ბილაპსი (20+7 პასი), ნენე (13+5 მოხსნა), აფლალო (12+10 მოხსნა).

**კლიპერსი-ჰიუსტონი 92:97**

28:32, 15:24, 19:18, 30:23

კ: გრიფინი (24+18 მოხსნა), გორდონი (18+6 პასი), ჯორდანი (14+13 მოხსნა).

ჰ: მარტინი (28), სკოლა (22), ბატიე (13+10 მოხსნა+7 პასი).

# ჯორდანმა ბრაუნი დაითხოვა

გუშინდელი დღის მთავარი ამბავი „შარლოტ ბობკეტსიდან“ ლეგენდარული მწვრთნელის **ლარი ბრაუნის** გათავისუფლება იყო. კლუბის მფლობელმა, არანაკლებ ლეგენდარულმა **მაიკლ ჯორდანმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კონტრაქტის გაწყვეტის გადაწყვეტილება ორმხრივი იყო, ხოლო მიზეზი ჩემპიონატის პირველ ნაწილში გუნდის სუსტი გამოსვლა გახდა - „შარლოტის“ მიმდინარე ბალანსი 9 მოგება და 19 წაგებაა, რაც გუნდის ხელმძღვანელობას არ აწყობს. „ბობკეტსს“ რეგულარულში ზედიზედ ოთხი მატჩი აქვს წაგებული.

*„ორი კვირის წინ ველაპარაკე ბრაუნს და განვიხილეთ გუნდის უკეთესობისკენ შეცვლის ვარიანტები, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში პოზიტიური არაფერი მომხდარა. დღეს ისევ შევხვდი ლარის და ვუთხარი, რომ გუნდის თამაში არ შეესაბამება ჩვენს მოლოდინს, ამიტომაც ორივემ გადავწყვიტეთ, რომ სერიოზული ცვლილებებია საჭირო“*, - განაცხადა ჯორდანმა.

70 წლის ბრაუნი მესამე სეზონს ატარებდა „ბობკეტსში“. შარშან მან თითქმის შეუძლებელი შეძლო - გუნდი პლეი ოფში გაიყვანა, სადაც პირველ წრეში წააგო „ორლანდოსთან“. ჯორდანის განცხადების შემდეგ მწვრთნელის აგენტმა **ჯო გლასმა** განაცხადა, რომ ბრაუნი მზად არის სხვა კლუბებისგან შემოთავაზების განსახილველად.


ლარი ბრაუნი

რაც შეეხება ბრაუნის შემცვლელს, სავარაუდოდ, ეს იქნება „ჰორნეტსის“ ყოფილი დამრიგებელი **პოლ სილასი**. ჯორდანის აზრით, ეს სპეციალისტი 4.5 წელი მუშაობდა კლუბის სამწვრთნელო შტაბში და სწრაფად შეუძლია შედეგის მიღწევა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| რავენა-სპალ | 1:1 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| აიაქსი-ალკმაარი | 1:0 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/32 ფინალი** | |
| ვარზიმი-გონდომარი | 0:0 პენ. 4:2 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ეთნიკოსი-დიაგორასი | 1:1 |
| ირაკლისი-კერკირა | 1:1 |
| ლარისა-აეკ | 0:4 |
| **აზერბაიჯანი** | |
| მუგანი-აზალ | 3:1 |
| გაბალა-ბაქო | 0:1 |
| სიმურგი-მოიკ | 1:1 |
| ნეფთჩი-თურანი | 2:0 |
| ინტერი-განჯა | 1:0 |
| ხაზარი-ყარაბახი | 1:2 |
| **ავსტრალია** | |
| სიდნეი-მელბურნ ჰართი | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| პროკომი-მაქაბი | 72:83 |
| ხიმკი-ჟალგირისი | 93:89 (ო) |
| ბარსელონა-მონტეპასკი | 73:72 |
| კახა ლაბორალი-პარტიზანი | 87:71 |
| ოლიმპიაკოსი-რომა | 89:82 |
| რეალი-შარლერუა | 94:45 |
| უნიკახა-ბამბერგი | 70:72 |
| ფენერბაჰჩე-შოლე | 93:61 |
| ციბონა-ლეტუვოს რიტასი | 77:94 |
| **გერმანია** | |
| ტუბინგენი-მიტლდოიჩე | 80:82 (ო) |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-სევერსტალი | 3:0 |
| სკა-სპარტაკი | 5:1 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ვილახი | 3:4 |
| ვენა-ალბა | 2:3 (ბ) |
| კლაგენფიურტი-ლინცი | 3:4 |
| ზაგრები-გრაცი | 1:2 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 3:4 (ო) |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 7:2 |
| ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1:3 |
| იზერლონი-მიუნხენი | 1:6 |
| კიოლნი-შტრაუბინგი | 4:2 |
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 0:3 |
| დიუსელდორფი-ვოლფსბურგი | 0:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ჟილინა | 2:3 |
| სკალიცა-ნიტრა | 2:3 |
| მარტინი-პოპრადი | 1:2 |
| სლოვანი-კოშიცე | 0:4 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 3:5 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ლუგანო | 4:2 |
| ლანგნაუ-ბერნი | 5:2 |
| რაპერსვილი-ბილი | 1:4 |
| სერვეტი-დავოსი | 3:6 |
| ფრიბურგი-ცუგი | 5:2 |
| ციურიხი-კლოტენი | 2:6 |

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი


პაველ დაციუკი

# ეშმაკებს მწვრთნელი შეუცვალეს

რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელ სათამაშო დღეს რამდენიმე საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი. ისევ გვიწევს „პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტნის **სიდნი კროსბის** მოხსენიება. „პინგვინებმა“ გუშინ 5:2 დაამარცხეს „ფლორიდა“ და ერთი შაიბა სწორედ კროსბის ანგარიშზეა. ამით მან 22 მატჩამდე აიყვანა სერია, რომლის დროსაც მინიმუმ ერთ ქულას აგროვებს შეხვედრაში. ამ სერიის განმავლობაში სიდნიმ 22 შაიბის გატანა შეძლო.

ეს არის სიგრძით მეორე სერია ბოლო 18 წლის განმავლობაში - კროსბიმ გააუმჯობესა **დენი ჰიტლის** მიღწევა, რომელიც 2005 წელს დაფიქსირდა.

კროსბი 58 ქულით რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია - მის ანგარიშზე 28 გოლი და 30 შედეგიანი პასი მოდის.

■ ■ ■

სერიოზული დანაკლისი განიცადა „დეტროიტ რედ უინგზმა“. ამ გუნდს მინიმუმ ოთხი კვირა ვერ დაეხმარება ერთ-ერთი ლიდერი, რუსი ვარსკვლავი **პაველ დაციუკი**, რომელმაც „ვანკუვერთან“ ბოლო მატჩში მაჯა მოიტეხა.

მოთამაშეს ოპერაცია არ დასჭირდება, თუმცა გარკვეული ხანი თაბაშირის სახვევის ტარება მოუწევს.

დაციუკმა პირველი პერიოდის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე მიიღო ტრავმა, როცა **მიკაელ სამუელსონთან** შეჯახებისას ცუდად დაეცა ყინულზე.

■ ■ ■

მთავარი ამბავი კი „ნიუ ჯერსი დევილზის“ მთავარი მწვრთნელის **ჯონ მაკლინის** გადაყენება იყო. კლუბის ხელმძღვანელთა ამ ნაბიჯს უკვე დიდხანს ელოდნენ, რადგან „ნეტსი“ აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ უიმედო აუტსაიდერად ჩამოყალიბდა.

„ეშმაკების“ ახალი მწვრთნელი **ჟაკ ლემერი** გახდა, რომელიც „დევილზს“ მაკლინამდე ავარჯიშებდა.

ლემერმა 16 წელი იმუშავა NHL-ში. წვრთნიდა „მონრეალს“, „მინესოტასა“ და „ნიუ ჯერსის“, რომელსაც 1995 წელს სტენლის თასი მოაგებინა. ეს სპეციალისტი 1994 წელს სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

**დეტროიტი-ვანკუვერი 5:4 (ო)**

1:0, 1:3, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ქლირი-15 (ბერტუცი-16, რაფალსკი-19), 1:1 ჰ. სედინი-7 (კესლერი-11, დ. სედინი-23), 2:1 ფილპულა-8 (ქლირი-10, ჯ. ერიქსონი-5), 2:2 სედინი-17 (კესლერი-12, ერჰოფი-11), 2:3 სამუელსონი-7 (ჰ. სედინი-32), 3:3 ზეტერბერგი-11 (კროგვალი-9, სალეი-6), 3:4 ტამბელინი-7 (კესლერი-13), 4:4 ლიდსტრიომი-8 (ზეტერბერგი-24, რაფალსკი-20).5:4 ზეტერბერგი-12 (რაფალსკი-21, ჰელმი-6).

**აილენდერსი-ტამპა ბეი 2:1 (ო)**

0:1, 1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მელოუნი-10 (ბ. კლარკი-8, პურსელი-18), 1:1 პარენტო-6 (ტავარესი-9, ენდრიუ მაკდონალდი-3), 2:1 ტავარესი-9 (ვიშნიევსკი-16, ენდრიუ მაკდონალდი-4).

**პიტსბურგი-ფლორიდა 5:2**

3:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ლეტესტუ-7 (ტაილერ კენედი-10, კონერი-3), 1:1 ვეისი-9 (ფროლიკი-12, ვივერი-5), 2:1 კროსბი-28 (კუნიტცი-13, ბ. ჯონსონი-1), 3:1 კუკი-7 (ტელბოტი-6, მალკინი-18), 4:1 ლავჯოი-1, 4:2 მაკეიბი-5 (ბ. ტომასი-3, ჰორდიჩუკი-2), 5:2 დუპუი-8 (ლეტანგი-24, კუნიტცი-14).

**ჩიკაგო-ნეშვილი 4:1**

1:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ბოლანდი-4 (პიზანი-5), 2:0 სკილი-5 (ბოლანდი-8, კიტი-20), 3:0 სკილი-6 (დოუელი-10, კიტი-21), 3:1 ს. კოსტიცინი-6 (ერატი-12, რ. სუტერი-13), 4:1 ბიკელი-10 (კალიმორი-6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# რაფას რევანში

მსოფლიოს პირველმა და მეორე ჩოგანმა - **რაფაელ ნადალმა** და **როჯერ ფედერერმა** ზედიზედ მეორე საჩვენებელ-საქველმოქმედო შეხვედრა ჩაატარეს. ამჯერად ჩოგბურთელებმა ციურიხიდან მადრიდში გადაინაცვლეს და მატჩის ორგანიზატორად ნადალის საქველმოქმედო ფონდი მოგვევლინა.

ისევე როგორც შვეიცარიაში, ამჯერადაც გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის ჩატარება გახდა საჭირო. სასტარტო პარტიის პირველივე გეიმში მასპინძელმა ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ფედერერმა არ მისცა ესპანელს დიდი ხნით წინ გასვლის საშუალება და მომდევნო გეიმში მეორე ბრეიკ-პოინტიდან გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ ჩოგბურთელები საკმაოდ დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს. ასე გრძელდებოდა მერვე გეიმამდე, სადაც ფედერერმა ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ნადალმა უმაღლეს დონეზე ითამაშა და მოწოდება შეინარჩუნა. მეცხრე გეიმი სეტში ყველაზე დაძაბული გამოდგა - ანგარიში რამდენჯერმე „თანაბარი“ იყო, ნადალმა კი სამი ბრეიკ-პოინტი გაანიავა. მეათე გეიმში რაფაელმა საკუთარ მოწოდებაზე სეტბოლი მოიგერია და საბოლოოდ ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც ესპანელმა 2:1-ზე მინი-ბრეიკი შეასრულა და ტაი-ბრეიკი 7:3 მოიგო.

მეორე სეტის სასტარტო გეიმები თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. თამაშის სურათი მეხუთე გეიმში შეიცვალა, როცა ფედერერმა მიღებაზე ბრწყინვალე თამაშის წყალობით პირველივე ბრეიკ-პოინტი ქულაში გარდასახა და ბრეიკი მიითვალა. შვეიცარიელმა დარჩენილ დროში შეინარჩუნა ეს უპირატესობა და მეორე სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4.

გადამწყვეტ სეტში ნადალის სრული უპირატესობა ვიხილეთ. ბრეიკის აღებით ესპანელმა 3:0 დაწინაურება მოახერხა, მეექვსე გეიმში კი კიდევ ერთხელ აიღო ფედერერის მოწოდება და 5:1-ზე მატჩზე ჩასაწოდებლად გაემზადა. რაფამ თავისი მოწოდება ძალიან დამაჯერებლად მოიგო და ერთი დღის წინანდელი მარცხისთვის რევანშიც აიღო - 6:1. შეხვედრა საათსა და 49 წუთს გაგრძელდა.

*„ჩემთვის დღეს განსაკუთრებული დღეა. ძალიან გამიმართლა, რომ საყვარელი საქმით ვარ დაკავებული - ვთამაშობ ჩოგბურთს და ამასთან, საკუთარი ფონდის დახმარებით იმ ბავშვებს ვეხმარები, რომლებსაც ამ ცხოვრებაში ისე არ გაუმართლათ, როგორც მე.*

*მადლობა როჯერს იმისთვის, რომ მადრიდში ჩამოვიდა და ჩემი ფონდის აქციას დაუჭირა მხარი. ორივენი ბედნიერები ვართ, რადგან დიდი ხნის ჩანაფიქრის განხორციელება შევძელით და სოლიდური თანხა შევაგროვეთ გაჭირვებული ბავშვებისთვის. რა თქმა უნდა, ამ ორ დღეში შეგროვილი ფული ყველას ვერ უშველის, მაგრამ აუცილებლად მიიპყრობს ბავშვების პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღებას“*, - განაცხადა მატჩის დასრულების შემდეგ ნადალმა.


ნადალი მილოცვებს იღებს

ფორმულა 1

# დი მონტეძემოლო: ფეტელი ჩვენთან გადმოვა


ფეტელი წითელ ფონზე

არავინ უარყოფს იმას, რომ ფორმულა 1-ის პილოტებისთვის „ფერარის“ განსაკუთრებული ჯადოსნური ძალა აქვს. სხვა გუნდებმა შეიძლება უფრო სწრაფი მანქანები შექმნან და რბოლებში გამარჯვებაც მოიპოვონ, მაგრამ იტალიური ბრენდის ლეგენდარული ისტორია ავტომრბოლებს მაგნიტივით იზიდავს.

„ფერარის“ პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** დარწმუნებულია, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** სწორედ ასე მოიქცევა და „სკუდერიას“ ლეგენდარულ წითელ კომბინეზონს მოირგებს. მარანელოში გამართულ საშობაო საღამოზე გამოსვლისას დი მონტეძემოლომ განაცხადა: *„ის სწრაფია, ჭკვიანი და ახალგაზრდა. ადრე თუ გვიან, სებასტიანი წითელი მანქანის საჭესთან აღმოჩნდება“.*

გერმანელი პილოტის ახლანდელი კონტრაქტი „რედ ბულთან“ 2012 წლის ბოლომდე მოქმედებს, ხოლო ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც ხელშეკრულების 2017 წლის ბოლომდე გახანგრძლივებას ვარაუდობს. მიუხედავად ამისა, სებასტიანი არ გამორიცხავს ოდესღაც იტალიურ გუნდში გადასვლას. *„თუ ისტორიას გადავხედავთ, „ფერარის“ ყოველთვის ეხერხებოდა ძალიან სწრაფი მანქანების კეთება. მაშინ, რატომ არ უნდა ვცადო ერთხელ მაინც ამ გუნდში გამოსვლა?!“* - განაცხადა ფეტელმა.

მაგრამ თუ მარანელოში მზად არიან სებასტიანს რამდენიმე წელი ელოდონ, „ფერარი“ უკვე დღეს აპირებს საინჟინრო შტაბის გაძლიერებას. გერმანული ტაბლოიდის - „ექსპრესის“ ინფორმაციით, დი მონტეძემოლომ წინადადებით მიმართა „რედ ბულის“ წლევანდელი ტრიუმფის მთავარ შემოქმედს - **ედრიან ნიუის**. მაგრამ, როგორც ჩანს, „ფერარის“ მაგია ამ კაცზე არ მოქმედებს - ბრიტანელმა უარით უპასუხა იტალიელს.

ავტოსპორტი

# კიმი დაობლდა

ბრიტანული ყოველკვირეულის - „ავტოსპორტის“ ინფორმაციით, კიმი რაიკონენი ახლოა „სიტროენთან“ კონტრაქტის გაგრძელებასა და რალის 2011 წლის ჩემპიონატში კვლავ ფრანგულ გუნდთან ერთად გამოსვლასთან. ცოტა ხნით ადრე გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ ცნობილი ფინელი ავტომრბოლი „ფორდში“ გადავიდოდა და რალის ეტაპების გარდა, ნასკარის რბოლებშიც მიიღებდა მონაწილეობას. მაგრამ ახლა ეს ცნობა არ დასტურდება და როგორც ჩანს, გაისად კიმი ისევ „სიტროენის“ ახალგაზრდული გუნდის - Citroen Junior-ის მანქანით ირბოლებს.

შეგახსენებთ, რომ რალიში სადებიუტო სეზონი რაიკონენმა საერთო ჩათვლაში მეათე ადგილზე დაასრულა. ფინელის საუკეთესო შედეგი იყო მე-10 ადგილი თურქეთის რალიზე. გარდა ამისა, გერმანულ ეტაპზე კიმიმ პირველად მოიპოვა გამარჯვება სპეცმონაკვეთზე.

რალიში 2011 წლის სეზონი 11 თებერვალს შვედეთში იწყება.

■ ■ ■

ამასობაში, ფინურმა პრესამ დაწერა, რომ 56 წლის ასაკში გარდაიცვალა კიმის მამა - 56 წლის **მატი რაიკონენი**. ეს ინფორმაცია პილოტის პრესმდივანმა **რიკი კუვაიამ** დაადასტურა.

მატი რაიკონენი ავტოსპორტის დიდი ენთუზიასტი იყო და თავისი ვაჟის კარიერისთვის ძალიან ბევრი გააკეთა, განსაკუთრებით საწყის ეტაპებზე.

უფროსი რაიკონენი თითქმის არ იძლეოდა ინტერვიუებს, მაგრამ ხანდახან ფინური ტელევიზიისთვის გამონაკლისს აკეთებდა. მაგალითად, 2010 წლის მარტში მატიმ თქვა, რომ კმაყოფილია კიმის რალიში გადასვლით. *„ახლა კიმი სხვანაირად იღიმება, ვიდრე ფორმულა 1-ში გამოსვლის დროს. იმედია, ახლა ფანები ისე აქტიურად აღარ შეაწუხებენ. მე მომწონს მისი გადაწყვეტილება“.*


კიმი რაიკონენი რალის მანქანის საჭესთან

ამბები

ჩოგბურთი

## მარიამ სტრატეგია შეცვალა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა** ავსტრალიის ღია პირველობამდე მეტი სათამაშო პრაქტიკის მიღებას გეგმავს, ამიტომაც რუსმა ჩოგბურთელმა სიდნეის ტურნირის უაილდ-ქარდი მოითხოვა. ეს შეჯიბრება უშუალოდ ავსტრალიის ღიას წინ, 9-15 იანვარს იმართება.

*„შარაპოვას აგენტისგან მივიღეთ შეტყობინება - შესაძლებელია თუ არა მარიასთვის ჩვენს ტურნირზე სპეციალური მიწვევის შეთავაზება. მეც და ყველა სიდნეელი გულშემატკივარი აღფრთოვანებული ვიქნებოდით, თუ ის ჩვენს ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. აქაური საფარი და სავარჯიშო პირობები შარაპოვას ავსტრალიის ღიასთვის სათანადოდ მომზადების საშუალებას მისცემს“*, - ამბობს ტურნირის დირექტორი **კრეიგ უოტსონი**. მან შარაპოვას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დრო მისცა.

შეგახსენებთ, რომ აქამდე რუს ჩოგბურთელს არასოდეს მიუღია მონაწილეობა ავსტრალიის სერიის ტურნირებში. მან უკვე დაადასტურა 3-8 იანვარს ოკლენდში ტურნირში მონაწილეობა.

უკვე ცნობილია, რომ სიდნეის ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ პირველი, მეორე და მესამე ჩოგნები - **კაროლინ ვოზნიაცკი, ვერა ზვონარევა** და **კიმ კლაისტერსი**. სულ სიდნეის კორტზე WTA-ის საუკეთესო ათეულის შვიდი წევრი იქნება წარმოდგენილი.

## ოდესნიკი თითქმის გაამართლეს

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირა ამერიკელ **უეინ ოდესნიკს**. ამ ჩოგბურთელს 29 დეკემბერს შეეძლება პროფესიულ ტურში დაბრუნება.

ოდესნიკი წელს ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს ავსტრალიის ტერიტორიაზე დოპინგის შეტანისთვის, ახლა კი მან ფაქტობრივად ამნისტია მიიღო, რადგან ის აქტიურად თანამშრომლობდა ანტისადოპინგო სააგენტოებთან.

## ჯინეპრი ავსტრალიას დააკლდება

ვეტერანი ამერიკელი ჩოგბურთელი **რობი ჯინეპრი**, რომელმაც შემოდგომაზე ხელი მოიტეხა, ავსტრალიური სერიის ტურნირებს გამოტოვებს, მათ შორის ქვეყნის ღია პირველობასაც დააკლდება. სპორტსმენი კორტზე დაბრუნებას მარტში აპირებს.

შეგახსენებთ, რომ ჯინეპრი ავტოავარიაში მოყვა, როცა გზაზე გადამხტარი ციყვისთვის მოტოციკლის აცილება სცადა.

## გილბერტი იაპონელს გაწვრთნის

ცნობილი საჩოგბურთო სპეციალისტი, **ანდრე აგასისა** და **ენდი მიურეის** ყოფილი მწვრთნელი **ბრედ გილბერტი** იაპონელი **კეი ნიშიკორის** დამრიგებელი გახდა და მასთან ერთად ტურნირებზე იმოგზაურებს.

*„კეი სულით მებრძოლია. მან იცის, რა უნდა ჩოგბურთისგან, ამიტომაც სიხარულით ველი მასთან თანამშრომლობის დაწყებას“*, - განაცხადა გილბერტმა.

ნიშიკორი ამჟამად 98-ე ადგილს იკავებს ATP-ის რეიტინგში. მან 2010 წლის მეორე ნახევარში გააგრძელა გამოსვლა თებერვალში მიღებული იდაყვის ტრავმის შემდეგ. გასულ სეზონში იაპონელმა ორი ჩელენჯერი მოიგო და ამერიკის ღია პირველობაზე მესამე წრემდე გააღწია.

*„ბრედთან მუშაობის დაწყება ძალიან მახარებს. მისი გამოცდილება უკეთეს ჩოგბურთელად ჩამოყალიბებაში დამეხმარება“*, - ამბობს იაპონელი.

კრივი

## IBF მინიტურნირს გეგმავს

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ თითქმის მოგვარდა სუპერმძიმე წონაში ორი ჩემპიონის - **ვლადიმერ კლიჩკოსა** და **დევიდ ჰეის** შორის ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის ორგანიზება. ამასობაში კი, კრივის საერთაშორისო ფედერაცია (IBF) უკრაინელი ჩემპიონისთვის მეტოქის შერჩევას აპირებს. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ნიგერიელ **სამუელ პიტერსა** და პოლონელ **ტომაშ ადამეკს** ბრძოლის ჩატარება შესთავაზა, რომლის გამარჯვებულიც ამერიკელების - **ედი ჩემბერსისა** და **დერიკ როსის** ჩხუბში უძლიერესს შეხვდება. მოკრივე, რომელიც ამ ერთგვარი მინიტურნირის ჩემპიონი გახდება, IBF-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელ ვლადიმერ კლიჩკოს შეხვდება.

პიტერის პრომოუტერმა **ივაილო გოტცევმა** უკვე მისცა დასტური ფედერაციას. ახლა ჯერი ტომაშ ადამეკზეა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა